დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის
4 - 10 დეკემბერი

N 52 1516

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

# სამარცხვინონი



2-3

მოიძებნება კი ახალი სულხან მოლაშვილი, რომელიც ამჯერად მაინც შეძლებს, შეაჩეროს პრეზიდენტად აღზევებული უსაქმური?!

3




# საბრალონი



# კატეგორიულად მოვითხოვ:





ბადრი პატარკაციშვილი სააკაშვილისა და მისი ბანდის მოკლულია! — აცხადებს გოგა ხაინდრავა და მზად არის, პროკურატურას ჩვენება მისცეს!





10-12

# დამკითხონ!

# ბებია კაცი

14



რა უნდა ამას პარლამენტში? მშვენიერი პროფესია აქვს — მეან-გინეკოლოგია, ანუ ბებიაქალი... არ სჯობდა, ხალხი ემშობიარებინა, კეთილი საქმეები ეკეთებინა?



8-9

4-5

# დასაწვავები

ნაცსექტა სექტუალურ უმრავლესობად და სექტუალურ უმცირესობად დაიყო!

# სამარცხვინონი




## სალომე ზურაბიშვილისა და ნაცმედიის წარმომადგენელთა აუდიენცია უპრინციპობის, ორპირობისა და ფარისევლობის სამარცხვინო აქტი იყო!









***დარწმუნებული არ ვართ, რომ საფრანგეთში დაბადებულ და გაზრდილ სალომე ზურაბიშვილს წაკითხული აქვს ვიქტორ ჰიუგოს რომანი „საბრალონი", თუმცა, ჩვენი პუბლიკაციის სათაური „სამარცხვინონი" სწორედ დიდი ფრანგი მწერლის ნაწარმოების სახელწოდებიდან გახლავთ ინსპირირებული.***

საქმე ის არის, რომ საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი,** რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის დამრღვევად ცნო, წყლის ნაყვას აგრძელებს და ატარებს კამპანიას **„შენი ხმა ევროპას",** რომლის ეგიდითაც სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური სპექტრის, ბიზნესის, მედიისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებს ხვდება.

**კონსტიტუციის დამრღვევმა პრეზიდენტმა** გასულ კვირას თავის რეზიდენციაში **ქართული მასმედიის წარმომადგენლები** მიიწვია, თუმცა, იქ **მხოლოდ ნაცმედიის წარმომადგენლები** მივიდნენ, რომლებსაც ყველანაირ სატელევიზიო ფორმატში — საინფორმაციო გამოშვებით დაწყებული, პოლიტიკური თოქ-შოუებით გაგრძელებული და იუმორისტული შოუებით დამთავრებული — სალომე ზურაბიშვილისათვის ყველანაირი სიბინძურე აქვთ ნაკადრები.

დიახ, იმ დღეს ორბელიანების სასახლეში **სალომე ზურაბიშვილს სახეში შესციცინებდნენ და მისთვის ხელის ჩამოსართმევად რიგში იდგნენ ნაცსექტის ტელეკანალიზაციათა ე.წ. სახეები თუ სახედაკარგულები,** რომლებიც იმავე სალომე ზურაბიშვილს საინფორმაციო გამოშვებებსა და საავტორო პოლიტიკურ გადაცემებში რუსეთის რეზიდენტად და საქართველოს მოღალატედ რაცხავდნენ, იუმორისტულ შოუებსა და სკეტჩებში კი ბიძინა ივანიშვილის მონად და ჩერჩეტ, ინფანტილურ ქალად გამოჰყავდათ.

პირდაპირ რომ ვთქვათ, **სალომე ზურაბიშვილისა და ნაცმედიის წარმომადგენელთა აუდიენცია,** თავისი რევერანსებითა და ხვევნა-კოცნით, უპრინციპობის, ორპირობისა და ფარისევლობის ამაზრზენი აქტი იყო, რომლის მონაწილეებიც სამარცხვინოდ გამოიყურებოდნენ!

კი, **სამარცხვინო იყო პრეზიდენტი ზურაბიშვილი,** რომელიც მის მრავალგზის მაგინებელ, შეურაცხმყოფელ და მასხრად ამგდებ ნაცმედიის წარმომადგენლებს მასპინძლობდა და **სამარცხვინონი იყვნენ ნაცმედიის წარმომადგენლები,** რომლებიც მათ მიერვე მრავალგზის nაგინებ, შეურაცხყოფილ და მასხრად აგდებულ **პრეზიდენტ ზურაბიშვილთან** შესახვედრად მილაგდნენ!

კარგი, ვთქვათ, **სალომე ზურაბიშვილი** მართლაც იყო ბიძინა ივანიშვილის მონა, როგორც ამას ნაცტელკანალიზაციები გაჰკიოდნენ, დღეს კი თავისუფალი ადამიანია, რომელმაც ივანიშვილის მონობიდან თავის დახსნა შეძლო... კი, ხდება ასეთი რამეები და კაცობრიობის ისტორიამ მონობისაგან გათავისუფლების ბევრი მაგალითი იცის, სპარტაკის აჯანყება და მთელი ამბები, მაგრამ სამშობლოს მოღალატეობას რომ არაფერი შველის? **ყოფილი სამშობლოს მოღალატეები, ვთქვათ, ყოფილი ძახაბერ ყორღანაშვილები რომ არ არსებობენ და სამშობლოს მოღალატის იარლიყი სამუ-**

**ამ სამარცხვინო შეხვედრაზე ნამდვილად იდგა ის სუნი, რაც გიორგი გაბუნიას ცოტა ხნის წინათ სცემდა სალომე ზურაბიშვილის მხრებზე „თავის მაგივრად გამობმული ღამის ქოთნიდან"!**

### კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**ევროკავშირის გადაწყვეტილების შემდეგ** გვინდა, გავმართოთ **საერთო სახალხო ეროვნული ზეიმი.**

„რეზონანსი"



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების" თავმჯდომარე*

**პოპკორნით საყურებელია** ის, რაც ხდება ნაცმოძრაობაში, **დაუჭამიათ ერთმანეთი.**

„საქართველოს რესპუბლიკა"



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

სალომე ზურაბიშვილი **გასულია როგორც კონსტიტუციური, ისე ეთიკური ჩარჩოებიდან.**

„რეზონანსი"



**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*

**რაც მეტს ვუსმენ ჩვენს ოპონენტებს,** მეტად ვრწმუნდები, რომ **„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა".**

„რეზონანსი"



**ილია დარჩიაშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*

მოვუწოდებ ჩვენს ოპონენტებს, **აიღონ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა ამ ქვეყნის ევროპულ მომავალზე,** მოვუწოდებ მათ, დაიკავონ სახელმწიფოებრივი პოზიციები, ეს სჭირდება ქვეყანას.

„პირველი არხი"



**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის" წევრი*

შევქმნათ ძლიერი **ქართველოლოგიის ინსტიტუტი,** სადაც მეცნიერებისა და განათლების სიმბიოზი მოგვცემს საშუალებას, **აღვზარდოთ ახალგაზრდა თაობა კარგ ქართველებად.**

„იმედინიუსი"



სალომე ზურაბიშვილი და „მთავარი არხის“ იუმორისტული შოუს წამყვანი ილო ბეროშვილი

**დამო რომ არის?** მაშ, გამოდის, ნაცტელეკანალიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც სალომე ზურაბიშვილს სამშობლოს მოღალატეს ეძახდნენ, ან ურცხვი მატყუარები არიან, ან ურცხვი ქლესები და ფარისევლები, რომლებიც დღეს სამშობლოს მოღალატეს სასახლის კარზე სტუმრობენ, პირში უღიმიან და მასთან ერთად ბედნიერად პოზირებენ ფოტო თუ ტელეობიექტივის წინაშე.

ნებისმიერ შემთხვევაში, **სამარცხვინო ამბავია!**

ნებისმიერ შემთხვევაში, **სამარცხვინონი არიან** ერთმანეთს გადასკვნილი **სალომე ზურაბიშვილი და გიორგი გაბუნია, სალომე ზურაბიშვილი და ნოდარ მელაძე, სალომე ზურაბიშვილი და მიშა მშვილდაძე...**

სწორედ ამ სამარცხვინო ამბის კვალდაკვალ, სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეოფრაგმენტი ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“ ყოფილი ტელეწამყვანისა და ამჟამინდელი დირექტორის **გიორგი გაბუნიას** ერთ-ერთი გადაცემიდან, რომელშიც იგი სალომე ზურაბიშვილს წარმოუდგენელ შეურაცხყოფას აყენებს. კერძოდ, გაბუნია სტუდიაში დიდ მონიტორთან დგას, რომელზეც სალომე ზურაბიშვილის დიდი გამოსახულება ჩანს და ასეთ რამეს ამბობს:

*„ამ პიროვნებას, მგონი, თავის ნაცვლად მხრებზე ქოთანი აბია და შიგნით ტვინის ნაცვლად ლობიო უდუღს. მივირთვათ ჩვენს მიერვე შეკვეთილი ეს არაჩვეულებრივი კერძი, ცხელცხელი, პირდაპირ ქოთნიდან; ოღონდ, ყურადღებით ვიყოთ, ლობიოს ქოთნის ნაცვლად ბოლოს ღამის ქოთანი არ შეგვრჩეს სუფრაზე და, შესაბამისად, ლობიოს ნაცვლად შიგნით — ის ... **(ეკრანზე ჩნდება ქაქის ე.წ. ემოჯი. რედ.)**, რისი სუნიც იდგა რამდენიმე დღის წინ პარლამენტში“.*

დღეს იგივე **გიორგი გაბუნია** საპრეზიდენტო რეზიდენციაში სტუმრობს და პირღიმილიანი ესალმება იგივე **სალომე ზურაბიშვილს,** რომელზეც გუშინ ამბობდა — **თავის ნაცვლად ღამის ქოთანი ადგას და შიგ ქაქი უდუღსო!**

თავის მხრივ, იგივე **სალომე ზურაბიშვილი** საკუთარ რეზიდენციაში იღებს და გულთბილად მასპინძლობს იგივე **გიორგი გაბუნიას,** რომელიც გუშინ სალომე ზურაბიშვილის მხრებზე თავის მაგივრად **ქაქით სავსე „გარშოკს“** ხედავდა!

ამიტომაც არიან სამარცხვინონი **ზურაბიშვილიცა და გაბუნიაც!**

ამიტომაც იყო ფარისევლობისა და ორპირობის ზეიმი **სალომე ზურაბიშვილისა** და ნაცტელეკანალიზაციების წარმომადგენელთა **სამარცხვინო შეხვედრა,** სადაც ნამდვილად იდგა ის სუნი, რაც გიორგი გაბუნიას ცოტა ხნის წინათ სცემდა სალომე ზურაბიშვილის მხრებზე **„თავის მაგივრად გამობმული ღამის ქოთნიდან“!**

**არც სალომე ზურაბიშვილია ჰიუგოს „საბრალონის“ გმირი – ეპისკოპოსი ბენვენიუ, რომლის დიდსულოვანმა საქციელმაც ქურდი ჟან-ვალჟანი კეთილ ქველმოქმედად აქცია და არც ნაცტელეკანალიზაციების წარმომადგენლები არიან ჟან-ვალჟანები, რომლებმაც კარდინალური პიროვნული ტრანსფორმაცია განიცადეს! ერთიცა და მეორენიც სამარცხვინონი არიან! უბრალოდ, სამარცხვინონი!**

*ჯაბა ხუბუა*



სალომე ზურაბიშვილი და ნაცსექტის კარის იუმორისტები



## დავიწყოთ სალომე ზურაბიშვილის „საქმენი საგმირონის“ არასრული სიით:

**1.** შეწყალების გზით კრიმინალი „პოლიტიკოსების“ გათავისუფლება;

**2.** საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის ლობირება;

**3.** ამერიკული კანონის (FARA-ს) „რუსულ კანონად“ მონათვლის მხარდაჭერა;

**4.** პოლიციელებზე „მოლოტოვის კოქტეილებით“ თავდამსხმელთა აქტიური ქომაგობა-წახალისება;

**5.** საქართველოს დადანაშაულება რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დარღვევაში;

**6.** ქვეყნის კონსტიტუციის სისტემატური, დემონსტრაციული დარღვევა;

**7.** ევროპელების დარწმუნება, რომ საქართველოს ხელისუფლება ანტიევროპული და პრორუსულიაა;

**8.** საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების საწინააღმდეგოდ რუსეთის მხრიდან საჰაერო ფრენების აღდგენაზე ისტერიული რეაქცია;

**9.** პრიგოჟინის ერთდღიანი ვოიაჟის დღეს აცუნდრუკებული განცხადებების გაკეთება და ქვეყნისათვის რეალური საფრთხის შექმნა;

**10.** გააქტიურება ოპოზიციურ ფლანგზე, რაც სხვადასხვა ჯგუფებთან შეხვედრების ორგანიზებასა და ვითომ ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსზე ხელმოწერების შეგროვებაში გამოიხატება.

## რის მიღწევას ცდილობს მადამ პრეზიდენტი?

ხელმოწერების შეგროვება ევროსტატუსის მოსაპოვებლად მხოლოდ საკუთარი თავის გაპიარებას ემსახურება, რადგან საკითხი არსებითად გადაწყვეტილია და მალე ეს ოფიციალურადაც გამოცხადდება. ამ ყალბი კამპანიის ერთ-ერთი მიზანი ისიც არის, რომ 15 დეკემბერს ხელმოწერები პირადად ჩაიტანოს ევროპაში და გაამყაროს ყალბი ნარატივი — თითქოს **საზოგადოებას მიეცა ეს სტატუსი და არა — ხელისუფლებას.**

რაც შეეხება სხვადასხვა ჯგუფებთან **(ჟურნალისტებთან, მეცნიერებთან, ხელოვნების მუშაკებთან, სტუდენტებთან, არასამთავრობოებთან და სხვებთან)** შეხვედრებს, აქაც თვალნათლივ ჩანს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი იფლანგება არა საქვეყნო საქმეებისათვის, არამედ მხოლოდ **სალომე ზურაბიშვილის** პიარისა და საკუთარი გუნდის ფორმირებისათვის.

## ავბედითი პარალელი:

გვახსენდება **სააკაშვილის** იუსტიციის მინისტრობისა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს მის მიერ ვიწრო პარტიული მიზნებისათვის საბიუჯეტო თანხების ფლანგვის ფაქტები, რაც **კონტროლის პალატის მაშინდელმა თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა** გაასაჯაროვა და პროკურატურაშიც გადააგზავნა. სწორედ ამ დოკუმენტაციის გამომზეურებას მოჰყვა სააკაშვილის მხრიდან უმწვავესი რეაქცია და პრეზიდენტის შურისძიებას შეეწირა ჯერ **სულხან მოლაშვილის თავისუფლება,** შემდეგ — ჯანმრთელობა და ბოლოს — სიცოცხლე!

**სამწუხაროა, რომ დღემდე არ გამხდარა ეს ფაქტი გამოძიებისა და სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენის საფუძველი.** ასევე დღესაც არავინ ინტერესდება, რამდენად მიზნობრივია **სალომე ზურაბიშვილის** მხრიდან ბიუჯეტის ფულის ფლანგვა მომხრეების შესაგროვებლად და მასობრივი პროპაგანდისტული ფართების ორგანიზება.

რაც შეეხება იმას, რომ იმპიჩმენტს გადარჩენილი და საკუთარი პარტიის არმქონე პრეზიდენტი აპირებს თავის გარშემო ე.წ. **„შუას“** შეგროვებას (რაც ხანდაზმული თაღლითის — **მამუკა ხაზარაძის მიზანია),** გასარკვევი მხოლოდ ისღა რჩება, რომელ პარტიას აირჩევს ქოლგად.

ერთნი ამბობენ, რომ რადიკალების საპირწონე კოალიციას ის გახარიასთან, იაგო-გირჩთან, ლომჯარიასთან, ალეკო ელისაშვილთან და სხვებთან ერთად შექმნის, მეორენი მიიჩნევენ, რომ ის შეიძლება უშუალოდ **„ლელოს“ ქოლგის ქვეშ** გაერთიანდეს და რაც ყველაზე სავალალოა, თავისი ურეიტინგობის კომპენსაცია მას შეუძლია მოახდინოს უცხოეთში საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო პოზიციების დაფიქსირებით!

აკი, **სააკაშვილიც** პერმანენტულად უტეხდა სახელს საქართველოს ათასი ჯურის გადამთიელი სახელმწიფო მოხელეებისა თუ ვაი-ექსპერტების დახმარებით.

მოიძებნება კი ახალი **სულხან მოლაშვილი,** რომელიც ამჯერად მაინც შეძლებს, შეაჩეროს პრეზიდენტად აღზევებული უსაქმური, **რომელმაც თავისი უსარგებლო პიარვოიაჟებით კიდევ ერთი წელი უნდა ხრას სახელმწიფო ბიუჯეტი და, შესაბამისად, მშრომელთა ჯიბე?!**



ნანა კაკაბაძე

# მოიძებნება კი ახალი სულხან მოლაშვილი, რომელიც ამჯერად მაინც შეძლებს, შეაჩეროს პრეზიდენტად აღზევებული უსაქმური?!

## კვირგვინოსნები



**გიორგი მამაცაშვილი**

*საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე*

ლამის ხუთი წლის განმავლობაში, **არცერთხელ (!) არ გახსენებია** საინფორმაციო სააგენტოები და ბეჭდვითი მედია **ქალბატონ პრეზიდენტს. არცერთხელ!** და ახლა, ცამოწმენდილზე, **პრეზიდენტის სასახლეში დაპატიჟეს მედია.** დაპატიჟეს სრული შემადგენლობით — **მეტრამპაჟეებითა და დამკაბადონებლებით, მზარეულებითა და სტილისტ-კორექტორებით, მძღოლებითა და ასოთამწყობებით, ჟურნალისტებითა და „ჟუუუუუურნალისტებით“...** ოღონდ, სახელობითად არა. არ იცოდნენ ამდენი ჟურნალისტის სახელი. **დაპატიჟეს ერთიანად.** როგორც **ლიაკა ხოშტარიას** საყვარელ ქვეყანაში ამბობენ — **„ოპტომ“.** თან, „ევროპულ ზარ-ზეიმს“ ნებაყოფლობითი ხელმოწერით შემოუერთდითო. ოღონდ, **საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი არც გახსენებიათ სალომე ზურაბიშვილსა და მის მიერ მოსაწვევების დასარიგებლად გამწესებულ ქვეშევრდომებს.** რომც გახსენებოდათ, ამით არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ... **იმთავითვე ხელი ვკარი მათ მოწვევას, რადგან აშკარად ჩანდა, ერთადერთ ოლიგარქად ბიძინა ივანიშვილის შემფასებელ ზურაბიშვილს რაღაცა „ოღრაშობა“ ჰქონდა ჩაფიქრებული.**

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამტყუნებულ და ოპოზიციურ ფრონტზე **ოფიციალურად გადასაბარგებლად გამზადებულ პლეზიდენტს მხარდამჭერთა დიდი არმია სჭირდება ევროპელთათვის თავის მოსაწონებლად.** შესაძლოა, ახალი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელადაც.

სასაცილოდ ჟღერს, შეიძლება, მაგრამ სატირალი უფროა — **მედიასთან პრეზიდენტის შეხვედრაზე არ ყოფილან ჟურნალისტები!** ნაციონალური მოძრაობისა და მის ანასხლეტთა **პარტიული ტელევიზიების ე.წ. ჟურნალისტებს არც ვგულისხმობ.** რაღა დროის მათი ჟურნალისტიკაა.

# ნაცსექტა სექტუალურ უმრავლესობად და სექტუალურ უმცირესობად დაიყო!

***ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში დავწერეთ: ნაციონალური მოძრაობის მიერ „ვარდების რევოლუციის“ 20 წლისთავზე გამოქვეყნებული ე.წ. ერთიანობის მანიფესტი, სინამდვილეში, პარტიიდან ნიკანორ მელიას გასარიცხად მოფიქრებული ფანდი აღმოჩნდა.***

**კეზერაშვილ-მერაბიშვილის ჩრდილოვანი დუეტის** მიერ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობიდან მოსრიალებული და სასაცილო **ლევან ხაბეიშვილით** ჩანაცვლებული **ნიკანორ მელია** პარტიის რიგებში რომ აღარ ირიცხება, ამის შესახებ თავად ხაბეიშვილმა განაცხადა და არამხოლოდ განაცხადა, არამედ წერილობითაც დაადასტურა.

ეს მოხდა ხაბეიშვილისათვის ახალი პალტოს შემძენი და ახალი კბილების ჩამსმელი **კეზერაშვილის ტელეჯიხურის — „ფორმულას“** ეთერში, სადაც ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების გამძარცველი ოლიგარქის „ჯიბის ჟურნალისტებმა“ — **ვახო სანაიამ და ნინო ჟიჟილაშვილმა** ნაცმოძრაობის სასაცილო თავმჯდომარეს მოსთხოვეს, წერილობით დაედასტურებინა ან უარეყო, **არის თუ არა მელია პარტიის წევრი?**

ჰოდა, **სანაიას** მიერ იქვე, სახელდახელოდ შედგენილ წერილზე **ხაბეიშვილმა** მიაწერა: **„არ არის, არ წარმოადგენს“.**

**ჟიჟილაშვილმა** ქაღალდი ტელეკამერებს რომ მიუშვირა და ეკრანზე ხაბეიშვილის მიჯღარკულ-მოჯღარკული ხელნაწერი გამოჩნდა, **უმალ გაგვახსენდა 1996 წელს მიხეილ სააკაშვილის მიერ თბილისის აეროპორტის პოლიციის განყოფილების უფროსის სახელზე დაწერილი საჩივარი,** რომელშიც იგი აღწერს, თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსულს როგორ სტაცა ქეჩოში ხელი **ვინმე ბობეხაშვილმა** და როგორ უთხრა — **შე ჩემის გადანგრეულოო!**

როგორც აღმოჩნდა, სააკაშვილსა და ხაბეიშვილს თითქმის ერთნაირი ხელწერა ჰქონიათ და ორივე ისე წერს ქართულად, როგორც საშუალო სკოლის ოროსანი მოწაფე! თუმცა, სააკაშვილისა და ხაბეიშვილის კალიგრაფიაზე უფრო სავალალო ის ამბებია, რაც მათ პარტიაში ტრიალებს!

**უნდა დავაკონკრეტოთ: სავალალოა თვითონ ნაცებისათვის, თორემ საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის**




**ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს ერთ წევრს — ეკა წამალაშვილს მის მიერ შექმნილი „მოდელირებული ქრონიკის“ ყურებისას გულგახეთქილი გაიოზ ოდიშელიძისა და ვანო ნასარიძის სულები არ მისცემენ მოსვენებას, ხოლო ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს მეორე წევრს — გენერალ მამუკა ყურაშვილს ნაცრეჟიმის მიერ მოკლული პოლკოვნიკ გია კრიალაშვილის, პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის, სერჟანტ როინ შავაძისა და სამხედრო მწვერავ პაატა ქარდავას სისხლი არ მოასვენებს!**

## კვირგვინოსნები

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



ის სისტემა, რაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს თვითონ შექმნეს, ახლა ჭამს ნაციონალურ მოძრაობას — **ყოველ წელს რიგგარეშე არჩევნებს, რევოლუციასა და არეულობას გვიანონსებდნენ** და ეს ყველაფერი საკუთარ პარტიაში მიიღეს.

„აიპრესი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



გაარკვიეს, რომ **ნიკა მელია ირიცხება,** მაგრამ ჯერ ვერ გაარკვიეს, **პარტიაში ირიცხება თუ პარტიიდან,** როგორც ჩანს, **მელია** კვლავ რჩება **ხაბეიშვილის თავის ტკივილად და ხაბეიშვილი — მელიას გულისტკივილად.**

„პირველი არხი“

**ვახტანგ მაისაია**
*ანალიტიკოსი*



არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს **ლევან ხაბეიშვილის,** ის უნდა იყოს ნაცმოძრაობაში, **რათა ეს პარტია კიდევ უფრო ჩაიძიროს** პოლიტიკურ ჭაობში.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გიორგი ბარამიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



მივყვეთ გზას, რასაც გვირჩევს **სააკაშვილი,** რომლის დარი **ავტორიტეტიც** პარტიაში არ არის.

„რეზონანსი“

# სექტუალურ უმრავლესობაში ისინი არიან, ვინც სააკაშვილს მავზოლეუმი გაუხსნა, ხოლო სექტუალურ უმცირესობას წარმოადგენენ ისინი, ვისაც წმინდანის ხატის გვერდით ნიკანორ მელიას სურათი აქვს ჩამოკიდებული!





**ძალიანაც კარგია, რომ მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ პარტიაში ერთმანეთს ისე ჭამენ, როგორც ვირთაგვები „დათა თუთაშხიადან" ცნობილ თორიას რკინის კასრში.**

დიახ, რაც უფრო მეტად დასუსტდება და რაც უფრო მალე დაიშლება ნაციონალური მოძრაობა, მით უკეთესი იქნება ქართული პოლიტიკისა და დემოკრატიისათვის, რადგან სისხლიანი რეჟიმის ნარჩენთაგან გასუფთავებულ და გათავისუფლებულ სივრცეს ჯანსაღი და ქართველი ხალხის სისხლში გაუსვრელი ოპოზიციური ძალები დაიკავებენ!

პარტიაში დაწყებული რღვევისა და დაუძლურების პროცესი როგორმე რომ შენიღბონ, ამისათვის ნაცები ათასგვარ ხრიკს მიმართავენ და ცდილობენ, საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა კი, თავიანთი სასოწარკვეთილი ამომრჩეველი დაარწმუნონ — **ნაცმოძრაობა კი არ სუსტდება და იშლება, პირიქით, მსხვილდება და ძლიერდებაო!**

სწორედ ამ მიზნით, **ნაცმოძრაობის სასაცილო თავმჯდომარემ** გასულ კვირას პარტიის პოლიტსაბჭოში 20 ახალი წევრი მიიღო, თუმცა, მათი უმეტესობა ახალი კი არა, გვარიანად მოძველებული და გაცვეთილი ნაცია. ავიღოთ, მაგალითად, **სევდია უგრეხელიძე,** რომელიც ნაცმოძრაობის სიით თბილისის არაერთი მოწვევის საკრებულოს წევრი იყო, მერე თბილისის მერის — **გიგი უგულავას** პირველი მოადგილეც გახლდათ და ერთხანს, როცა დედაქალაქის ბიუჯეტიდან 48 მილიონის მომპარავი ვირის აბანოში მიაბრძანეს, სევდიანი უგრეხელიძე მერის მოვალეობასაც ასრულებდა.

სევდიასთან ერთად ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოში შეიყვანეს **არც ისე სევდიანი ეკა წამალაშვილი,** რომელიც ერთ დროს სააკაშვილის რეჟიმის მიერ ოკუპირებულ ტელეკომპანია „იმედში" იყო გაჭეჭყილებული და იმ ავადსახსენებელი **„მოდელირებული ქრონიკის"** პროდიუსერი გახლდათ, რომელსაც ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. კერძოდ, 2010 წლის 13 მარტს, **წამალაშვილის პროდიუსერობით მომზადებული „მოდელირებული ქრონიკის" ყურებისას,** დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირის მკვიდრს, 50 წლის **გაიოზ ოდიშელიძეს** გულის შეტევა დაემართა და პირდაპირ ტელევიზორის წინ დალია სული, ხოლო აფხაზეთიდან დევნილ, თბილისში მცხოვრებ 75 წლის **ვანო ნასარიძეს** ინსულტი მოუვიდა და სამ დღეში გარდაიცვალა.

თუ **ეკა წამალაშვილი** „მოდელირებული ქრონიკის" მეშვეობით უხეთქავდა გულს საქართველოს მოსახლეობას — **რუსის ჯარმა თბილისი აიღოო,** დღეს მასთან ერთად ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოში გაწევრიანებული **მამუკა ყურაშვილი** 2008 წლის 7 აგვისტოს აცხადებდა — **ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას ვიწყებთო!** სწორედ ამ განცხადების გამო, სააკაშვილის რეჟიმმა **გენერალი ყურაშვილი** არამხოლოდ სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსობიდან მოხსნა, არამედ საჯარო სივრციდან საერთოდ გააქრო და ხმის ამოღება აუკრძალა. მან მედიაში გამოჩენა მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის გადავარდნის შემდეგ გაბედა და აგვისტოს ომის დროს ნაცლიდერთა სამარცხვინო ქმედებების შესახებ ალაპარაკდა, თუმცა, დღეს იმავე ნაცლიდერების გვერდით დგას და ომის დროს მიწაზე მფორთხავ მთავარსარდალს უკმევს გუნდრუკს.





ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს ერთ წევრს, ჟურნალისტ **ეკა წამალაშვილს** მის მიერ შექმნილი „მოდელირებული ქრონიკის" ყურებისას გულგახეთქილი **გაიოზ ოდიშელიძისა და ვანო ნასარიძის** სულები არ მისცემენ მოსვენებას, ხოლო ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს მეორე წევრს, ბრიგადის გენერალ **მამუკა ყურაშვილს** ნაცრეჟიმის მიერ მოკლული სამხედროების — პოლკოვნიკ **გია კრიალაშვილის,** პოლკოვნიკ **სერგო თეთრაძის,** სერჟანტ **როინ შავაძისა** და მზვერავ **პაატა ქარდავას** სისხლი არ მოასვენებს!

რაც შეეხება ჯერ ნაცმოძრაობის თავმჯდომარეობიდან დაცურებულ, ახლა კი პარტიიდან სულ მთლად გაგდებულ **ნიკანორ მელიას,** რომელმაც ე.წ. ერთიანობის მანიფესტს ხელი არ მოაწერა, მისი ფლანგის ნაცები პარტიის თავმჯდომარეობიდან **ხაბეიშვილის** გადადგომასა და ახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვენ.

გასულ კვირას ნაცმოძრაობის თბილისის რაიონული ორგანიზაციის ოფისში გამართულ ბრიფინგზე მელიას ფრთის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა **ბესო ბაზღელიანმა** განაცხადა — **ახალი „მენეჯმენტმის" არასწორმა გადაწყვეტილებებმა პარტია უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო და აქედან ერთადერთი გამოსავალი „მომქმედი" თავმჯდომარის გადადგომა არისო!**

კი, სწორედ ასე თქვა ბაზღელიანმა — **„მენეჯმენტმი"** და **„მომქმედიო"...**

ეს ის **ბაზღელიანია,** რომელმაც რამდენიმე წლის წინათ რუსთაველის გამზირზე 9 აპრილს დაღუპულ გმირთა მემორიალთან სლოვაკეთის დელეგაციის მიერ მიტანილი სამგლოვიარო გვირგვინი დაწვა, რადგან მასზე არშიასავით შემოვლებული სლოვაკეთის სახელმწიფო დროშა რუსეთის დროშა ეგონა.

თუმცა, ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ **ნაციონალური მოძრაობის თბილისის რაიონული ორგანიზაციის ოფისში ნიკა მელიას გამოსახულებიანი ბუკლეტი კედელზე ხატის გვერდით კიდია.** ეს კადრში გამოჩნდა მაშინ, როცა ტელევიზიებმა ეთერში მელიას მომხრეთა ბრიფინგი გადასცეს.

**რაკი ნაცების ოფისში მელიას ფოტო წმინდანის ხატის გვერდით კიდია, გამორიცხული არ არის, ნაცმოძრაობიდან გაყრილთა ახალი პარტიის ჰიმნი დაიწყოს სიტყვებით — „ჩვენი ხატია მელია..."**

ნაციონალური მოძრაობა, მისი ყველა ფრთითა თუ დაჯგუფებით, სექტანტური წარმონაქმნია და სექტისაგან არაფერია გასაკვირი — **არც ცოცხალი სააკაშვილის მავზოლეუმის გახსნა შიგ დასვენებული პიჯაკ-ბოტასებით და არც მელიას პორტრეტის ჩამოკიდება წმინდანის ხატის გვერდით!**

„ქართული ოცნების" თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა — **ნაციონალური მოძრაობა ბოლშევიკებად და მენშევიკებად დაიყოო,** თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ნაციონალური მოძრაობის სახით სექტასთან გვაქვს საქმე, ჩვენ ასე ვიტყოდით — **ნაცსექტა სექტ**უალურ უმრავლესობად და **სექტ**უალურ უმცირესობად დაიყო!

**სექტ**უალურ **უმრავლესობაში** ისინი არიან, ვინც სააკაშვილს მავზოლეუმი გაუხსნა, ხოლო **სექტ**უალურ **უმცირესობას** წარმოადგენენ ისინი, ვისაც წმინდანის ხატის გვერდით მელიას სურათი აქვს ჩამოკიდებული!

ნაცსექტის **სექტ**უალური **უმრავლესობაც** და **სექტ**უალური **უმცირესობაც,** ერთად თუ ცალ-ცალკე, კრახისათვის არის განწირული და ეს კრახი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საბოლოოდ და ოფიციალურად გაფორმდება!

## რაკი ნაცების ოფისში მელიას ფოტო წმინდანის ხატის გვერდით კიდია, გამორიცხული არ არის, ნაცმოძრაობიდან გაყრილთა ახალი პარტიის ჰიმნი დაიწყოს სიტყვებით – „ჩვენი ხატია მელია..."

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*



რუსეთისთვის **სანქციების დაწესებით** ჩვენ მათ ეკონომიკას ზიანს ვერ მივაყენებთ, მაგრამ **ეს იქნება გასროლა საკუთარ ფეხში.**

„იმედინიუსი"

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



ხალხი ფიქრობს — **„კაცო, ამ რუსეთის გავლით ევროპა აღარ გაგვიგიაო",** ვეღარ ხვდებიან უკვე რაშია საქმე — **გარუსების გეგმა ჩავარდნილია,** გაცვეთილი და გოიმური მესიჯია.

„ინტერპრესნიუსი"

**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს" წევრი, პარლამენტარი*



ითქვა, თითქოს „ოცნებას" **ოპოზიცია ვუწოდებთ რუსებს** — გირჩევთ, გაეცნოთ რუსულ პრესას, **მოკავშირედ რუსები გაცხადებენ,** გიკრავენ ტაშს, **პუტინის** რეჟიმს მიაჩნიხართ სანდო პარტნიორად.

„ინტერპრესნიუსი"

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



სალომე სამადაშვილი და **„ჭიჭე" ვაშაძე** უნდა ჩასვა თაფლში და უნდა გამოფინო, **როგორი არ უნდა იყოს პოლიტიკოსი.**

„ინტერპრესნიუსი"

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**სრული ქაოსია ნაცმოძრაობაში** — ვითარება, რასაც თვალს ვადევნებთ, აბსურდის თეატრია, **რევოლუციური კომიტეტის დაშლის პროცესი** მიმდინარეობს.

„ინტერპრესნიუსი"

**ბექა ლილუაშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის" წევრი*



მივმართავთ „ოცნების" ბოსებს, **მოგვაწოდონ ინფორმაცია სააკაშვილის სტატუსზე** — თუ მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, **რატომ არ არის გადაყვანილი საპატიმროში?!** „ინტერპრესნიუსი"

# ყოჩაღ, ჯაბა!



## უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ 30 ნოემბერს აჩვენა, რომ

# ღირსია ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო კეცხოველის სავარძელში მორჭმით იჯდეს!

***წინამდებარე წერილი იმ კაცის ქებით უნდა დავიწყოთ, რომელთანაც 2023 წლის 7-8 მარტის არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ უბრად ვიყავით.***

ვგულისხმობთ ჩვენი დედაუნივერსიტეტის რექტორსა და სტუდენტობისდროინდელ ნაცნობ-ამხანაგს, შესანიშნავ ქართველ ისტორიკოსს, **აკადემიკოს ჯაბა სამუშიას,** რომელმაც მაშინ, იმ საშინელ და ქარცეცხლიან დღეებში, ჩვენი აზრით, შეცდომა დაუშვა და **ამ მართლაცდა აყროლებულ ქალს — ნინო ლომჯარიას,** რომელიც საქართველოს **სახალხო დამ*...ად** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **მუშაობდა,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში უფლება მისცა, მთელი უნივერსიტეტის სტუდენტობისა და პროფესურის თვალწინ მოესაქმებინა!

მოგეხსენებათ, ის დრო იყო, როცა საქართველოს ხელისუფლებასა და ქართულ სახელმწიფოს **„მოლოტოვის კოქტეილებით“ შეიარაღებული და ამერიკის სპეცსამსახურების მიერ გაქეზებული გეი-აგენტურა უტევდა,** ხოლო **რეზიდენტ-პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი** ამერიკიდან პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს ქვეყნის დაქცევასა თუ რუსთაველის პროსპექტის გადაბუგვას და თავისი განცხადებებით ცეცხლზე ნავთს ასხამდა.

და აი, 30 ნოემბერს **საქართველოს რეზიდენტ-პრეზიდენტი, მოღალატე სალომე ზურაბიშვილი** დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტს მიადგა და სტუდენტებთან შეხვედრა მოითხოვა, აქაოდა, ევროინტეგრაციაზე საჯარო ლექცია უნდა ჩავატაროო! **რექტორმა ჯაბა სამუშიამ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ** კონდიცირების სისტემის გაფუჭების გამო ზურაბიშვილი უნივერსიტეტში არ შეუშვეს... მომხდარი მაშინვე გააპროტესტეს **სააკაშვილ-ხაზარაძის გაერთიანებული ტელებორდელის** წარმომადგენლებმა, რომლებიც მაშინვე აკნავლდნენ — **აქაოდა, „პრეზიდენტი დაბლოკესო!“** არადა, შიდა წყაროებიდან დანამდვილებით ვიცით, რომ 2023 წლის 7-8 მარტის ცნობილი მოვლენებიდან მოყოლებული, რაც **ნინო ლომჯარია** ჩვენთვის საფიცარი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მიეთრა და იქაურობაააყროლა, იმის შემდეგ შენობას მართლაც ვერ ანიავებენ. სწორედ **ლომჯარიას მიერ დაყენებული ყროლის გამო,** კონდიცირების უახლესი და ცინცხალი სისტემა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი დაყენებული იყო, გამოცვალეს და დღემდე უფრო ზემძლავრ აპარატურას ეძებენ, რათა შენობა განიავდეს.

**ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, თუ უნივერსიტეტისთვის ნინო ლომჯარიას მიერ ერთხელ უკვე დაწეულ უბედურებას ახლა სალომე ზურაბიშვილის ყროლის სუნიც დაემატებოდა?!**

მოკლედ, **აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ,** რომელიც ალღოიანი და ანგარიშიანი კაცია, **მოსალოდნელი საფრთხეები და ჰიპოთეტური ყროლის კოეფიციენტი შეაფასა და მიხვდა, რომ, თუ სალომე ზურაბიშვილს უნივერსიტეტში შეუშვებდა, აკაკი შანიძის ასაკამდეც რომ ეცოცხლა, საქართველოს უპირველეს ალმა-მატერს ვერაფრით გაწმენდდა.** ამიტომ ეს პრობლემა უმარტივესი გზით მოგვარდა და **მაწანწალა რეზიდენტ-პრეზიდენტი,** რომელმაც იმ დღეს ქუთაისისა და ზუგდიდის უნივერსიტეტებშიც სცადა ლექციების გამართვა, სადაც კი მივიდა, ყველა უმაღლესი სასწავლებლიდან გამოაბუნძულეს!

ერთი სიტყვით, **უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ 30 ნოემბერს აჩვენა, რომ ღირსია ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო კეცხოველის სავარძელში მორჭმით იჯდეს!** სხვათაშორის, დღეს რატომღაც ნაკლებად აქცევენ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ აკადემიკოსი **ნიკო კეცხოველი,** რომელიც 1921 წლის თებერვალში საქართველოს დამოუკიდებლობას თოფით ხელში იცავდა და კოჯორთან და ტაბახმელასთან ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიას ებრძოდა, დედაუნივერსიტეტის რექტორი **1945-1953 წლებში** იყო... მიგვაჩნია, რომ ეს წლები გამარჯვებული საქართველოს ეპოქაა, როცა ქართველი კაცის სახელი და დიდება ერთი უპატრონო გორელი ბიჭის გენიამ მთელ მსოფლიოში გატყორცნა და საქართველო დიდსა და პატარას გააცნო.

იმედი გვაქვს, **თუ ოდესმე უხსენებელი ნინო ლომჯარია კვლავ მოინდომებს უნივერსიტეტის სტუდენტების „დაჩმორებას“, მასაც ისევე მოექცევიან, როგორც სუტ-პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მოექცნენ და გამოაბუნძულებენ!**

არანაკლებ საინტერესო გახლდათ მთელი ამ ისტორიის მეორე განყოფილება, როცა **მამუკა ხაზარაძისა** და სააკაშვილის ტელეკომპანია **„პირველში“** გამოიყვანეს ჩემთვის უძვირფასესი ოჯახის შვილიშვილი, უნიჭიერესი სტუდენტი **ნიკო მანაგაძე,** რომელიც, საუბედუროდ, მებრძოლი ნაცია... **ქრისტესმიერი სიყვარულით ვურჩევთ ნიკოს, ნუ ანერვიულებს ძვირფას ბებოს — ქალბატონ ნატას, ქალბატონ ვიკას და ქალბატონ რუსუდანს, რომლებიც დიდებული ქართველები არიან და სხვაგან მიმართოს თავისი ნიჭი.**

ნიკო, დროულად ჩამოშორდი სააკაშვილის გარყვნილ სარეცელზე ნაკოტრიალებთა სექტას, რომელმაც საქართველოს სისხლის ცრემლებისა და გვამების მეტი არაფერი მოუტანა!

რაც შეეხება **შეფურთხების პროფესორ გია ბუღაძეს,** რომელიც იმავე ტელებორდელმა სალომე ზურაბიშვილის დასაცავად და ქომაგად წარმოგვიდგინა, შევახსენებთ, რომ, **ვიდრე სამხატვრო აკადემიაში უბინძურეს პერფორმანსს დადგამდა და სტუდენტებს ერთმანეთისთვის სახეში აფურთხებინებდა, მანამდე მან და მისმა შვილმა ქართველ ერს სულში ჩააფურთხეს, როცა თამარ დედოფალი შეურაცხყვეს და თავი დოქსოპულოდ გაგვაცნეს.** ავადმყოფ **ლაშა ბუღაძეზე** რომ არაფერი ვთქვათ, გახსოვთ, ალბათ, როცა ცხონებულმა აკადემიკოსმა **გურამ შარაძემ** საჯარო ბიბლიოთეკაში გამოფენილი ვინმე **რაფალ ოლბინსკის პორნონახატები** ჩამოგლიჯა, გია ბუღაძე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც მაშინდელი კულტურის მინისტრის **ნიკა რურუას** გვერდით დადგა და სააკაშვილის ჩაფრებს შეშლილი სახითა და ღრიალით მოუწოდა — **გურამ შარაძე დაიჭირეთო!**

არასოდეს, არსად, **გია ბუღაძესა და მის მასტურბატორ შვილს, ტუალეტის მჯღაბნელ ლაშას,** რომელიც მამუკა ხაზარაძის „უბორნიის“ მარადმწვანე ბინადარია, სააკაშვილის გარყვნილი და მანიაკური რეჟიმის მიერ ჩადენილი არცერთი დანაშაული არასდროს გაუპროტესტებიათ, რადგან დღემდე სწორედ ამ თაღლითებისა და ცივსისხლიანი მკვლელების კმაყოფაზე არიან.

**ყოჩაღ, ჯაბა, კარგს იზამ, თუ აწი უნივერსიტეტიდან იმ ნაცსექტანტებსაც გამოაბუნძულებ, რომლებმაც დედაუნივერსიტეტი სათხებოდ აქციეს, ხოლო კახა ლომაიას მინისტრობს დროს ტუალეტში ჩაკეტილი ნამდვილი პროფესურა შინ გაუშვეს და ჩარეცხეს!**

***დიტო ჩუბინიძე***



## მაწანწალა რეზიდენტ-პრეზიდენტი სადაც კი მივიდა, ყველა უმაღლესი სასწავლებლიდან გამოაბუნძულეს!

## კვირგვინოსნები

**დავით კაჭარავა**
*„ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



**ნაციონალური მოძრაობის დაშლა გარდაუვალია.**

„იმედინიუსი“

**ირმა ზავრადაშვილი**
*პარლამენტარი*



ერთადერთ ნაბიჯად მედიცინაში **„ღიმილიანი საქართველოს“** პროექტი დატოვეთ — **კბილები დააძვრეთ ხალხს** და მართლაც, გაღიმებულები დატოვეთ.

„იმედინიუსი“

**გრიგოლ გიორგაძე**
*თავდაცვის მინისტრის მოადგილე*



**„თავდაცვის კოდექსში“** დაგეგმილი ცვლილებები **არაკეთილსინდისიერი მიდგომით ჯარისგან თავის არიდებას გამორიცხავს** და რეალურ შემთხვევებში სტუდენტის განათლების უფლების რეალიზებას უზრუნველყოფს.

„ინტერპრესნიუსი“

**ამირან სალუქვაძე**
*სამხედრო ექსპერტი*



ფრაზა **„ღამის ნოტარიუსი“** ხომ არაფერს გეუბნებათ კოლექტიურ ნაცმოძრაობას?! ვისაც არ ახსოვს, გუგლში მოიძიეთ. სახელს და გვარსაც ამოგიგდებთ, **ნუნუ გინტური,** რომელიც, სხვათაშორის, **ახლახან გაასამართლეს,** თუმცა, სხვა საქმეზე.

„ალია“



## ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ:

## „ᲢᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲨᲔᲕᲪᲕᲐᲚᲔᲗ ᲗᲣ „ᲐᲠᲢᲐᲠᲔᲐᲛ“ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ?!

# ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲪᲓᲝᲛᲐ

***2023 წლის 30 ნოემბერს ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის პროგრამა „ღამის მთავარში“, რომელსაც სააკაშვილის მუხლებზე ნავარჯიშები ეკა კვესიტაძე უძღვება, საქართველოს სასამართლოს მიერ „ხანდაზმულ თაღლითად“ გამოცხადებულმა მამუკა ხაზარაძემ უნებურად აღიარა, რომ ტელეკომპანია „არტარეას“ გარდა, რომელიც „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებული „ინტელექტუალეტების“, „უბორნიის პოეტებისა“ და „ტუალეტის მჯღაბნელების“ ტრიბუნაა, ხანდაზმული თაღლითი ტელეკანალიზაცია „პირველსაც“ აფინანსებს!***

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, **ვანო მერაბიშვილის კლონის, ტუჩებგადაბანტული შოთა უტიაშვილის ქმრის — ეკა კვესიტაძის** სტუდიაში სტუმრობისას, **მამუკა ხაზარაძეს** ფროიდისეული „წამოცდენა“, ანუ ე.წ. Versprechen-ი მოუვიდა, რომელიც სრულფასოვან ფსიქოემოციურ აქტად ითვლება და გაკვირვებულმა იკითხა: „ტვ პირველის“ სარედაქციო პოლიტიკა შევცვალეთ თუ „არტარეამ“ კულტურის მაგივრად პოლიტიკის მაუწყებლობა დაიწყო?!“

ამით საბოლოოდ დადასტურდა, რომ **ნოდარა მელაძით** დაწყებული, იმ ორღობის კომედიანტებით დამთავრებული, რომლებიც ტვ „პირველის“ ეთერიდან ათასგვარ სიბინძურესა და ცილისწამებას აფრქვევენ, **ყველანი მამუკა ხაზარაძის „უბორნიის“ ბინადარნი არიან!**

მოკლედ, ჩვენ რომ აქამდე **„ჰუტელები“** გვეგონა, თურმე, „პირველზე“ მომუშავენიც „ხაზარები“ ყოფილან — იმ თურქულენოვანი, ნახევრად ველური ხალხის სულიერი შთამომავლები, რომლებიც საქართველოს სულ პირველად **627 წელს 40-ათასიანი ლაშქრით შემოესივნენ და 628 წელს თბილისი აიღეს...** მაშინ იმ ხაზარებს **ჯიბღუ-ხაკანი** მეთაურობდა, რომელიც სამი წლის შემდეგ შინაომის შედეგად მოკლეს, ხოლო **ეს „ხაზარები“,** რომლებსაც **მამუკა ხაზარ-ფაშა** ხელმძღვანელობს, საქართველოს 1992 წლის აგვისტოში, აფხაზეთში ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, დაეცნენ, როცა **„საქართველოს სახალხო-საინვესტიციო კორპორაცია“** შექმნეს და ედუარდ შევარდნაძის ხელდასხმით **ქართველი მეანაბრეები პირწმინდად გაძარცვეს.**

თუ იმ ხაზარებმა მხოლოდ თბილისი აიკლეს და შემდეგ გაქრნენ, **მამუკა ხაზარაძემ** მთელი საქართველო მოაოხრა და ოჯახი არ დარჩა, სადაც მისი კრედიტ-ოფიცერი და აღმასრულებელი არ შესრიალდა. არც ქართველ და არც უცხოელ მეისტორიეს არ დაუთვლია, რამდენი სახლი და ოჯახი გააუბედურეს **ჯიბღუ-ხაკანმა და მისმა ხაზარებმა** თბილისში, სამაგიეროდ, არსებობს სტატისტიკა, რომლის თანახმადაც საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი საბანკო ვალებში იხრჩობა და აქედან ნახევარზე მეტი **მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკის“** მოვალეა...

**საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მამუკა ხაზარაძისთვის თვალების პაჭუნი რომ არ დაეწყო და თავის დროზე ჩვენთვის დაეჯერებინა, ანაკლიის პორტიც აშენებული იქნებოდა და ასეულობით ოჯახიც გამოსახლებას გადარჩებოდა,** მაგრამ დიდი **დავით გურამიშვილისა** არ იყოს, **„უკუღმართად ხვნამ და თესვამ“** საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რასაც ყოველდღე ვუყურებთ — ტელეკანალიზაცია „პირველს“ **მამუკა ხაზარაძე** აფინანსებს, **სოფო ჭყონიას** მიერ მოწყობილ სოდომისტთა გეი-ფართს — **მამამისი ელტონ ჭყონია,** „ქართული ოცნების“ ყოფილი დეპუტატი **გედი ფოფხაძე აკია ბარბაქაძესთან** ერთად აპირებდა პარლამენტში შევარდნას, ხოლო ვანის გამგებლის მოადგილეს — **ლადიკა ხელაძეს,** რომელიც გაქანებული ნაცია, ნიფხავ-პერანგზე დღემდე „5“-იანი და შესაბამისი წარწერა აქვს ამოსვირინგებული — **„მე მიყვარს მიშა!“**

დიახ, ხელისუფლებას **მამუკა ხაზარაძისთვის** ხელი ცოტა მკაცრად რომ მოეკიდა, დარწმუნებული ვარ, ხაზარ-ბანკირს უფრო მნიშვნელოვანი და შოკისმომგვრელი Versprechen-ები მოუვიდოდა და ბოლომდე დაფქავდა, **რომელ ოფშორში გადამალა ის ასეულობით მილიონი დოლარი, რომელიც ქართველ ხალხს წაართვა და კიდევ რა მაქინაციები აქვს ჩადენილი ჭუტა წერეთელთან, დავით კეზერაშვილთან, ზურაბ ადეიშვილთან და სააკაშვილთან ერთად!**

იქნებ კუთხეში მიმწყვდეულ **მამუკას** გამოძიების წინაშე იმაზეც დასცდენოდა ორიოდე სიტყვა, **თუ ვისი დავალებით დასდევდა 1989 წლის 18 თებერვალს** სულმნათ **მერაბ კოსტავას** გადაჭრილი სკამის ფეხით და რას ჰპირდებოდნენ მერაბ კოსტავას ცემის სანაცვლოდ? უფრო მეტიც, კიდევ ვის ჯიბეში დაილექა ყბადაღებული **„500 დოლარით“** დაწყებული მისი ბიზნესი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ქართველ მეანაბრეთა ყვლეფის 30-წლოვანი ეპოპეა.

**ახლა მამუკა ხაზარაძე ზის თავის „უბორნიაში“ და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, ნაძარცვ-ნაალაფარი როგორ შეინარჩუნოს!**

ხაზართა ბელადს **ჯიბღუ-ხაკანს** საქართველოსთვის იმდენი ვნება არ მიუყენებია, რასაც **ხაზარ-ფაშა მამუკა** სჩადის. **ჯიბღუ-ხაკანმა** თბილისი გადაბუგა, გაძარცვა და წავიდა, **ხოლო მამუკა, რომელმაც ქართველ ხალხი გაქურდა, თავისი „პირველითა“ და „არტარეათი“ არეულობას გეგმავს, რათა კიდევ უფრო ახლოს მოვიდეს!**

საინტერესოა, წამოსცდება თუ არა ხაზარაძეს იმის შესახებ, **ვის მიაბარა შევარდნაძემ თავისი მილიარდები!**

***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***

> **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲭᲣᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲔᲯᲔᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲘᲪ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲝᲯᲐᲮᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ...**

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲗᲐᲙᲝ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲡ** ორ პროცენტად რომ შემოაქვს თანხები და 31 პროცენტად აძლევს ხალხს, **მევახშეა, აბა, რა!**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

**ᲘᲐᲒᲝ ᲮᲕᲘᲩᲘᲐ**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



**„ᲚᲔᲚᲝᲡ“** შემწეობით, ფაქტობრივად, **პარალიზებულია ორი ტელევიზია** და იქ გადის **ᲚᲔᲚᲝᲣᲠᲘ** და არა პოლიტიკური ამბები.

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



ჩვენ ბევრად დიდი ამბიცია გვაქვს, ვიდრე **5-პროცენტიანი ბარიერის** გადალახვაა.

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

**ᲔᲚᲘᲨᲔᲠ ᲒᲕᲔᲜᲔᲢᲐᲫᲔ**
*ანალიტიკოსი*



**ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** როდესაც ხალხს აყაჩაღებდა, **ნაძარცვი ქონების „გაპრავებას“ ახდენდა ხაზარაძე,** ამისათვის იღებდა **ე.წ. ბრწყინვალების ორდენებს** სწორედ სააკაშვილის მხრიდან.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔ**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



თუ საერთო **ოპოზიციური შეთანხმება** იქნება, „ქართულ ოცნებასთან“ კი არა, **მგელთან შევალ ბუნაგში.**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

# დასაწვავები

**გახსოვთ, რით დაიწყო საქმიანობა 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიული არჩევნების შედეგად ფორმირებულმა საქართველოს პარლამენტმა? რით და... ბუსუსებიანი პრეზერვატივების შესახებ კანონპროექტის განხილვით!**



## დეპუტატ სამნიძის მიერ კრემაციის საკითხის გააქტიურება პრევენციული ზრუნვაა იმ პოლიტიკანთა ხვალინდელ დღეზე, რომელთა გვამებსაც ქართული მიწა არ მიიღებს!



კი, **მაშინ, როცა** ქვეყნის თავზე დამოკლეს მახვილივით ეკიდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ სამართლებრივად გაბახებული და საკუთარ თავზე მორგებული კანონმდებლობა; **მაშინ, როცა** საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კოდექსები რადიკალურ ცვლილებებს საჭიროებდა, რათა ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაწყებულიყო, ქართველმა **კანონმდებლებმა იმაზე დაიწყეს მსჯელობა, უნდა აკრძალულიყო თუ არა ბუსუსებიანი პრეზერვატივების გაყიდვა?**

მართლა სერიოზული სახეებით ისხდნენ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები და მსჯელობდნენ — **ჩვეულებრივი პრეზერვატივი, რომელიც სექსუალური აქტის დროს თავდაცვის მიზნით გამოიყენება, თავისუფლად უნდა იყიდებოდეს, ხოლო ბუსუსებიანი პრეზერვატივი, რომელსაც სექსის დროს სიამოვნების გაძლიერების ფუნქცია აქვს, აღარ უნდა გაიყიდოს!**

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ქართველ კანონმდებელთა დღის წესრიგში ბევრი არაფერი შეცვლილა და **ახლა იმაზე აპირებენ საპარლამენტო განხილვების დაწყებას, რომ საქართველოში კრემაციის, ანუ ცხედრის დაწვის სერვისი რაც შეიძლება ფართოდ და თავისუფლად ხელმისაწვდომი გახდეს.**

კანონპროექტის ინიციატორი **„რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე** ბრძანდება, რომელმაც გასულ კვირას განაცხადა:

*„ჩვენს ქვეყანაში არსებობს ეკონომიკური საქმიანობის ჩამონათვალში **კრემაცია,** როგორც ეკონომიკური საქმიანობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, თუ ვინმე დაინტერესდება, მიიღოს **კრემაციის სერვისი,** ამის შესაძლებლობა არ არსებობს, რადგან არ არის დარეგულირებული კანონმდებლობა. საკითხის შესწავლის შემდეგ გადავწყვიტე, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონში ცვლილებით დარეგულირებულიყო ეს საკითხი და **ქვეყანაში, ვისაც სურს, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სხეულის კრემაცია მოხდეს, ამის შესაძლებლობა ჰქონდეს და იყოს არჩევანის თავისუფლება.** ეს საკითხი ეხება არჩევანის თავისუფლებას, განვკარგოთ საკუთარი სხეული გარდაცვალების შემდეგ. არიან ადამიანები, და ცოტა არა, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს და ელოდება, რომ ამის შესაძლებლობა იყოს ამ ქვეყანაში“.*

**დეპუტატმა სამნიძემ** ისიც განმარტა, თუ რატომ დაინტერესდა კრემაციის საკითხით:

***„დედაჩემმა დაიბარა კრემაცია. ჩვენ ეს სურვილი შევუსრულეთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაში ეს ვერ მოხერხდა. ამერიკაში მოგვიწია გადასვენებამ“.***

ცხადია, ყველა ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი რელიგიური შეხედულებისა და რწმენის ან სულაც ურწმუნოებისამებრ გადაწყვიტოს, რა უნდა მოუვიდეს მის სხეულს გარდაცვალების შემდეგ — მიწასაგან შექმნილი მიწადვე უნდა იქცეს თუ კრემატორიუმში დაწვან და ფერფლის სახით შეინახონ ან მიმოაბნიონ.

ეს ფრიად დელიკატური საკითხია და მის განხილვას არ შევუდგებით, მაგრამ მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტს დღემდე არ მიუღია ბევრი მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ქვეყანაში ასევე ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას გადაწყვეტდა და საზოგადოების ცხოვრებაზე სასიკეთოდ აისახებოდა, **რა დროს მიცვალებულის ცხედრის დაწვა-არდაწვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო განხილვებია?**

ვითომ საქართველოს კანონმდებლობა ისეა გაწიკწიკებული, მარტო კრემაციასთან დაკავშირებული რეგულაციების აჟურში მოყვანაღა დარჩა!

**ვითომ ქართველმა კანონმდებლებმა ყველა საშური საქმე მოილიეს და ახლა ის უნდა მოაგვარონ, რომ მიცვალებული დასაფერფლად სხვა ქვეყანაში აღარ გახდეს გადასასვენებელი!**

მაგალითად,

**საქართველოს პარლამენტს დღემდე არ მიუღია კანონი, რომელიც გენერალურ პროკურატურას**



## პოლიტიკურ კრემატორიუმში უნდა დაიწვას ყველა პოლიტიკური გვამი, ვისაც საქართველო და ქართველი ხალხი ნოდარმელაძესა თუ რომანგოცირიძეზე ჰკიდია!



## კვირგვინოსნები

**ხათუნა სამნიძე**
*რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე*



**დედაჩემმა დაიბარა კრემაცია.** ჩვენ ეს სურვილი შევუსრულეთ, თუმცა, რა თქმა უნდა, **ჩვენს ქვეყანაში ეს ვერ მოხერხდა — ამერიკაში მოგვიწია გადასვენება.** ბევრი საქართველოში მცხოვრები უცხოელია ამით დაინტერესებული... **გარდაცვალების შემდეგ რა უნდა მოუვიდეს ჩვენს სხეულს, ჩვენი გადასაწყვეტი უნდა იყოს.**

„კვირის პალიტრა“

**ლევან ბეჟაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობაში **არჩევნები ჩატარდება** წესდებით განსაზღვრულ ვადაში, ერთი წლის შემდეგ, **მელიას** საარჩევნო შტაბის წარმომადგენლებს მოვუწოდებთ, **შეწყვიტონ აღვირახსნილი კამპანია.**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**მიხეილ სააკაშვილი** სანამ ცოცხალია, პოლიტიკას არ ჩამოსცილდება. **ძალიან ხშირად მას პოლიტიკურ ცხოველს ეძახიან.** ამით ცხოვრობს ეს ადამიანი.

დღეს **ღარიბაშვილი და კალაძე** ორად ორი ადამიანი „ქართულ ოცნებაში“, ვისაც რეიტინგი აქვს.

„ახალი თაობა“

**ალეკო ელისაშვილი**
*პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, **სააკაშვილს კისერში მოვკიდებდი ხელს და ან გლდანის ციხეში წავიყვანდი, ან — რუსთავში,** ერთი წელია, ბაირამობს — აქედან **ივანიშვილი** და მისი „ოცნება“ ხრავს ქვეყანას და იქიდან დედა უტირა **სააკაშვილმა.**

„ინტერპრესნიუსი“

# უსამართლობითა და უკანონობით დამწვარი ადამიანების ბედი მიცვალებულთა ცხედრების დაწვაზე მნიშვნელოვანი მაინც უნდა იყოს!

## საქართველოში დასაწვავი პოლიტიკური გვამების იმხელა ბუმია, რომ ერთი დიდი პოლიტიკური კრემატორიუმი ნამდვილად გვჭირდება!



**საშუალებას მისცემს, ხელახალ ძიებაში დააბრუნოს სააკაშვილის რეჟიმის დროს მოქალაქეებისათვის ქონების ადმინისტრაციული წესით ჩამორთმევის საქმეები.**

შესაბამისად, უკვე 11 წელიწადია, სამართლიანობის აღდგენას უშედეგოდ მოელის უამრავი ადამიანი, ვისაც სააკაშვილ-ადეიშვილის „ჯიბის სასამართლოს" ადმინისტრაციულმა პალატამ უკანონოდ ჩამოართვა მიწის ნაკვეთები თუ სხვა სახის უძრავი ქონება.

როგორც ჩანს, უსამართლობის მსხვერპლთათვის სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ხელისუფლებას კი არა, ოპოზიციასაც არ ანაღვლებს, თორემ **ხათუნა სამნიძე და მისნაირები** კრემაციის საკითხის მოწესრიგებაზე კი არა, პირველ რიგში, უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანების უფლებრივ რეაბილიტაციაზე იზრუნებდნენ!

სხვა თუ არაფერი, **უსამართლობითა და უკანონობით დამწვარი ადამიანების ბედი** მიცვალებულთა ცხედრების დაწვაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მაინც უნდა იყოს!

**ან როგორ დავიჯეროთ, რომ მიცვალებულთა ბედი აღელვებს იმას, ვინც ცოცხალთა ბედით არ არის შეწუხებული?!**

მოდით, ესეც ვიკითხოთ: **დეპუტატ სამნიძის** მიერ **კრემაციის საკითხის** გააქტიურება იქნებ პრევენციული ზრუნვაა იმ პოლიტიკოსთა თუ პოლიტიკანთა ხვალინდელ დღეზე, რომელთა გვამებიც ქართული მიწისათვის მიბარებას არ იმსახურებენ?

**განა დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში ცოტანი არიან ისეთები, ვის ფერხთითაც საქართველოს მიწა უნდა იწვოდეს და ვინც ქართული მიწისათვის მიბარების ღირსი არ არის?**

ასეთები ბევრნი არიან!

უპირველეს ყოვლისა, **ქართული მიწისათვის მიბარებას არ იმსახურებს სიცოცხლეშივე პოლიტიკურ ლეშად ქცეული მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც საქართველოს მიწა**



უფუნქციო კრემატორიუმი მუხათგვერდის სასაფლაოს ტერიტორიაზე

**უდანაშაულო ქართველების სისხლით მორწყო და არაერთ დედას შვილი მიწაში ჩაუწვინა!**

ჯერ ქართულ მიწაზე და შემდეგ ქართულ მიწაში არ არის არცერთი იმ ჯალათის ადგილი, ვინც **სააკაშვილის რეჟიმის** ბრძანებით ციხეებში პატიმრებს აუპატიურებდა და წამებით კლავდა!

**არც ქართულ მიწაზე სიარულის და არც ქართული მიწისათვის მიბარების ღირსნი არ არიან ისინი, ვინც საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესებს უცხოური ფონდებიდან ჩაჩხრიალებული 30 ვერცხლის საფასურად ყიდიან!**

იგივე **ხათუნა სამნიძე და პოლიტიკურ სპექტრსა თუ არასამთავრობო სექტორში მოკალათებული მისი ნეოლიბერალი „დაქალოჩკები"**, რომლებიც საქართველოს ეროვნული ღირებულებებისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ძირის გამოთხრით არიან დაკავებული, ქართულ მიწას არც სიცოცხლეში იმსახურებენ და არც სიცოცხლის შემდეგ.

ჰოდა, **სამნიძემ იქნებ სწორედ ამიტომ წამოჭრა საქართველოში კრემაციის პროცედურის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების საკითხი! იქნებ წინასწარ ზრუნავს თავის და თავისნაირთა ხვალინდელ დღეზე ისევე, როგორც სააკაშვილმა იზრუნა იმაზე, რომ სამშობლოს ღალატისათვის არ გასამართლებულიყო და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან სამშობლოს ღალატის მუხლი ამოიღო!**

მოკლედ, საქართველოში **დასაწვავი პოლიტიკური გვამების** იმხელა ბუმია, რომ ერთი დიდი პოლიტიკური კრემატორიუმი ნამდვილად გვჭირდება! იმაზე გაცილებით დიდი, ვიდრე მუხათგვერდის სასაფლაოს ტერიტორიაზე მდგარი კრემატორიუმია, რომელიც 1970 წელს ააშენეს, მაგრამ არასოდეს უმუშავია და შიგ ერთი მიცვალებულის ცხედარიც არ დამწვარა!

**პოლიტიკურ კრემატორიუმში უნდა დაიწვას ყველა პოლიტიკური გვამი, ვისაც საქართველო და ქართველი ხალხი ნოდარმელაძესა თუ რომანგოცირიძეზე ჰკიდია!**

კაცმა რომ თქვას, საქართველო ჯერ კიდევ 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ უნდა ქცეულიყო ერთ მთლიან პოლიტიკურ კრემატორიუმად სააკაშვილისა და მისი კრიმინალური ბანდისათვის, მაგრამ ჯობს გვიან, ვიდრე — არასოდეს!

**ერთ დროს ნაცების ცნობილი საარჩევნო ლოზუნგის პერიფრაზით რომ ვთქვათ, დასაწვავი კიდევ ბევრია!**

**ჯაბა ხუბუა**

# უკვე 11 წელიწადია,

## სამართლიანობის აღდგენას უშედეგოდ მოელის უამრავი ადამიანი, ვისაც სააკაშვილ-ადეიშვილის „ჯიბის სასამართლოს" ადმინისტრაციულმა პალატამ უკანონოდ ჩამოართვა მიწის ნაკვეთები თუ სხვა სახის უძრავი ქონება!

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ქალბატონმა პრეზიდენტმა გორში **მე და სტალინი ერთმანეთს შეგვადარა** და ჩემს მშობლიურ გორელებს (ბაბუაჩემი ***მიშა სააკაშვილი,*** თბილისის მედინსტიტუტის დამფუძნებელი და პირველი რექტორი, გორიდან იყო) **ორივეს დავიწყება ურჩია. ქალბატონო სალომე,** არის ერთი ადამიანი, რომელიც **სტალინს და მე ვერაფრით გვივიწყებს** — მას **ვლადიმერ პუტინი** ჰქვია. ოღონდ ის სტალინზე გიჟდება და მთელ რუსეთში ძეგლებს უდგამს და მე ვეზიზღები.

„ინტერპრესნიუსი"

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



ეს **ბატონი** რატომ არის **„ვივამედში"**, როდესაც თინეიჯერ **ზერეკიძეს** არც კარცერს აკლებდნენ და არც კიდევ სხვა მაშინდელ ციხეში გამეფებულ სისასტიკეს. **რა დამსახურება აქვს ამ არლეკინოს ეგეთი, რომ ქვეშაგებში მოიხადოს სასჯელი?!**

„იმედინიუსი"

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*



პარტიაში რაც ხდება, არის **„კვიპროსის კლუბის"** გადაწყვეტილებები, სამწუხაროდ, **ნაციონალურ მოძრაობაში ჩამოყალიბდა ე.წ. მდუმარე მილიონერთა კლუბი,** რომელთაც ბიზნესწილები ამძიმებთ.

„პირველი არხი"

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**ოპოზიციის ერთი ნაწილი მიხეილ სააკაშვილის კომპლექსითაა დაავადებული** და ბოდვას თავი დაანებონ.

„ინტერპრესნიუსი"

# გოგა ხაინდრავა:
# კატეგორიულად მოვითხოვ, დამკითხონ!



**საქართველოს ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში და 2007 წელს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, კინორეჟისორმა გოგა ხაინდრავამ ერთი კვირის წინათ საჯაროდ მიმართა სასამართლოსა და პროკურატურას, გამოიძახონ ჩვენების მისაცემად 7 ნოემბრის აქციის დარბევის საქმეზე. მანვე განაცხადა, რომ სურს, საგამოძიებო ორგანოებს მიაწოდოს მასალები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას ადასტურებენ:**

— იურისტებთან კონსულტაცია გავიარე და მითხრეს, რომ, თუ პროკურატურამ ჩემი დაკითხვის შუამდგომლობა არ დააყენა, სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ გამომიძახებს ჩვენების მისაცემად. მოკლედ, გარკვეული სამართლებრივი პროცედურებია გასავლელი და იმედი მაქვს, ჩვენების მიცემის საშუალება მექნება. **მეტიც, კატეგორიულად მოვითხოვ, დამკითხონ!**

**— კონკრეტულად, რისი თქმა გსურთ სასამართლოზე 7 ნოემბრის საქმესთან დაკავშირებით?**

— ცხადია, ამაზე წინასწარ არ ვისაუბრებ, მაგრამ, როგორც 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორს, სასამართლოსთვის ბევრი მნიშვნელოვანი რამ მაქვს სათქმელი. ჩემს ხელთ არსებული ფაქტები და დეტალები ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

**— რას იტყვით სააკაშვილის მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადების შესახებ, თითქოს 2007 წლის ნოემბერში მისმა ხელისუფლებამ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროსაგან გამაფრთხილებელი წერილი მიიღო — რუსეთი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებსო?**

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეს განცხადება რომელიმე პოლიტიკურ თოქ-შოუში ან სოციალურ ქსელში კი არა, სასამართლო პროცესზე გააკეთა, ანუ ოფიციალური ჩვენება მისცა, თითქოს ჩვენ — იმჟამინდელ ოპოზიციას — სახელმწიფოს გადატრიალება გვინდოდა და თანაც, რუსეთის ხელშეწყობით.

სწორედ სააკაშვილის ამ ჩვენებასთან დაკავშირებით მივწერე ღია წერილი საქართველოში ამერიკის ელჩს და ნუ ჰგონია, რომ მოვეშვები, ბოლომდე ჩავყვები ამ საქმეს! კიდევ ერთხელ ვაცხადებ — **ამერიკის საელჩომ გამცეს ოფიციალური პასუხი, 2007 წელს მართლა გამოუგზავნა თუ არა „ეფბიაიმ“ საქართველოს ხელისუფლებას წერილი, რომლის შესახებაც სააკაშვილმა სასამართლოს ოფიციალური ჩვენება მისცა?**

ასევე პროკურატურა და სასამართლო საფუძვლიანად უნდა დაინტერესდნენ, **მართლა მოვიდა თუ არა მსგავსი წერილი ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროდან?** თუ ეს ფაქტი არ დადასტურდება, სააკაშვილი დამატებით უნდა იქნას მსჯავრდებული სასამართლოსათვის ცრუ ჩვენების მიცემის გამო!

**— ისე, სააკაშვილს ახალი არც არაფერი უთქვამს — მისმა ხელისუფლებამ ხომ თავიდანვე რუსეთის აგენტებად გამოგვაცხადათ 2007 წლის ნოემბრის აქციების ორგანიზატორები?**

— თუმცა, ახლა სააკაშვილმა ეს სასამართლოსათვის მიცემულ ოფიციალურ ჩვენებაში თქვა, რასაც სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. რაც მთავარია, **საქმეში გამოვლენილი ახალი გარემოებაა ვითომდა ამერიკიდან მოსული წერილი, რომლის შესახებაც სააკაშვილმა ჩვენებაში ისაუბრა** და, წესით, ეს უნდა გახდეს საფუძველი, რომ 7 ნოემბრის საქმეზე საქართველოს მაშინდელი და ახლანდელი პოლიტიკური ელიტის არაერთი წარმომადგენელი დაიკითხოს!

ყველას შევახსენებ, რომ 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო გამოსვლების ორგანიზატორი იყო გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნული საბჭო, რომელშიც შედიოდნენ: საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და დღევანდელი პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი,** საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და მოქმედი დეპუტატი **დავით უსუფაშვილი,** საქართველოს

## „გაგვცეს პასუხი ამერიკის ელჩმა – საქართველოს პოლიტიკური ელიტა 2007 წელს სახელმწიფო გადატრიალებას ახდენდა და თანაც, ამას რუსეთის დავალებით აკეთებდა? ეს მოსწერა „ეფბიაიმ“ სააკაშვილის ხელისუფლებას და ამ წერილის საფუძველზე დაარბიეს მშვიდობიანი აქცია?“







**„სალომე ზურაბიშვილი 2007 წლის 7 ნოემბერს პოლიციელებს ქოლგით დასდევდა... გამოვიდეს ახლა და თქვას, მაშინ სახელმწიფო გადატრიალებას ვაწყობდით რუსეთის დავალებით? ხმა ამოიღოს!“**

### კვირგვინოსნები

**თინა ბოკუჩავა**
*საპარლამენტო ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



„ქართული ოცნება“, რომელიც **ბიძინობას აღნიშნავს და სკოლის სახელმძღვანელოებში შეაქვს ეს თარიღი,** სხვას არ უნდა მოუწოდებდეს, **ვინ რა თარიღი აღნიშნოს.** სწორედ „ვარდების რევოლუციის“ რეფორმების შედეგად შეიქმნა **თანამედროვე ქართული სახელმწიფო** და გზა გაეკაფა ქვეყანას ევროპისკენ.

„ახალი თაობა“

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*„ლეიბორისტული პარტიის“ წევრი*



სამართლიანი არჩევნებისთვის ბრძოლა **მხოლოდ ქუჩაში გამოსვლით** მიიღწევა.

„ახალი თაობა“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



20 წლისთავზე **სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი უამრავი დანაშაულისთვის,** ნაციონალურ მოძრაობას შეგვიძლია ვუსურვოთ ერთადერთი — **პასუხი აგონ ქართველი ხალხისა და ქვეყნის წინაშე.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



არ ვიცი, **შუა შეიკრიბება, თუ გაღმა-გაღმა ვინც დადიან ისინი,** მაგრამ აქ პარადოქსია, რომ **1+1+1 არის ნული** — ასეთი არითმეტიკა იქნება და **აუცილებლად „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს.**

„ახალი თაობა“





„კოდუასთან საუბრის ფარული ჩანაწერი თავად ბადრიმ გააკეთა და „იმედის“ ეთერში გასაშვებად გამოუგზავნა გიორგი თარგამაძეს, რომელმაც ეს ჩანაწერი მერაბიშვილს გადასცა!“

თავდაცვის ყოფილი მინისტრი **თინა ხიდაშელი,** საქართველოს პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი **ზვიად ძიძიგური,** საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე **ეკა ბესელია,** საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე **გუბაზ სანიკიძე,** საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი **შალვა ნათელაშვილი,** საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში **გოგა ხაინდრავა** და კიდევ არაერთი პოლიტიკოსი. ეს გახლდათ საქართველოს პოლიტიკური ელიტა და გაგვცეს პასუხი ამერიკის ელჩმა — **საქართველოს პოლიტიკური ელიტა 2007 წელს სახელმწიფო გადატრიალებას ახდენდა და თანაც, ამას რუსეთის დავალებით აკეთებ-**



# „ბადრი პატარკაციშვილი სააკაშვილისა და მისი ბანდის მოკლულია!“




# „სააკაშვილს გვერდით უნდა მიუსვან შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი ზაზა გოგავა!“

**და? ეს მოსწერა „ეფბიაიმ“ სააკაშვილის ხელისუფლებას და ამ წერილის საფუძველზე დაარბიეს მშვიდობიანი აქცია?**

**— განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სააკაშვილის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებით, რომელიც თითქოს ამერიკული სპეცსამსახურებისაგან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა, 2007 წელს საქართველოში რუსეთის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი მონაწილე საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტიც გამოდის. როგორ ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილს ამაზე რეაქცია არ უნდა ჰქონოდა?**

— საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი 2007 წლის 7 ნოემბერს, დილის 7 საათზე, პირადად ესწრებოდა რუსთაველის გამზირზე ჩემს დაკავებას და პოლიციელებს ქოლგით დასდევდა — **ხაინდრავას რატომ იჭერთო!** გამოვიდეს ახლა **სალომე ზურაბიშვილი** და თქვას, **მაშინ სახელმწიფო გადატრიალებას ვაწყობდით რუსეთის დავალებით?** ამოიღოს ხმა, რატომ არის გაჩუმებული?

**და კიდევ:** 7 ნოემბრის საქმეზე პასუხისგებაში უნდა მისცენ და სააკაშვილს გვერდით მიუსვან შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი **ზაზა გოგავა,** რომელმაც ანტიკონსტიტუციური დანაშაული ჩაიდინა და მშვიდობიანი მიტინგის დასარბევად ჯარის ნაწილები გამოიყვანა!

**— თქვენ განაცხადეთ, რომ შეგიძლიათ, პროკურატურას მიაწოდოთ მასალები, რომლებითაც სააკაშვილის რეჟიმის მიერ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა დასტურდება. კონკრეტულად, რა მასალებზეა საუბარი?**

— მხედველობაში მაქვს საჯარო სივრცეში სხვადასხვა დროს გავრცელებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელთა ერთობლიობაც მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ **ბადრი პატარკაციშვილი** სააკაშვილისა და მისი ბანდის მოკლულია!

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილი გენერალური პროკურორის, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის **ირაკლი ოქრუაშვილის** მიერ 2007 წელს ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, კერძოდ, ინგა გრიგოლიას გადაცემაში გაკეთებული განცხადება, რომ მას პრეზიდენტმა სააკაშვილმა **პატარკაციშვილის** მკვლელობა შეუკვეთა. **ოქრუაშვილმა** ისიც კი აღწერა, თუ რა მეთოდით უნდა მომხდარიყო ბადრის ლიკვიდაცია — **სააკაშვილის დავალებით იგი უნდა მოეკლათ ისე, როგორც ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი რაფიკ ჰარირი, რომელიც 2005 წელს საკუთარ ავტომობილში ააფეთქეს!**

ოქრუაშვილის აღიარებითი ჩვენების გარდა, არსებობს ყოფილი პატიმრის, ე.წ. კანონიერი ქურდის **პაატა მამარდაშვილისა** და ახალაიების მარჯვენა ხელის, კუდ-ისა და სამხედრო პოლიციის მაშინდელი მაღალჩინოსნის **გია დგებუაძის, იგივე „მასტერას“** სატელეფონო საუბრის ფარული ჩანაწერი, რომელშიც „მასტერა“ მამარდაშვილს ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციაზე ესაუბრება — **ეგ თუ არ მოვიშორეთ, დედას მოგვი...ავსო!**

რაც მთავარია, არსებობს ფარული ჩანაწერი, რომელშიც ჩეჩენი საველე მეთაური **უვაის ახმადოვი** საუბრობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებისაგან პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთა მიიღო. იგი ამბობს — **პატარკაციშვილი ისე უნდა მომეკლა, რომ კვალი რუსეთის ხელისუფლებისაკენ წასულიყოო!**

როცა ამდენი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წყარო ერთსა და იმავეს ლაპარაკობს, პირადად ჩემთვის უეჭველია, რომ **ბადრი პატარკაციშვილი** სააკაშვილის ხელისუფლებამ მოკლა!

**— თუ ასეა, თქვენი აზრით, რა როლი ჰქონდა პატარკა-**

გაგრძელება მე-12 გვერდზე

## კვირგვინოსნები



**გიგა ბუკია**
*კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*

ჯერ არ მინახავს ადამიანი, რომელსაც ეთქვას, რომ **ნაციონალური მოძრაობა კარგად იქცევა და ისინი მას ხმა მისცემენ.** სულ ის მესმის, **ესენი ხელისუფლებაში მოსაშვებები არ არიანო.**

„ახალი თაობა“



**მამუკა გუგეშაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

2012 წელს **ერთ-ერთი დეპუტატის ოჯახში დაიბარეს სააკაშვილი** და უთხრეს, თქვენ არ უნდა იყოთ და **ვანო მერაბიშვილი უნდა გახდეს პრემიერიო.**

„ახალი თაობა“



**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

**ჩვენს ხელისუფლებაზე ახია,** რომ ნაცმოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა, **დღეს კიდევ შემორჩა.**

„ახალი თაობა“



**ნინო ბურჯანაძე**
*პარტია „ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე*

ყველა ოპოზიციური ძალა, **ვისაც რეალურად უნდა ხელისუფლების შეცვლა,** მრგვალი მაგიდის ირგვლივ უნდა დასხდეს.

„პალიტრანიუსი“



**აკაკი ბობოხიძე**
*„ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივანი*

რაც არ უნდა მოინდომოს ოპოზიციამ, **ნებისმიერ შემთხვევაში ხელისუფლების წარმატებად გაფორმდება** საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიცემა.

„პალიტრანიუსი“



**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი*

ასე **დაპირისპირებული ოპოზიცია** ვერაფერს იზამს და **ხელისუფლებაში ისევ „ოცნებას“ ვიხილავთ.**

„ახალი თაობა“

# გოგა ხაინდრავა:
# ზურაბ ჟვანია სააკაშვილმა და მისმა ბანდამ მოიშორეს!



„იმ ბინაში ზურაბ ჟვანიას ცხედარი ტელევიზორის ყუთით მიიტანეს!“

*დასაწყისი მე-10 გვერდზე*

**ციშვილის მოშორების ოპერაციაში სოდ-ის ყოფილ უფროს ერეკლე კოდუას, რომელიც მასთან შესახვედრად ლონდონში ჩავიდა და საუბარი ფარულად ჩაწერა?**

— სრული სიცრუეა, თითქოს ლონდონში პატარკაციშვილთან საუბარი **კოდუამ** ფეხსაცმლის ქუსლში ჩამონტაჟებული მოსასმენი აპარატით ჩაწერა. სინამდვილეში, **კოდუასთან საუბრის ფარული ჩანაწერი თავად ბადრიმ გააკეთა და „იმედის“ ეთერში გასაშვებად გამოუგზავნა გიორგი თარგამაძეს, რომელმაც ეს ჩანაწერი მერაბიშვილს გადასცა!**

თარგამაძე, რომელიც დღეს კეზერაშვილის „ფორმულაში“ მუშაობს, ღალატის ცოცხალი ფორმულაა!

ჩემი ღრმა რწმენით, **ბადრი პატარკაციშვილის** მკვლელობაში ერთ-ერთი საკვანძო როლი ჰქონდა **ბორის ბერეზოვსკის!**

**— საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ პატარკაციშვილი და ბერეზოვსკი ახლო მეგობრები იყვნენ... თქვენ ამბობთ, რომ ბერეზოვსკიმ მეგობარს უღალატა და მის ლიკვიდაციაში მიიღო მონაწილეობა?**

— რა თქმა უნდა, ამის დამადასტურებელი სამხილები ხელში არ მიჭირავს, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ **ბერეზოვსკიმ** ბადრის უღალატა და გაწირა. დანამდვილებით ვიცი, რომ თბილისში ჩამოსული ბერეზოვსკი **გივი თარგამაძეს** შეხვდა და მისი ავტომობილით გადაადგილდებოდა. ბადრის რეზიდენციასთან — „არკადიასთან“ დამონტაჟებულ სათვალთვალო კამერებს დაფიქსირებული აქვთ, რომ ბერეზოვსკი ბადრისთან შესახვედრად სწორედ **გივი თარგამაძის** მანქანით მივიდა.

რადგან მე და ბადრი ბავშვობიდან ერთად გავიზარდეთ და ერთმანეთთან ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა, 2007 წელს სწორედ მე გავემგზავრე თელ-ავივში მასთან შესახვედრად, რათა დამერწმუნებინა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მონაწილეობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და კენჭისყრაზე უარი ეთქვა. **ბერეზოვსკი** იქვე იყო და სურდა, ჩვენს საუბარს დასწრებოდა, მაგრამ ბადრის ვთხოვე, არ დაასწრო-მეთქი. მარტოებმა ვისაუბრეთ და დავარწმუნე, რომ პრეზიდენტობაზე კენჭი არ ეყარა, წერილიც კი დაწერა, რომელიც მის საარჩევნო შტაბში უნდა მიმეტანა, მაგრამ თბილისში ჩამოფრენილი არ ვიყავი, როცა დამირეკა — **კანდიდატურის მოხსნა გადავიფიქრეო!** დარწმუნებული ვარ, ჩემი წამოსვლის შემდეგ ბერეზოვსკიმ გაუბურღა ტვინი და გადაწყვეტილება შეაცვლევინა.

საერთოდ, **ბერეზოვსკი** ბადრის გვერდით ძალიან ცუდ როლს თამაშობდა და მის თავს დატრიალებულ ყველა უბედურებაში იყო გარეული!

**— როგორ ფიქრობთ, რომელიმე დიდი და ძლიერი ქვეყნის სპეცსამსახურების დახმარების გარეშე სააკაშვილის რეჟიმი შეძლებდა, რომ ლონდონში ბადრი პატარკაციშვილი მოეკლა?**

**– ბადრი პატარკაციშვილის მოშორება დიდი პროცესის ნაწილი იყო და მასში ის ძალები იყვნენ ჩართული, რომლებსაც დღეს „გლობალურ ომის პარტიას“ უწოდებენ. მათი დახმარების გარეშე ფარჩაკი მერაბიშვილის სისტემა ლონდონში ბადრის მოკვლას ვერ შეძლებდა.**

**— ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე კარგა ხანია, აღძრულია და ამ ბრალდებით „მასტერა“ და ძალოვანი უწყებების სხვა ყოფილი მაღალჩინოსნები არიან დაპატიმრებული...**

— საქმე კი არის აღძრული, მაგრამ გამოძიება როგორ მიმდინარეობს და რა ეტაპამდეა მისული, არ ვიცით... ისიც კარგად მესმის, რომ საქართველოსნაირი პატარა სახელმწიფოსთვის ასეთი საქმეების გამოძიება მარტივი არ არის იმ ფონზე, როცა სააკაშვილსა და მის ბანდას ბევრი წელი და ყველანაირი საშუალება ჰქონდათ დანაშაულის კვალის წასაშლელად. **როცა პროკურატურას, პოლიციას, უშიშროებას ერთპიროვნულად აკონტროლებ და კარგი საერთაშორისო კავშირებიც გიმაგრებს ზურგს, სამხილების მოსპობა ადვილია. მარტო ბადრი პატარკაციშვილის კი არა, ზურაბ ჟვანიას მკვლელობაც ამიტომ ვერ იხსნება.**

**— ანუ ფიქრობთ, რომ ზურაბ ჟვანია გაზით კი არ გაიგუდა, არამედ მოკლეს?**

— რა თქმა უნდა! ყველაფერი აბსოლუტურად ნათელია და უამრავი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ჟვანია იმ ბინაში არ მომკვდარა, სადაც მისი და უსუპოვის ცხედრები „აღმოაჩინეს“. დადგენილია, რომ ღამით იმ კორპუსში გაზი საერთოდ არ ყოფილა და რომც ყოფილიყო, ბინაში CO ვერ დაგროვდებოდა, რადგან ფანჯარა ღია იყო. გარდა ამისა, ბინაში სიგარეტის ერთი ნამწვიც არ აღმოუჩენიათ მაშინ, როცა ზურა დღეში, მინიმუმ, ორ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა. რაც მთავარია, „ეფბიაის“ ექსპერტებმა საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ბინაში არ იყო CO-ს იმხელა კონცენტრაცია, რომელსაც ადამიანის სიკვდილის გამოწვევა შეეძლო.

ერთი სიტყვით, არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ზურაბ ჟვანია და უსუპოვი, როგორც მინიმუმ, იმ ბინაში არ მომკვდარან, სადაც, ოფიციალური ვერსიით, მათი ცხედრები იქნა ნაპოვნი. ირაკლი ოქრუაშვილისაგან ვიცი, რომ იმ ბინაში ზურაბ ჟვანიას ცხედარი ტელევიზორის ყუთით მიიტანეს!

**— თქვენი აზრით, ვინ მოკლა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია?**

— ზურაბ ჟვანია სააკაშვილმა და მისმა ბანდამ მოიშორეს, რაღ უნდა მაგას ლაპარაკი, ორჯერ ორი ოთხია!

**— დაბოლოს: პატიმარი სააკაშვილი ციხის ნარის მაგივრად კლინიკის ლუქსპალატაში კიდევ რამდენ ხანს უნდა იყოს წამოგორებული?**

— დიდი ხანია, სააკაშვილი ციხეშია დასაბრუნებელი! **ეს შაპიტო და ტაკიმასხარაობა უნდა დამთავრდეს, არანაირი ავადმყოფი ეგ არ არის, ეგ არის ჯალათი და სისხლისმსმელი, რომლის ადგილიც არის იქ, სადაც ქართულმა სასამართლომ განუსაზღვრა — სასჯელაღსრულების დაწესებულებაში!**

*ესაუბრა* ***გიორგი ძაძამია***



# მო გელა ნდეზით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# მკვდრები წამაიშალნენ!




მსოფლიო დონის მეცნიერები ამტკიცებენ, **რომ სარკოფაგების გახსნა და მუმიების შეწუხება არ არის კარგი.**

დიახ, მუმია რომც ადგეს, მტვერი ჩამოიფერთხოს, სახვევები მოიცილოს და განაცხადოს, მე ახლა საკაიკაცოდ ან საკაიქალოდ ავდექიო, არ უნდა დაიჯეროთ.

იმავე მეცნიერთა დასკვნით, **ვინც სარკოფაგებს გახსნის და მუმიებს შეაწუხებს, თუნდაც ყოფილ თანამოაზრეებს, დაწყევლილი იქნება როგორც პარტიულ საქმიანობაში, ისე ევროპიული მომავლის ძიებაში.**

☺

მოდით, ახლა ისიც ვთქვათ, რამდენჯერ გახსნა სარკოფაგები **კურკუმალ ვაითმა?**

ჩემი ანგარიშით, დაახლოებით სამ-ოთხჯერ. გახსნა და წამოყარა **პეტო, ბარამა, ბოტკო, ნეტო, ბრუტო, რომანა, ომანა...** რავი, ყველა რანაირად უნდა ჩამოვთვალო?

მანამდე **მელია** ხსნიდა ხოლმე სარკოფაგებს, წამოჰყრიდა მკვდრებსა და იძახდა, მომავალი თაობა შემოგვემატაო.

☺

ეგე, **კურკუმალმა** გუშინაც გახსნა რამდენიმე სარკოფაგი, სურათზეც ხედავთ, ,,ვინებიც“ წამაიშალნენ.

ახლა იგივე კურკუმალი აცხადებს — ჩვენი პარტიის პოლიტსაბჭოს 20 ახალი წევრი შემოემატაო.

ბიჯოოოო! 20 ახალი წევრი კი არ შემოემატა, **ეგენი ისინი არიან, ამას წინებზე პარტიიდან რო გარეკეთ ხანდაზმულობის გამო და ეგ ხანდაზმულები სხვა ხანდაზმულებით, ანუ შედარებით ახალი მუმიებით ჩაანაცვლეთ.**

კურკუმალა ისე იქცევა, გეგონება, ამ **შემომატებულებს** აქამდე საერთოდ არ იცნობდა და ახლა პირველად ჩამოართვა ხელი, თან გულმხურვალედაც მიმართა — **კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს პარტიაშიო.**

შენ რო დახეული „ლაფტებით“ დარბოდი და ცხვირიდან ცინგლი ჩამოგდიოდა, ეგენი მაშინ „ნაცმოძრაობაში“ იყვნენ და ვარდების რევოლუციის იდეალებით ტკბებოდნენ.

შენი წინაპრები არიან, **კურკუმალ!**

☺

და მაინც ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, **სარკოფაგების გახსნა და მუმიების წამოყრა** არ არის კარგის ნიშანი!

# ღამის მანდარინუსი



ამას წინებზე ჩუღურეთში მოუწყვია შეხვედრა სამ-ოთხ დედაკაცთან და იქ ჩაულაპარაკნია — **როცა მეზობელს უჭირს, ვერ ვისვენებ, ეზოში დავდივარ და ბოლთასა ვცემო... ეგე, ეხლაც ბევრი ვიფიქრე, როგორ დავხმარებოდი მეციტრუსეებს და გადავწყვიტე, მუშახელად დავდგომოდიო.**

☺

**მა რაააა... აეგეთი კარგი რო არ ვიყო, აუცილებლად თავ მოვიკლამდიო!** — დასძინა, თურმე, **ბატონმა მამუკამ** კამერების წინ.

ეგეთია, სანამ **მანდარინებ,** ფორთოხლებსა და ლიმნებ არ დააბინავებს, სახლში არ დაბრუნდება... კახეთში რთველი რო დაიწყო ამ შემოდგომას, იქაც ეგრე მაიქცა, ხვეწნითა და მუდარით ძლივ გამოჰყავდათ პლანებიდან.

ეხლაც ტყუილად ეცდებით **მანდარინის ბაღებიდან** გამოყვანას და საკვების შეთავაზებას, ერთადერთი გამოსავალი გაქვთ, როცა შორი-ახლოს ჩაუვლით, დაუძახეთ ხოლმე — **ბარაქა, მამუკ!**

შეიძლება, პერიოდულად წამოიძახოს — **წადით, თქვენიო** — მაგრამ არ გეწყინოთ, კაცს იღლიებიდან ოფლი გასდის და **მანდარინუსიც ფულივით უეკლოდ ხომ არ უნდა მოკრიფოს?**

... თანაც **ღამის ნოტარიუსების** გარეშე!

# რევოლუცია კი არა, ევოლუცია!

**ეს ის უტანკო ყარაჩოხელი არ არი,** 2012-ში გაფითრებული რომ გამოვარდა და ქოშინით განაცხადა — **„იმედი“ მეპატრონემ გადაიფორმოს, თავი დამანებეთ, მე აქაური არა ვარო?**

**ეს ის ჯეელი არ გახლავთ,** ქართველ საზოგადოებას მედიატერორი რომ მოუწყო **„მოდელირებული ქრონიკით“** და უამრავ ადამიანს ინფარქტი აჭკიდა?!

**ეს ის კრეტინი არ არი,** „იმედი“ რომ გადაიფორმა და წლების განმავლობაში მიხას იდეოლოგიით მართავდა?!

განა რამე მეშლება?

**სანამ ხელისუფლებაში იყვნენ, დიდ გულზე იყო და ყელყელაობდა, როგორც კი დამარცხდნენ, ბადრი პატარკაციშვილის ცოლს დაურეკა, არიქა, შენი ქონება წაიღე, შეიძლება ვირის აბანოში შემაგდონო.**

ახლა კი... როცა დარწმუნდა, საშიშროება აღარსაიდან მემუქრებაო, გატრიპაჩდა, არავითარი არჩევნები, **მხოლოდ რევოლუციაო!**

☺

ბოლო-ბოლო, სარკეში მაინც ჩაიხედე, შე ჩემის ვართაპეტიანო, **რევოლუცია** კი არა, შენ **ევოლუცია** გჭირდება.

მმმმუუუუუაჰაჰაჰაჰა!





გიორგი არველაძე

არავითარი არჩევნები!!!! მხოლოდ და მხოლოდ რევოლუცია!

# ცხვირი ყველგან არ უნდა ჰყოთ!

ამ **„ფრითენზიულმა“ დედაკაცმა** საზოგადოებას განუმარტა, რომ **ჩვენმა „რუსულმა“ ხელისუფლებამ** რუსეთის მიმართულებით ექსპორტი გაზარდა **შვიდჯერ,** ანუ ქართული პროდუქცია გადის **შვიდჯერ მეტი,** ვიდრე გადიოდა 2012 წლამდე და ეს არის დიდი საშინელება.

☺

მეორე საშინელება — **თურმე, ამავე დროს ორნახევარჯერ გაზრდილა რუსეთიდან შემოტანილი საქონლის რაოდენობა და, ამავე ქალის დავთრების თანახმად, ორნახევარჯერ გაზრდილა რუსეთზე დამოკიდებულება**. თუ შვიდს მივუმატებთ ორნახევარს, გამოდის, ჩვენ დღეს რუსეთზე ვართ დამოკიდებული **ცხრანახევარჯერ!**

ახლა ამას ჰგონია, ძაან მაგარი რამე აღმოაჩინა და თან იმედოვნებს, რომ „ქართული ოცნება“ დიდ დანაშაულში გამოიჭირა.

სინამდვილეში კი, საქმის არსი მდგომარეობს შემდეგში: **თუ საქართველოდან რუსეთში ექსპორტი გაიზარდა შვიდჯერ, ფაქტია, ჩვენი ეკონომიკა კაი გვარიანად ამოქოქილა.**

☺

ისიც გავიხსენოთ, როცა 2008 წლის ომის შემდეგ სააკაშვილი სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან იდგა და ეხვეწებოდა რუსებს — შემოდით, ფული დახარჯეთ, ინვესტიციები შემოიტანეთ და თან ისიამოვნეთო.

**მაშ(ვ)ინ სად იყო სამადაანთ დედაკაცი, მაშ(ვ)ინ რატომ არ პარჭყავდა თითებს და რატომ არ იბზუებდა თავის ფირმენ ცხვირსა,** რომელიც ახლა იმ ამბებში ჩაუყვია, რისიც არაფერი გაეგება? ან იქნებ ჰგონია, ჩვენს მოსახლეობას ძალიან ეწყინება, თუკი ექსპორტი კიდევ უფრო გაიზრდება, თუნდაც რუსეთის მიმართულებით.

**წაიღონ!**

**ჩვენი ციტრუსი, ყურძენი და ქინძიც წაიღონ, ,,მაყუთი“ დადონ და თავშიც ქვა უხლიათ!**



# მილიონერი მათხოვრები




**გინახავთ მათხოვარი მილიონერი?**

ის აქ არის, ხშირად ჩვენს წინაც კი მიჭენაობს და ჭკუასაც გვარიგებს. თან ისეთი მედიდური გამომეტყველება და ტონი აქვს, ერთს რომ გადმოგხედავს, თავი უკანასკნელი გლახაკი გეგონება.

**მისი სიტყვა შეუვალია, რასაც იტყვის, უნდა აღსრულდეს. ერთი ეგ არი, პოლიტიკური თვალსაზრისით ვერ გაისწორა — ეს ხელისუფლება ვერ ჩამოიშორა!**

☺

რუსეთს ებრძვის... თანაც მამასთან — **ელტონ ჭყონიასთან** ერთად, რომელმაც ოქროს სარაიები აუშენა.

რუსეთსაც თავისებურად ებრძვის — ამ უკიდეგანო ქვეყანაში **შაქრიანი წყლით სავსე ბოთლებს** აგზავნის, იქიდან მილიონები ერიცხება და თან ამ უკიდეგანო ქვეყანას ლანძღავს, ოკუპანტს ეძახის.

საქმეს სჭირდება ეგრე, თორემ განა რუსეთს სანქციები არ დაუწესა? დაუწესა, ოღონდ პროდუქციას მაინც აგზავნის, რათა გულგახეთქილმა რუსებმა **ცივი „კოლა“** დალიონ!

☺

**მათხოვარია, მა რა არი?**

**მამამისიც მათხოვარია!**

**ახლა 12 ათას დოლარს თხოულობენ, უკრაინაში მებრძოლებს უნდა დავეხმაროთ, კვადროციკლი უნდა იყიდონო.** თან **ხაზარაძის ბანკის** ანგარიშიც დაუდვიათ... არადა, მაგ კვადროციკლებს, წესით, თავად ეგ კვადრო**წაკლები** უნდა ყიდულობდნენ, **მარა სადა აქვთ წყალში გადასაყრელი 12 ათასი?**

# ფულისევლები

მაშინ, როცა მე ქვემო მაჩხაანის ორღობეებში დავწოწიალობდი და იქაურებს ვეხვეწებოდი — **ხმა სალომე ბაბოს მიეცით-მეთქი, ესენი, სურათებზე რომ ხედავთ, ყვულის ვაჭრებივით რომ იკრიჭებიან, ამას ყ...ქალას ეძახდნენ და განა უბრალოდ ყ...ქალას? რეზიდენტ ყ...ქალას!**

მაშინ, როცა მე ძველი ანაგის ორღობეებში დავაჭყაპუნებდი და იქაურებს მოვუწოდებდი — **ხმა სალომე ბაბოს მიეცით, ემანდ გრიგოლი არ გაპრეზიდენტდეს-მეთქი, ესენი ამას რუსეთის აგენტს ეძახდნენ და განა უბრალოდ აგენტს? პუტინის გამოგზავნილს!**

მაშინ, როცა მე ტიბაანის ერთ-ერთ ორღობეში იქაურებს ვპირდებოდი — **ოღონდ ხმა სალომე ბაბოს მიეცით, ამ ორღობეში ,,გრეიდერსაც“ გაგიტარებთ, ქვიშასაც გაგიშლით-მეთქი, ესენი ამას მოღალატეს ეძახდნენ და განა უბრალოდ მოღალატეს? არა, სამშობლოს გამყიდველსა და წუპაკს!**

რომელი ერთი ჩამოვთვალო?

ყველა წაგებული სოფელი შემოვატრიალეთ და მოვიგეთ მეორე ტური!

ჰმ, მოვიგეთ-მეთქი... ჩვენ რა მოვიგეთ? **აგერ, ამათ მოიგეს, მადამ პლეზიდანმა მოიგო...** სხედან ახლა ერთად, ჭუკჭუკებენ, ერთმანეთს თვალებში შესციცინებენ, ერთმანეთს ხელებს ულოკავენ და შამპანურსაც წრუპავენ... **მე და ჩემნაირები კიდე ინაუგურაციასაც არ დავესწარით, მიწვეულთა შორის ისეთი ბინძური ხალხი აღმოვაჩინეთ, იქ რა გვინდოდა?**



☺

ალბათ, გახსოვთ, ინაუგურაციის დღეს ველისციხის გადასახვევთან დიდი გაწევ-გამოწევა და ჯახი შეიქმნა. ესენი, ახლა რომ ეთითლიბაზებიან **მადამ პლეზიდანს,** იქ იყვნენ, თელავში მიდიოდნენ ინაუგურაციის ჩასაშლელად. ჩვენიანებმა არ გაატარეს, მედგრად დაუდგნენ და სალომე ბაბო მაინც დაიცვეს.

რთული დღე იყო, ესენი ამტკიცებდნენ — **ეს ყ..ქალაა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაპრეზიდენტდესო!**

ვინც **პლეზიდანი** დაიცვა, იმათგან ვერავის ვხედავ ამ ფოტოებზე, ისინი აქ არ არიან, ერთხელ მიუახლოვდნენ ორბელიანების სასახლეს და ეგრევე გამოუვარდა „ალ-ქადჟივით“ — **აქ რას მომივარდით, რა გინდათ, ვის დაჭკარგვიხართ, მე ხომ ქართველმა ხალხმა ამირჩიაო?!**





იმ დროს გვერდით ის ადამიანი ედგა, რომელიც არჩევნების პერიოდში მთელი ოჯახით ლანძღავდა — **ამ ყ...ქალას პრეზიდენტად რა უნდა, ეგ მოღალატე ბოსტანშიც არ შეიშვებაო.**

☺

იცით... დროის გადახვევა რომ შეიძლებოდეს, ისევ ისე მოვიქცეოდი, როგორც 2018-ში და, საერთოდ, არაფერს შევცვლიდი... როგორც **პლეზიდანი** იქცევა, ეგ მხოლოდ მაგისი პრობლემაა, მაგის სინდისზეა, მაგის უნამუსობაზეა, ამდენ ფარისეველს რომ უცინის და ხელებს ულოკავს.

**თქვენ გგონიათ, ეს ფარისევლები ალალი გულით არიან მისულები მაგასთან? არა, ეგენი იმიტომ ელაქუცებიან, რომ როგორმე ეუვანი შეაბან და მიხო შეაწყალებინონ... თამაშობენ, როგორც კი თავიანთსას გაისწორებენ, ეგრევე ითრევენ თმებით.**

არა, მართლა... თქვენ ამდენი **ფარისეველი** გინახავთ ერთად? შედით **მადამ პლეზიდანის** გვერდზე, იქ უფრო ბევრს ნახავთ, მე ყველა სურათს ვერ წამოვიღებდი.

გაგრძელება მე-14 გვერდზე

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ხიდელაშვილთან ერთად

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# წერას ჩატანილები



ვიცი, რომ ყველა დუპლეტია, მაგრამ რომელიმეს ხომ უნდა ჰქონდეს ცოტა ნორმალური კალიგრაფია? არადა, **ჩემი ვერსიით, ესენი „ვივამედში" წამოკოტრაწებულ ბელადს ბაძავენ, მაგათში დაუშვებელია, ვინმე ბელადზე უკეთესად წერდეს, კითხულობდეს, აზროვნებდეს და მოქმედებდეს.**

განა არ შეგინიშნავთ, როგორი ერთნაირი ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი, სიტყვათა წყობა და თავთა ქიცინი აქვთ „ნაცებს"? **კურკუმალს** დააკვირდით, ფაქტობრივად, პატარა მიშაა.

☺

მოკლედ, რაც უფრო ბატიფეხურად დაწერ და რაც მეტ იდიოტობას იტყვი, მით უფრო მაგარი „ნაციონალი" ხარ... შეიძლება იმდენად მაგარი, რომ ერთ დღესაც პარტიის თავმჯდომარედ აგირჩიონ. გააჩნია, როგორ ხასიათზე იქნებიან **აბუეტი კეზერა** და **ბლუ ვანო.**

# აცალეთ ამ კრეტინს, ბოლომდე დაშალოს ბოსელი!



**კურკუმალა** უნდა გადადგესო? — დაიჩემეს **ნაცბახლეჩილებმა.**

თქვენ გადადექით „ბალკონზე", თუ კაია — **კაცმა ამხელა პასუხისმგებლობა აიღო ღვთის, ერისა და ქვეყნის წინაშე, ყველა საკითხი პირად კონტროლზე აიყვანა, მთელი მსოფლიო თავის ჭკუაზე დაატრიალა და ეხლა იძახით, გადადგესო?** გადადგომა და „ბალკონიდან" გადასხმა იოლია, მთავარი ქვემოდან ამოსხმაა... აი, კურკუმალას კი ორივე შეუძლია.

☺

ბოლო-ბოლო, **ნაპოლეონი** აღარ არი, **სტალინი** მკვდარია, **მაკედონელი** საფლავში წევს, **სააკაშვილი** დატყვევებულია, **ადეიშვილი** უკრაინაშია, **კოდუა** გაქცეულია, **ქარდავა** დააპატიმრეს, **მერაბიშვილი** კულისებშია, **კეზერაშვილი** ვერ ჩამოდის... რომელი ერთი ჩამოვთვალო? ეს ერთი ყოვლისშემძლე დარჩა და ამასაც ავიწროებთ?

**აცადეთ ამ კრეტინს, ბოლომდე დაშალოს ბოსელი!**

# ბებია-კაცი



„პოსტვ"-ის ჟურნალისტი ეკითხება: **ბატონო კახა, სააკაშვილის მანიფესტზე ხელის მოწერას აპირებთო?**

პასუხი — **მონა!**

**უკაცრავად, მანიფესტზე ხელის მოწერას აპირებთო?**

პასუხი — **შენ ხარ მონა!**

**მითხარით, მანიფესტზე ხელს მოაწერთო?**

პასუხი — **მონებს არ ვპასუხობ!**

**არ მოაწერთ?**

პასუხი — **მონააააააა!**

არადა, ეს ტიპი თავისი არსით, არსებობით, ფიზიონომიით, გამომეტყველებით და სიტყვა-პასუხით თავად არის მონა. როცა გაუჭირდა, 2016 წელს „ნაცმოძრაობიდან" უცებ გადახტა „ქართულ ოცნებაში" და მოხვდა პარლამენტში, ანუ 2016 წლიდან 2020 წლამდე იყო „მონა"! მოგვიანებით ისევ გახდა „ნაცების" მონა და არავინ იცის, უახლოეს მომავალში ვისი მონა გახდება!

ისე კი, რა უნდა ამას პარლამენტში? **მშვენიერი პროფესია აქვს — მეან-გინეკოლოგია, ანუ ბებიაქალი... არ სჯობდა, ხალხი ემშობიარებინა, კეთილი საქმეები ეკეთებინა?**

არაო, ეგ არ მინდაო, მშობიარეთა პატრონები ცოტას იძლევიანო და წამლის „ბარიგობა" დაიწყო. ტელევიზორში თვითონვე აღიარა — **გაჭირვების წლებში 300 პროცენტით ძვირად ვყიდდი მედიკამენტებს, კაი მოგებას ტოვებდაო.**

მოკლედ, **ბებია-ქალობა** ვერ შეძლო, მაგრამ იმდენი ფული შობა, **ბებია-კაცის** ტიტულს ნამდვილად იმსახურებს!

# ეს ამბავი უკვე გამანჰეტენდა!

POSTV - ანალიტიკა

13 წთ ·

მანჰეტენზე, სარეკლამო მონიტორიდან გიული ალასანიას და გიორგი ჩალაძეს დაქორწინებას ულოცავენ




როგორც სჩანს, გიულ-დედულის აღტყინებასა და აღმაფრენას საზღვრები არ გააჩნია. ერთ ხანობას **ფეთხულა ბიულენთან** ურთიერთობაზეც იყო ჩურჩულები, მაგრამ რაც ახლა მის თავს ხდება, ეს სუ სხვანაირი მოვლენაა, ისეთი რამ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, ასეთი რამ მხოლოდ **კლეოპატრას** დაემართა ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

თუმცა არა, იყო ერთი ქალი მე-18 საუკუნეში, რომელიც საკუთარ ულაყთან იყოფდა სარეცელს და, როგორც ავი ენები ამბობენ, საჯინიბოში მოკვდა. ეს გახლდათ რუსეთის იმპერატორი **ეკატერინე მეორე.**

**ისე, რანაირი პოდიუმებიც შვილის დაპატიმრების შემდეგ გიულ-დედულიმ ჩაგვიტარა, ეგეთები კლეოპატრას და ეკატერინეს არც კი დაესიზმრებოდათ, სად იყო მაშ(ვ)ინ ამნაირი ბეწვეულობა, ოქროულობა ან ძვირფასეულობა?**

სად იყვნენ მაშ(ვ)ინ ჩალაძისნაირი რაინდები თუ კნიაზები?

**ჩალაძესთან** შედარებით **მარკუს ანტონიუსი, სერგეი სალტიკოვი, გრიგორ ორლოვი და გრიგორ პოტიომკინი** არიფები იყვნენ.

**ჩალაძე არის კაცი-მოვლენა, კაცი-ტაიფუნი, კაცი-ქარიშხალი, კაცი-გრიგალი და, რაც მთავარია, კაცი-ღრაში.**

ეგეთი მაღალი წრის დედაკაცის შეყვარება და შემდეგ შერთვა რომ გაბედო, ხომ გინდა გაბედულება და ვაჟკაციანობა? განა ყველა მოახერხებდა ამას? განა ყველა გაბედავდა? განა ყველა შეძლებდა?

არამც და არამც!

☺

**ეს დედაკაცი ახალ მიშას გაკეთებაზე თუ არ ჩალიჩობდეს, რაც გინდათ, ის მითხარით, თავს დავდებ გილიოტინაზე.**

აბა, ეს მიშა არ გამაადგა — დაიღვარა ფაღარათად.

ამას ჰგონია, ამ ჯერზე უკეთესი გამოუვა!



# ფრთხილად, ნეფხვებია!

ამას წინებზე **„თავისუფლების ინსტიტუტის"** იუბილე თუ რაღაც ოხრობა გადაუხდიათ და **ვეტერანი ნეფხვები** შექუჩებულან.

კი მოფახფახდნენ ცოდაოდენ, მაგრამ ვერ უყურებთ, როგორი „პრინციპიალური" გამომეტყველება, დინჯი ჯდომა და გამჭოლი მზერა აქვთ? საკმარისია, ჩასისხლიანებულ თვალებში ჩახედოთ, ეგრევე დაფრთხებით და სადღაც გადაიკარგებით.

**ოთხნიხო წინ არიან, ზურგს კიდე მეცნიერ-ინტელექტუალები უმაგრებენ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თეორიასთან და პრაქტიკასთან — წინ პრაქტიკოსები სხედან, უკან კიდე თეორეტიკოსები.**

რაც შეეხება **კაკო ბობოხიძეს,** უკან თავის იმას რომ ჩაჰყურებს, ეგ თეორეტიკოსიც არის და პრაქტიკოსიც, უნდა წინ დაჯდება, უნდა — უკან.

☺

**ნეფხვებს** ეხლა ხელისუფლება რომ დაუბრუნო, ისტორიის ბორბალს უკან დაატრიალებენ და ხალხს მთლა **ნიფხვისამარა** დატოვებენ.

ასე რომ, სიფრთხილეს თავი არ ასტკივა — **ემანდ, ქოცებად არ გამოგვეცხადონ!**

№66 (234) ★ 2023 წლის 4 დეკემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

# ველოდები ზელენსკის რეჟიმის წინააღმდეგ

## ვიქტორ ჭელიძე: სამხედრო გადატრიალებას და რუსეთის წინაშე სრულ კაპიტულაციას!





არის ასეთი აზრი! ★

***უკრაინაში სამხედრო მოქმედებები სულ ახალი დაწყებული იყო, როდესაც მან, საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა, „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს სულაც არ არის ომი, არამედ გახლავთ „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“, როგორც რუსეთი უწოდებს. მოვლენები თითქმის დასასრულს მიუახლოვდა, მაგრამ საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების (ამჟამად აღარ არსებობს) სარდლის პირველი მოადგილე***

*ვიქტორ ჭელიძე* **კვლავ დაჟინებით აცხადებს, რომ უკრაინაში ომი არ ყოფილა:**

— რუსეთმა თავიდანვე გამოაცხადა, რომ უკრაინაში იწყებს **„სპეციალურ სამხედრო ოპერაციას“**, რაც გათვლილია არა დასრულების კონკრეტულ ვადაზე, არამედ, შედეგზე. უახლოეს წარსულში ანალოგიური ოპერაციები ხშირად უნახავს მსოფლიო საზოგადოებას, ახსოვს ამერიკის შეერთებული შტატების შესვლა ერაყში, ახსოვს ბაღდადის დაბომბვა, სისხლისღვრა ავღანეთსა და სირიაში, იუგოსლავიის მოვლენები... ამ ქმედებებისთვის შეერთებულ შტატებს ომი არ უწოდებია და სწორედ მან დაამკვიდრა ცნება **„სპეციალური სამხედრო ოპერაცია“**, რომელიც გათვლილია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური თვალსაზრისით სათავისოდ მოქცევაზე.

**— მაგრამ უკრაინაში დატრიალებულ ტრაგედიას, სადაც ამხელა მსხვერპლია, როგორ შეიძლება, ომი არ ეწოდოს?**

— მცირე ხნით ემოციები გვერდით გადავდოთ და მშრალი ციფრებით ვისაუბროთ: **2 წლის განმავლობაში რუსეთის მიერ ჩატარებული „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ შედეგად, 40-მილიონიან უკრაინაში დაიღუპა დაახლოებით 10 ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე, აქედან — 700-მდე ბავშვი.** პარალელურად, თვალი გადავავლოთ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს. ისრაელმა უკვე გამოაცხადა ომი, რასაც აწარმოებს ღაზის სექტორში, 40 კილომეტრი სიგრძის უმცირეს სახელმწიფო წარმონაქმნთან. ვიდრე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება დაირღვეოდა და ეს ტრაგედია დაიწყებოდა, რეგიონში დაღუპული იყო 12 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, აქედან — 7 ათასზე მეტი ბავშვი! **ომსა და სპეციალურ სამხედრო ოპერაციას შორის განსხვავება თვალსაჩინოა. რუსეთს ომი რომ ეწარმოებინა, დიდი მსხვერპლის ფასად ძალიან მალე მოახდენდა უკრაინის სრულ ოკუპაციას! მაგრამ ტერიტორიის სიდიდის გამო გაურთულდებოდა მოსახლეობის დამორჩილება.**

ამიტომ დროში გაწელილი სპეციალური ოპერაციის ფარგლებში, რომელიც გათვლილია მხოლოდ უცხო ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ გაწვრთნილი დანაყოფების ლიკვიდაციაზე, რუსეთი იმგვარი ტაქტიკით აღწევს წარმატებებს, რომ უკრაინელები თავიანთ მარცხს აბრალებენ იმ დასავლელ „პატრონებს“, ვინც რუსეთის წინააღმდეგ იარაღით ამარაგებს!

**— ამ დაპირისპირებაში, ცხადია, სამხედროებიც იღუპებიან... რა თანაფარდობით?**

— დააკვირდით, მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ოპერაცია მიმდინარეობს, დასავლური პროპაგანდა ამტკიცებს, რომ რუსები მეტად ზარალდებიან, თუმცა, სამხედრო საქმის ნებისმიერი მცოდნე დაამოწმებს, რომ შეუძლებელია, ალყის მომწყობი მხარე ალყაში მოქცეულზე მეტად ზარალდებოდეს. **ნებისმიერ დიდ ქალაქში, სადაც ბრძოლები 4-5 თვის განმავლობაში გრძელდებოდა, რაიმე ტაქტიკური უპირატესობა არცერთ მხარეს არ მოუპოვებია, ანუ ამაზე არც ყოფილა გათვლილი!** ბრძოლები მიმდინარეობდა ოპერატიული ან სრული ალყების ფარგლებში, როდესაც, კანონზომიერების თანახმად, ალყაში მოქცეული სამხედროები 4-ჯერ მეტად ნადგურდებიან. დაღუპული სამხედროების რაოდენობას ორივე მხარე ასაიდუმლოებს, მაგრამ მთავარი თანაფარდობა მაინც 1/4-ზეა უკრაინის საზიანოდ. **ჩემი ვარაუდო გათვლით, უკრაინელებს მილიონამდე სამხედრო ჰყავთ დაღუპული.** ამის მიუხედავად, დასავლეთი არ აძლევს უკრაინელებს ისეთ იარაღსა და რესურსს, რომ ომი რუსეთის ტერიტორიაზე გადაიტანონ. ეს უკვე რუსეთისთვის ომის გამოცხადების ტოლფასი იქნება. ომის გამოცხადება არც რუსეთს აწყობს, არც დასავლეთს, რადგან, თუ სამხედრო დაპირისპირებაში ნატოს ქვეყნები ღიად ჩაერთვებიან, საქმე შესაძლოა, ატომური იარაღის გამოყენებამდე მივიდეს.

**— მართლაც, საით მივყავართ პლანეტაზე ცხელი კერების მომრავლებას?**

— ჩემი აზრით, კაცობრიობა კონფლიქტების და, განსაკუთრებით, გრძელვადიანი კონფლიქტების დასრულების უკანასკნელ ეტაპზე იმყოფება. **კონფლიქტების ეს ციკლი 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაში განხორციელებული ტერორისტული აქტით დაიწყო, რის შედეგადაც შეერთებულმა შტატებმა ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიაში არაერთი „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ განახორციელა.** სინამდვილეში, ეს ოპერაციები დემოკრატიის და ანტიტერორისტული ეგიდით სხვადასხვა დამოუკიდებელ ქვეყანაში სამხედრო ძალებით ინტერვენციას, მილიონიანი სახელმწიფოების ხელისუფლებათა დამხობას და ტერორისტული ცენტრების ჩამოყალიბებას წარმოადგენდა.

უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში, ამ გზით მსოფლიოზე გაბატონების მცდელობის შანსი ჩავარდა. შტატებმა ვერ მოახერხა სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ სრულყოფილად ჩამოყალიბება, **ბაშარ ასადი** გადარჩა. მცდელობის შანსი ჩავარდა მაშინაც, როდესაც თურქეთში სამხედრო გადატრიალება მარცხით დასრულდა, როდესაც ბელარუსში ვერ მოახერხეს ხელისუფლების გადატრიალება! **აი, სწორედ ამ სამმა ფაქტორმა ამერიკელებს შეაწყვეტინა ევრაზიის კონტინენტზე გაბატონების მცდელობა, რისი საბოლოო შედეგიც რუსეთის ფედერაციის დაშლა უნდა ყოფილიყო.**

მსოფლიომ იხილა ავღანეთიდან ამერიკელების სამარცხვინოდ გაქცევაც. პრეზიდენტმა **ბაიდენმა** სამარცხვინოდ იმართლა თავი განცხადებით, რომ ამერიკელები წლების განმავლობაში ასწავლიდნენ და ამარაგებდნენ ავღანელებს, მაგრამ ისინი მაინც დამარცხდნენ! **ამერიკელებმა ანალოგიურად მიატოვეს ერაყი და ტოვებენ ახლო აღმოსავლეთს, ტოვებენ მთლიანად ევრაზიას.**

**— რა სახე ექნება გავლენის სფეროების რუკას მას შემდეგ, რაც უკრაინის მოვლენები დასრულდება?**

— რუკა ძალზე დაემსგავსება ყოფილი საბჭოთა კავშირის რუკას. ევრაზიულ კავშირს მკვეთრი კონტურები ექნება. უკვე იწყეს უკრაინის იძულება, რათა რუსეთთან მოლაპარაკებაზე წავიდეს. უკროპროპაგანდა გაიძახოდა, რუსები გავყარეთო, მაგრამ სინამდვილეში, სტამბოლის შეთანხმების შემდეგ კიევს რუსეთმა მოხსნა ალყა და ხარკოვიდანაც გავიდა. ვფიქრობ, უკვე ყველაფერი განსაზღვრულია. **არავითარი გაყოფა! მთელი უკრაინა დარჩება სლავურ კავშირში, რომელიც საგანგებოდ შეიქმნება და რუსეთთან გააერთიანებს ბელარუსს და უკრაინას.**

უახლოეს თვეებში მე ველოდები ზელენსკის რეჟიმის წინააღმდეგ სამხედრო გადატრიალებას და რუსეთის წინაშე სრულ კაპიტულაციას. **ზელენ-**

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*




**„კონფლიქტების ეს ციკლი 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაში განხორციელებული ტერორისტული აქტით დაიწყო, რის შედეგადაც შეერთებულმა შტატებმა ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიაში არაერთი „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ განახორციელა!“**



**არის ასეთი აზრი!** ★




*ვიქტორ ჭელიძე:*

# არავითარი გაყოფა! მთელი უკრაინა დარჩება სლავურ კავშირში, რომელიც საგანგებოდ შეიქმნება და რუსეთთან გააერთიანებს ბელარუსს და უკრაინას!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**სკის გუნდის წინააღმდეგ აღდგებიან უშუალოდ უკრაინელი სამხედროები. ამას მოჰყვება რუსეთის გადამწყვეტი შეტევაც და ყველაფერი უმალ დასრულდება.** გაძლიერდება BRICS-ის ქვეყნების *(ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა)* ალიანსი, ხოლო დასავლეთთან *(ევროპასთან და ამერიკასთან)* მიმართებაში დიდი ხნის განმავლობაში ჩამოეშვება „რკინის ფარდა“, დაახლოებით იმგვარი, რაც საბჭოთა პერიოდში იყო. ფარდა, ფაქტობრივად, უკვე ჩამოშვებულია!

**— საქართველოს რა ელის? ფარდის რომელ მხარეს მოექცევა?**

— სხვათაშორის, საქართველოს ყველაზე დიდი საფრთხე სწორედ უკრაინაში ომის დაჩქარებულად დასრულების მომენტში ელის, რადგან მეომრების ნაწილმა, რომელიც განადგურებას გადაურჩება, სადღაც ხომ უნდა შეაფარონ თავი? **შესაძლოა, მათ საქართველოში შემოაღწიონ და აქაური მეხუთე კოლონის მოკავშირედ იქცნენ...** მაგრამ ისიც ნიშანდობლივია, რომ კავკასიაში ომებისა და კონფლიქტების ეპოქა სრულდება. ყარაბაღის საკითხი უკვე გადაწყდა. დიდი ალბათობით, უახლოეს მომავალში საქართველოს საკითხიც დარეგულირდება.

**აუცილებლად გაიხსნება აფხაზეთის რკინიგზა და ცხინვალიდან რუსეთში მიმავალი სატრანსპორტო მაგისტრალი, შესაბამისად, ქართველებს გვექნება საშუალება, უშუალოდ ვესაუბროთ აფხაზებსა და ოსებს.**

1993 წლის ომის შემდეგ საქართველომ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე დააბრუნა 60 ათასი ლტოლვილი და როდესაც პრეზიდენტად 2004 წელს **დორბლიანი სააკაშვილი** დაგვისვეს, ის ცხინვალში შევიდა და ადგილობრივ მოსახლეობას ესაუბრებოდა! სამაჩაბლოში გაცილებით უკეთესი პოზიციები გვქონდა, ვიდრე აფხაზეთში, ერგნეთის ბაზრობა მართალია, ბიუჯეტისთვის იყო გარღვევა, მაგრამ მისი მეოხებით ქართველებსა და ოსებს შორის იმგვარი ეკონომიკური კავშირები არსებობდა, რომ კონფლიქტის ბოლომდე ამოწურვას მხოლოდ გაფორმება სჭირდებოდა, სააკაშვილს საომარი რიტორიკა რომ არ გაეჩაღებინა.

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით, ყველა ალიანსისა და შეიარაღებული ბანაკისგან ნეიტრალური სახელმწიფო უნდა გახდეს, რომელსაც დაეკისრება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ „შუა დერეფნის“ ფუნქცია, რასაც ახლა ჩვენ თვალწინ ეყრება საფუძველი; ამასთან ერთად, ჯვარედინი — ჩრდილოეთისა (რუსეთი) და სამხრეთის — დამაკავშირებელი ფუნქციაც ექნება. როგორც ახლა იკვეთება, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება სწორედ ამ მიზნის მისაღწევად იღვწის.

**— მაშ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს ყასიდად ველოდებით?**

— ეს სტატუსი თავიდან ბოლომდე ბუტაფორიაა, ხოლო საქართველო ვერასოდეს გახდება ევროკავშირის წევრი. დასავლეთსა და რუსეთს შორის „რკინის ფარდის“ პირობებში საქართველოსთვის მხოლოდ „ჯვარედინი დერეფნის“ ფუნქცია იქნება მისი ტერიტორიულად გამთლიანების და ეკონომიკურად გაძლიერების გარანტი! **მერწმუნეთ, უახლოეს მომავალში მთავარ თემად იქცევა აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედების საკითხი! ხოლო მომდევნო საკითხი იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა** (ფედერაციის, კონფედერაციის ან სხვა) **რომელიმე ფორმით.** ჩვენს მეზობლებთან ყველა კონფლიქტი გამოწვეულია მხოლოდ საქართველოს მისწრაფებით, ნატოში გაერთიანდეს და როგორც კი ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნება, ჩვენი მეზობლებისთვის საქართველოს დაქუცმაცების საჭიროება აზრს დაკარგავს! შეიძლება ამ მიზნით რაიმე სრულიად ახალი, სპეციალურად საქართველოსთვის შემუშავებული მოდელიც შემოგვთავაზონ!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

**„ევროპასთან და ამერიკასთან მიმართებაში დიდი ხნის განმავლობაში ჩამოეშვება „რკინის ფარდა“, დაახლოებით იმგვარი, რაც საბჭოთა პერიოდში იყო!“**



*სვიმონ მასხარაშვილი:*

# ვასილი სტალინი თავის მემუარებში სვეტლანაზე ამბობს – ჩემი და არ არისო!

***დიდი სტალინის უმცროსი ვაჟის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ვასილი სტალინის ტრაგიკული ბედისა და აღსასრულის შესახებ ყველამ იცის. მემუარები, რომელიც მან დატოვა და რომელსაც ასე ჰქვია — „მამას არ დავგმობ!“ — პირველად ჩინეთში გამოქვეყნდა, ხოლო 2016 წელს რუსეთშიც გამოსცეს... პროფესორ სვიმონ მასხარაშვილის აზრით, ვასილი სტალინის მძიმე ხვედრი დიდად განსაზღვრა მისმა დაპირისპირებამ სტალინის უახლოესი გარემოცვის წევრებთან, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერა და ვერ აღმოიფხვრა:***

— პირველივე დღიდან, როცა 1953 წლის 2 მარტს კუნცევოს აგარაკზე სტალინი უგონო მდგომარეობაში ნახა, **ვასილი სტალინმა** ყვირილი და გინება დაიწყო — **„მამა მომიკალით?“ „მოგწამლეს, მამა, ამ ლორებმა?“** ერთადერთი კაცი, რომელიც ამ დროს მას იჭერდა, აშოშმინებდა და ეუბნებოდა — **„ვასია, ახლა ამის დრო აქ არ არის!“** — ლავრენტი ბერია იყო. ვასილი სტალინი თავის მემუარებში საგანგებოდ საუბრობს თავის დაზე — **სვეტლანა ალილუევაზე,** მას „გარყვნილ“ და „მოღალატე“ ადამიანად მოიხსენიებს, რომელმაც „გაყიდა მამა, სამშობლო და ოჯახი“. **ვასილი სტალინი პირდაპირ წერს, რომ სვეტლანა ალილუევას ერთი სიტყვის დაჯერებაც კი არ შეიძლება, რადგან მან პირადი კომფორტის გულისთვის მამას უღალატა.**

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ვასილი სტალინი სწორედ მამისადმი ერთგულებას შეეწირა და სვეტლანას მსგავსად არც გაყიდა და არც უარყო დიდი სტალინი. 1921 წელს დაბადებული **ვასილი სტალინი** 1962 წლის 19 მარტს, 41 წლის ასაკში, ყაზანში გარდაიცვალა. **ნიკიტა ხრუშჩოვმა ის რვა წელი ციხეში გამოკეტა და ბოლოს მოკლა, რადგან ყველანაირი გამოკვლევით დასტურდება, რომ ბელადის უმცროსი ვაჟი მოწამლული იყო.**

**— სვეტლანა ალილუევას გახმაურებული წიგნი — „ოცი წერილი მეგობარს“, სადაც ავტორმა საკუთარი მამა — დიდი სტალინი უდიერად მოიხსენია და უკანასკნელი სიტყვებით გამოლანძღა, როგორც ცნობილია, ამერიკული „ცერეუს“ დაკვეთით გამოვიდა, რისთვისაც ბელადის ქალიშვილს დიდძალი თანხა გადაუხადეს!**

— კი, ბატონო, ეს, დიდი ალბათობით, მართლაც „ცერეუს“ შეკვეთა იყო, მაგრამ ვიდრე ზემოხსენებული წიგნი გამოვიდოდა, სვეტლანა სტალინს ისედაც აგინებდა და ლანძღავდა. სწორედ ამიტომ **ვასილი სტალინი** თავის მემუარებში სვეტლანას უარყოფს და მასზე ამბობს — **ჩემი და არ არისო!** ვასილი სვეტლანაზე პირდაპირ აცხადებს — **რაც ამ ქალმა მამაჩემზე თქვა, ყველაფერი აბსოლუტური სიბინძურე და ტყუილია და მსგავს ცილისწამებას ის აწიც გააგრძელებსო!**

სტალინი ისე ბინძურად და დაუმსახურებლად ჯერ არავის გაულანძღავს, როგორც ნაძირალა ნიკიტა ხრუშჩოვს და თავის უსაყვარლეს ქალიშვილს სვეტლანას, რომელიც მამას სიგიჟემდე უყვარდა და ამის გამო ბევრ რამეს პატიობდა. აქ ერთმნიშვნელოვნად არც ამერიკულ „ცერეუზე“ გამოვა ხელის დადება და იმის თქმა, თითქოს სვეტ-

**„ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვასილი სტალინს მამასთან კონფლიქტი მოუვიდა, იყო ავტომობილი „პაკარდი“, რომელიც მას ბერლინის აღების შემდეგ გერმანიიდან უნდა წამოეყვანა!“**



იოსებ სტალინი შვილებთან – ვასილისთან და სვეტლანასთან ერთად

ლანამ მხოლოდ ამერიკელების მიერ გადახდილი მილიონების სანაცვლოდ შეურაცხყო და შებღალა მამის სახელი. დარწმუნებული ვარ, თვით ამერიკელების ინტერესებშიც არ შედიოდა სტალინის ისე დამცირება, შეურაცხყოფა და იდიოტად წარმოჩენა, როგორც ეს სვეტლანამ და ხრუშჩოვმა გააკეთეს, რადგან მაშინ გამოდის, რომ ჰიტლერის წინააღმდეგ დაუნდობელ ომში ამერიკელებისა და ბრიტანელების მთავარი მოკავშირე, რომელმაც რაიხსტაგის კენწეროზე გამარჯვების დროშა აღმართა, არა გენერალისიმუსი და ძლევამოსილი სტრატეგი, არამედ ჩვეულებრივი პამპულა იყო.

ერთადერთი ადამიანი, ვის ინტერესებშიც სტალინის ისე დაუნდობლად ლანძღვა-გინება შედიოდა, როგორც ამას ბელადის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა სჩადიოდა, მხოლოდ და მხოლოდ გონებაშეზღუდული **ნიკიტა ხრუშჩოვი** იყო.

**— საინტერესოა, რას წერს ვასილი სტალინი თავის მოგონებებში ნიკიტა ხრუშჩოვის შესახებ?**

— საქმეც ის არის, რომ გაოგნებული ვასილი სტალინი თავის მემუარებში პირდაპირ კითხულობს — **ვერაფრით ამიხსნია, ეს იდიოტი და აბსოლუტურად გონებაშეზღუდული ნიკიტა ხრუშჩოვი მამაჩემს გვერდით რატომ ჰყავსო?!** სხვათაშორის, ვასილი სტალინის იგივე დამოკიდებულება ნიკიტა ხრუშჩოვისადმი გამოსჭვივის **ანასტას მიქოიანის** ვაჟის — **სტეფანე მიქოიანისა** და სტალინის შვილობილის — **არტიომ სერგეევის** მოგონებებიდანაც!

**— როგორ აფასებს ვასილი სტალინი თავის მოგონებებში ლავრენტი ბერიას ფიგურას?**

— პირდაპირ უნდა ითქვას — ახალგაზრდა **ვასილი სტალინი** თავის მემუარებში **ლავრენტი ბერიას** ძალიან ცუდად მოიხსენიებს და არ ენდობა. ვასილი თავის ძმობილსა და თანაშეზრდილს — **არტიომ სერგეევს** ისევე, როგორც **სტეფანე მიქოიანს,** ჯერ კიდევ 1945 წელს ეუბნებოდა — **აგერ ნახავთ, მე ძალიან ცოტა დრო მაქვს დარჩენილი... მამაჩემი ცუდად არის, დიდხანს ვერ იცოცხლებს და როგორც კი მოკვდება, ბერია მაშინვე გამანადგურებსო!** ვასილი სტალინი ამას არამარტო არტიომს, არამედ ყველა ადამიანს ეუბნებოდა, ვისთანაც შეხება ჰქონდა. ვასილი სტალინი პირდაპირ აცხადებდა — **ლავრენტი ბერიას არ ვუყვარვარო!** სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ბერია მას თვითონაც არ უყვარდა...

**— მაინც რა იყო ამ სიძულვილის მთავარი მიზეზი?**

— ამ კითხვაზე ზუსტი და ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია... საერთოდ, რაც წამიკითხავს და ვიცი, შემიძლია, დაბეჯითებით განვაცხადო, რომ სტალინის გარემოცვაში საინტერესო და ორიგინალური ტიპი ბევრი არ იყო! აი, მაგალითად, პირადად ჩემთვის სტალინის უახლოესი გარემოცვიდან საინტერესოა რამდენიმე პიროვნება: **ვასილი სტალინი, ლავრენტი ბერია,** ავიაციის მთავარი მარშალი **ალექსანდრე გოლოვანოვი და მარშალი კონსტანტინე როკოსოვსკი...** ესენი არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება და განვლილი გზა თანამედროვე ბლოკბასტერის სიუჟეტად გამოდგებოდა. ესენი არ იყვნენ კლასიკური ე.წ. „ჰომოსოვეტიკუსები“, რომლებიც სტალინს ბაძავდნენ და ულვაშითა და კიტელით დადიოდნენ. სუყველა იყო ძალიან თავისუფალი ადამიანი... იგივე **გოლოვანოვი** სპორტსმენი და ძალიან პოპულარული პიროვნება გახლდათ, რომელიც 1941 წელს პოლკოვნიკი იყო და რამდენიმე წელიწადში ავიაციის მთავარი მარშალი გახდა. მსოფლიო ისტორიაში ასეთი სწრაფი კარიერული აღმასვლა არცერთ მხედართმთავარს არ ჰქონია. რაც ყველაზე მთავარია,



# ვასილი სტალინი:

## აგერ ნახავთ, მე ძალიან ცოტა დრო მაქვს დარჩენილი... მამაჩემი ცუდად არის, დიდხანს ვერ იცოცხლებს და როგორც კი მოკვდება, ბერია მაშინვე გამანადგურებს!



ლავრენტი ბერია სტალინის ქალიშვილთან – სვეტლანასთან ერთად

**ალექსანდრე გოლოვანოვმა** ეს შეძლო მხოლოდ და მხოლოდ ნიჭით და არა სტალინთან ახლობლობითა და მეგობრობით. აღარაფერს ვამბობთ **ლავრენტი ბერიაზე,** რომლის შესახებაც უცხოელებიც კი ამბობდნენ და წერდნენ, რომ ეს იყო ნამდვილი ევროპელი, როგორც მანერებითა და ქცევით, ისე ჩაცმის სტილითა და სპორტისადმი სიყვარულით, რომელიც პოლიტბიუროში „თეთრი ყვავივით“ იჯდა. სხვათაშორის, მართლაც, პოლიტბიუროს მიღმა იყო, მაგრამ ფრიად წესიერი, განათლებული და საინტერესო პიროვნება გახლდათ მარშალი **სემიონ ბუდიონი,** რომელსაც ნაძირალა ნიკიტა ხრუშჩოვმა უბინძურესი პიარი აუგორა და სულელად შერაცხა. არადა, ბუდიონი თავისი ცოდნითა და ინტელექტით არავის არაფერში ჩამოუვარდებოდა და ფანტასტიკური ცხენოსანიც იყო. სხვათაშორის, დღევანდელი რუსეთის ცხენოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი სწორედ სემიონ ბუდიონის ვაჟია! რაც შეეხება **ვასილი სტალინს,** ის იყო დიდებული მხედართმთავარი, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ქართველი იყო, ძმაკაცობდა ქართველ სპორტსმენებთან და გადამკვდარი იყო სპორტზე, როგორც მეცენატი. ვასილი სტალინი ბუნებით ლაღი კაცი გახლდათ და მისთვის მონური მორჩილება თვით მამის წინაშეც კი უცხო იყო. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც **ვასილი სტალინს** მამასთან კონფლიქტი მოუვიდა, იყო **ავტომობილი „პაკარდი“,** რომელიც მას ბერლინის აღების შემდეგ გერმანიიდან უნდა წამოეყვანა...

**— სტალინმა შვილს ნება არ დართო, ოკუპირებული გერმანიიდან „პაკარდი“ ჩამოეყვანა?**

— დიახ, ბელადმა შვილს ნება არ მისცა, „პაკარდით“ ევლო, რომელიც თვალში საცემი და გამორჩეულად ძვირფასი მანქანა გახლდათ. საბოლოოდ მამა-შვილი იმაზე შეთანხმდნენ, რომ ვასილი „ხორხით“ ივლიდა...

მკითხველს შევახსენებთ, რომ მაშინდელი „ხორხი“ დღევანდელი ავტომანქანა „აუდი“ გახლავთ, ანუ ის, რაც დასავლეთში კარგი, ლამაზი და კომფორტული იყო, ზემოხსენებული პირებისთვისაც მისაღები გახლდათ, რადგან სნობები და გონებაშეზღუდულები არ იყვნენ და ფიქრობდნენ, რომ ნოვატორული და ხალხისთვის მოსაწონი საბჭოთა კავშირშიც უნდა დანერგილიყო.

სამი პიროვნება — **ვასილი სტალინი, ლავრენტი ბერია და ალექსანდრე გოლოვანოვი** ამ მხრივ ყველასგან გამორჩეულია. ბერიას მემუარები არ დაუტოვებია, მაგრამ ვასილი სტალინისა და ალექსანდრე გოლოვანოვის მემუარებში ერთი რამ აშკარად თვალში მოგხვდებათ — გოლოვანოვი ვერ იტანდა ვერც ვასილის და ვერც ბერიას; თავის მხრივ, ვასილი სტალინს პიროვნული აუტანლობა ჰქონდა ბერიასა და თავისზე უფრო მაღალჩინოსანი ავიატორებისადმი, რომელთა შორისაც, რა თქმა უნდა, გოლოვანოვიც „გადიოდა“. ცნობისათვის, **„ავიატორების საქმის“** მთავარი ინიციატორი იყო არა **ვიქტორ აბაკუმოვი,** არამედ ვასილი სტალინი. საბჭოთა სამხედრო ავიაციაში არსებული უმძიმესი პრობლემების შესახებ ვასილის მამასთან საუბრები არამხოლოდ ომის დასრულების შემდეგ, არამედ 1942-1943 წლებშიც ჰქონდა, ანუ მხოლოდ 1946 წელს არ მისულა ვასილი მამასთან და მხოლოდ მაშინ არ უთქვამს — ავიაციაში ამოდენა პრობლემები და მსხვერპლი ამისა და ამის გამო გვაქვსო!

## ისტორიკოსის თვალით

**— ვასილი სტალინი ომის დროს საბჭოთა სამხედრო ავიაციის კრახის და პილოტთა შორის უდიდესი მსხვერპლის მთავარ მიზეზად რას ასახელებდა?**

— ვასილი ამ უდიდესი ტრაგედიის მთავარ მიზეზად ასახელებდა საავიაციო მრეწველობის მინისტრის — **ალექსეი შახურინის** უმძიმეს შეცდომებს და პილოტთა მომზადების წესში დაშვებულ შეცდომებს. საქმე ის გახლდათ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტური გერმანიის „ლუფტვაფეს“ ხელმძღვანელობა, რომელსაც თავიდან ბოლომდე **რაიხსმარშალი გერინგი** აკონტროლებდა, საუკეთესო გერმანულ ბომბდამშენებზე, რომლებიც საბჭოთა თვითმფრინავებს ბევრად სჯობდა, არავითარ შემთხვევაში პილოტს არ დასვამდა და საბრძოლო დავალების შესასრულებლად არ გაგზავნიდა, თუ მას, სულ მცირე, 250 საათი არ ჰქონდა ნაფრენი. საბჭოთა არმიაში კი 8-საათიანი ფრენაც საკმარისი იყო იმისათვის, რათა პილოტი საბრძოლო თვითმფრინავზე დაესვათ და დავალების შესასრულებლად გაეგზავნათ. პილოტისთვის ეს ნიშნავდა განაჩენს... სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოთა სამხედრო მფრინავებს შორის მსხვერპლი იყო წარმოუდგენლად დიდი და ნადგურდებოდა საუკეთესო და ჯანმრთელი ახალგაზრდობა, გენოფონდი... დიდი სამამულო ომის დაწყების წინ გეგმით დღეში 50 თვითმფრინავის გამოშვება იყო გათვალისწინებული, მაგრამ 20-ს ვერ ასცდნენ. რასაც უშვებდნენ, ხარისხობრივად იქაც სერიოზული პრობლემები იყო.

**— მაინც რა პრობლემები იყო?**

— თვითმფრინავებს ისეთი საღებავით ღებავდნენ, რომელიც მზის სხივების ზემოქმედების შედეგად ლითონის კოროზიას იწვევდა... თვითმფრინავის ჩაბარების დროს ეს პრობლემები არ ჩანდა და საქმის მიფუჩეჩება ხდებოდა, მაგრამ შემდეგ უკვე უმძიმესი პრობლემები იყო სახეზე. პარალელურად, თავი იჩინა პრობლემებმა ქიმიურ მრეწველობაშიც... როგორც კი ავიაციაში ეს პრობლემები დაფიქსირდა, **ლაზარ კაგანოვიჩის** ძმა **მიხეილ კაგანოვიჩი,** რომელიც მაშინ ავიაციის მრეწველობის მინისტრი იყო, მოხსნეს და 1940 წლის 10 იანვარს მის ნაცვლად დანიშნეს **ალექსეი შახურინი,** რომელსაც ეს თანამდებობა 1946 წლის 5 იანვრამდე ეკავა. შახურინმა გეგმის შესრულება კი დაიწყო, მაგრამ ეს ხდებოდა თვითმფრინავების ტექნიკური წონის კიდევ უფრო დამძიმების ხარჯზე. ალექსეი შახურინი, ავიაციის სარდლის **ალექსანდრე ნოვიკოვის** გარეშე, რომელიც 1922-1924 წლებში ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური ძალების მთავარი შტაბის უფროსი იყო, ამას ვერ გააკეთებდა. მოკლედ, შახურინსა და ნოვიკოვს ფეხებზე ეკიდათ პილოტების სიცოცხლე, რაც 1946 წლის აპრილში მათი დაპატიმრების და „ავიატორების საქმის“ აღძვრის მიზეზი გახდა. მოგეხსენებათ, ალექსანდრე ნოვიკოვს ყველა სამხედრო წოდება და თანამდებობა ჩამოართვეს და შახურინთან და სხვა არაერთ თანამდებობის პირთან ერთად ციხეში გაუშვეს. არადა, ამ დროს **ვასილი სტალინი** თავის შენაერთში პილოტს შტურვალთან არ დასვამდა, თუ მას საწვრთნელი ფრენის 50-საათიანი გამოცდილება მაინც არ ჰქონდა. ამიტომაც ვასილი სტალინის საბრძოლო შენაერთი, ფაქტობრივად, უდანაკარგო იყო. **მართალია, მოქეიფე გახლდათ, სვამდა, როგორც ყველა პილოტი, მაგრამ, როგორც მეთაური და ხელმძღვანელი, ძალიან მკაცრი იყო. აქედან გამომდინარე, ვასილი სტალინს ვერც ავიაციის მარშლის ალექსანდრე ნოვიკოვის დაჯგუფება იტანდა.**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



ნიკიტა ხრუშჩოვი

## „სტალინი ისე ბინძურად და დაუმსახურებლად ჯერ არავის გაულანძღავს, როგორც ნაძირალა ნიკიტა ხრუშჩოვს და თავის უსაყვარლეს ქალიშვილს სვეტლანას, რომელიც მამას სიგიჟემდე უყვარდა!“



სვეტლანა ალილუევა

## 1937 წლის ე. წ. სამხედროთა შეთქმულებასთან დაკავშირებით დღემდე სხვადასხვა, დიამეტრულად საპირისპირო თვალსაზრისი არსებობს. ზოგი ნაშრომი ამტკიცებს, რომ ტუხაჩევსკისა და სხვა მხედართმთავართა პროცესი სტალინის და ვოროშილოვის მიერ იყო ფალსიფიცირებული, სხვებში კი ნათქვამია, რომ შეთქმულებას მართლაც ჰქონდა ადგილი. სინამდვილეში რა მოხდა?


უინსტონ ჩერჩილი და სტალინი


მიხეილ ტუხაჩევსკი

აი, როგორ უპასუხებს ამ კითხვას ისეთი ავტორიტეტი, როგორიც **დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი** გახლდათ, თავის ცნობილ მრავალტომეულ შრომაში **„მეორე მსოფლიო ომი“** (ტ. I, გვ. 266-267, მოსკოვი, 1955 წ.): **„1936 წლის შემოდგომაზე ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ბენეშმა შეიტყო, რომ პრაღაში საბჭოთა საელჩოს მეშვეობით ხორციელდება კავშირი რუსეთის მაღალი თანამდებობის პირებსა და გერმანიის მთავრობას შორის. ეს იყო სამხედროებისა და ძველი გვარდიის კომუნისტთა შეთქმულების ელემენტი, რომელიც სტალინის დამხობას და პროგერმანული ორიენტაციის საფუძველზე ახალი რეჟიმის დამყარებას ისახავდა მიზნად. პრეზიდენტმა ბენეშმა დაუყოვნებლივ აცნობა სტალინს ყველაფერი, რისი გარკვევაც შეძლო. ამას მოჰყვა რუსეთში სამხედრო და პოლიტიკური აპარატის ულმობელი, თუმცა, შესაძლოა, არცთუ უსარგებლო წმენდა და მთელი წყება პროცესებისა, რომლებზეც სახელმწიფო ბრალმდებლის როლში ბრწყინვალედ გამოდიოდა ვიშინსკი... რუსული არმია პროგერმანული ელემენტებისაგან გაიწმინდა, პარტიული და სახელმწიფო აპარატი კი — მათი მხარდამჭერი ფუნქციონერებისაგან...“**

ამ გამონათქვამს **გერმანელი ისტორიკოსის ი. პფაიფის** თვალსაზრისით შევავსებთ („ტუხაჩევსკის საქმე“, მიუნხენი, 1963 წ. რუსულად არ უთარგმნიათ, ციტირება ხდება ბ. სოლოვიოვისა და ვ. სუხოდეევის წიგნის „მხედართმთავარი სტალინის“ მიხედვით): **„შეთქმულები** *(ტუხაჩევსკი და სხვები — რედ.)* **გერმანიის გენშტაბთან ურთიერთქმედებით, სამხედრო გადატრიალების გზით სტალინის დამხობას და სამხედრო დიქტატურის დამყარებას გეგმავდნენ, რომელიც გერმანიას რუსეთის შიგნით განსაკუთრებულ პრივილეგიებს მიანიჭებდა და უკრაინაშიც ტერიტორიულ დათმობებზე წავიდოდა. ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო ძლიერი სამხედრო ხელისუფლების ქვეშ მყოფი „ეროვნული რუსეთის“ შექმნის ლოზუნგით“.**

აი, რა უპასუხა სსრკ-ზე გერმანიის თავდასხმის პირველ დღეებში **1936-1938 წლებში** მოსკოვში **აშშ-ის ელჩმა ჯოზეფ დევისმა** ჟურნალისტთა შეკითხვას: „რა შეგიძლიათ თქვათ რუსეთში „მეხუთე კოლონის“ შესახებ?“

**„მათ იქ „მეხუთე კოლონა“ არ ჰყავთ. სტალინმა ის დროულად გაანადგურა. მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნდა, რომ რუსეთში მოღალატეთა ცნობილი პროცესები და 1935-1939 წლების წმენდა ბარბაროსობის, უმადურობის და ისტერიულობის აღმაშფოთებელ მაგალითებს წარმოადგენდა, მაგრამ ახლა ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ეს სტალინის და მის უახლოეს თანამოსაგრეთა საოცარ შორსმჭვრეტელობას მოწმობდა.“**

კომპეტენტურ პირთა ამ გამონათქვამებს ვეღარაფერს დავამატებ.

## ე. წ. უძრაობის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ძარცვა ცნობილი მომთვინიერებლის ირინა ბუგრიმოვას ბრილიანტების კოლექციის გატაცება იყო. ამბობდნენ, რომ მძარცველები გენმდივან ბრეჟნევის ქალიშვილთან იყვნენ დაკავშირებული. მართალია თუ არა ეს?




ირინა ბუგრიმოვა


გალინა ბრეჟნევა

ეს განთქმული ძარცვა **1982 წლის დამდეგს მოხდა.** წინა დღეს, **1981 წლის 30 დეკემბერს** მოსკოვის კოტელნი სანაპიროზე მდებარე მაღლივი სახლის სადარბაზოში სამი უზადოდ გამოწყობილი ახალგაზრდა შევიდა უზარმაზარი ნაძვის ხით ხელში. ეს შენობა იმ მაღლივი სახლების სერიიდან იყო, რომლებიც **ი. სტალინის** ჩანაფიქრით ააგეს დედაქალაქის სხვადასხვა კუთხეში და რომლებშიც პრესტიჟული ბინები, მისივე განკარგულებით, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს მისცეს. თავის დროზე ერთ-ერთი ასეთი დიდებული ბინა სსრკ-ის სახალხო არტისტმა, ვეფხვების ცნობილმა მომთვინიერებელმა **ირინა ბუგრიმოვამაც** მიიღო. ყველა ამ შენობას დაცვა ჰყავდა, ამიტომ ვახტიორმა შემოსულებს ჰკითხა: **„ვისთან მიდიხართ?“** ერთ-ერთმა მხიარულად უპასუხა: **„იროჩკა ბუგრიმოვასთან“. „შინ არ არის,“** — უთხრა ვახტიორმა. **„ვიცით, ვიცით,** — წამოიძახეს ახალგაზრდებმა, — **ჩვენ მისი კოლეგები ვართ, ცირკის მსახიობები, საახალწლო საჩუქარი მოვუტანეთ — ნაძვის ხე. ბინის კართან დავუდგამთ და ირასთვის სიურპრიზი იქნება.“** „მსახიობები“ ისეთი თავაზიანები და მომხიბვლელები იყვნენ, რომ ვახტიორს მათ სიტყვებში წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი და გაატარა. ის მხოლოდ **15-20 წუთის** შემდეგ აღელდა, რადგან „მსახიობები“ არსად ჩანდნენ. საშინელი წინათგრძნობით შეპყრობილი ვახტიორი **ბუგრიმოვას** სართულზე ავიდა, სადაც ძირს დაგდებული ნაძვის ხე და ყურთამდე გაღებული კარი დაინახა. უკანა გასასვლელიც ღია იყო. „მსახიობებმა“ სახანძრო კიბით ისარგებლეს. ბუნებრივია, ვახტიორმა მყისვე მილიცია გამოიძახა. შინ დაბრუნებულმა **ბუგრიმოვამ** ბინაში მხოლოდ **ბრილიანტების კოლექცია** მოისაკლისა. სულ რაღაც ორი დღის წინ მას ისინი საფრანგეთის საელჩოში მიღებაზე ეკეთა. მთელ მოსკოვში გახმაურებული ამ ძარცვის გამოძიებამ ოპერატიული მუშაკები ცირკის მსახიობ (ის დიდი თეატრის სოლისტადაც ირიცხებოდა) **ბორის ბურიაცესთან** მიიყვანა, რომელიც მოსკოვის ბომონდის წრეებში უფრო **ბორის ბოშას** სახელით იყო ცნობილი. **ბურიაცე გენმდივნის ქალიშვილის გალინა ბრეჟნევას** ერთ-ერთი ინტიმური მეგობარი იყო. რამდენადაც ეს საქმე კონტროლზე პირადად КГБ-ს თავმჯდომარემ **ანდროპოვმა** აიყვანა, **ბოშა** სწრაფად გამოტეხეს. გაირკვა, რომ ძარცვის წინა დღეს საელჩოში მიღებაზე **გალინა ბრეჟნევაც** ყოფილა თავის, როგორც ახლა იტყვიან, „ბოიფრენდთან“ ერთად და „ველური კატების მომთვინიერებლის ბრილიანტები ჭკუის დაკარგვამდე მოსწონებია.“ ჰოდა, საყვარელსაც ბევრი აღარ უფიქრია და გადაწყვიტა, „ეჩუქებინა“. ეს ყველაფერი **ანდროპოვმა** პირადად მოახსენა **„ძვირფას ლეონიდ ილიჩს“.** ბრილიანტები დააბრუნეს. თუმცა, მფლობელისთვის კოლექციის გადაცემისას აღმოჩნდა, რომ მას ყველაზე მსხვილი და ძვირფასი ბრილიანტი აკლდა და თუმცა, **ბრეჟნევის** გარდაცვალების და ხელისუფლების სათავეში **ანდროპოვის** მისვლის შემდეგ **ბურიაცეს,** მისი ნაცნობ-მეგობრების და თავად **გალინა ბრეჟნევას** ბინები გულდასმით გაჩხრიკეს, ბრილიანტი თითქოს მიწამ ჩაყლაპა. რაც შეეხება გამტაცებელს, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მას პატიმრობაში გული გაუსკდა და მოკვდა. ნათქვამს მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ **გალინა ბრეჟნევა,** ფაქტობრივად, სიღატაკეში გარდაიცვალა ალკოჰოლიზმისაგან.

აი, ასეთია უძრაობის ეპოქის ეს კრიმინალური ამბავი.

## წამიკითხავს, რომ ი. სტალინის ერთ-ერთი საყვარელი მწერალი ილია ერენბურგი 20-იან წლებში თავგამოდებული ანტისაბჭოელი იყო და ლენინსა და საბჭოთა ხელისუფლებაზე პასკვილებს წერდა. როგორ მოხდა, რომ მას თავად ბელადი მფარველობდა?

ტერმინ „თავგამოდებულს“ შეიძლება შევედავოთ, მაგრამ ილია ერენბურგმა (1891-1967) 1918 წელს გამოცემული თავისი წიგნით „რუსეთისათვის ლოცვა“ მართლაც დაგმო ოქტომბრის რევოლუცია, ხოლო რომან „ხულიო ხურენიტოში“ (1922 წ.) ლენინი გროტესკული, გაშარჟებული სახით გამოიყვანა (თავი „დიდი ინკვიზიტორი ლეგენდის მიღმა“). გარდა ამისა, რომანში „ლაზიკ როიტშვანცის ბობოქარი ცხოვრება“ (დაიწერა 1927 წელს, სსრკ-ში არ გამოცემულა) საბჭოთა სინამდვილე სატირული რაკურსით იყო ასახული.

საფრანგეთში მრავალწლიანი ემიგრაციის შემდეგ ერენბურგი სსრკ-ში მხოლოდ 20-იანი წლების დასასრულს დაბრუნდა. მაგრამ ის სიცოცხლის ბოლომდე „ფრანგოფილად“ დარჩა და მისი რომანი „ქარიშხალი“, რომელსაც 1948 წელს სტალინური პრემია მიენიჭა (მანამდე მას პრემია 1943 წელს მიანიჭეს წიგნისათვის „პარიზის დაცემა“), ფრანგებსა და საფრანგეთზე უფრო მეტს მოგვითხრობს, ვიდრე საბჭოთა ხალხზე. ერენბურგის ერთადერთ პატრიოტულ წვლილად შეიძლება ჩაითვალოს მისი ბრწყინვალე საომარი ნარკვევები და შენიშვნები, რომლებიც ყოველდღე ქვეყნდებოდა „პრავდასა“ და „კრასნაია ზვეზდაში“ და წითელი არმიის მეომრებს მტერთან საბრძოლველად ამხნევებდა. ამისათვის ჰიტლერმა „ებრაელ ერენბურგს“ დაუსწრებლად მიუსაჯა ჩამოხრჩობით სიკვდილი.

ილია ერენბურგს ბოლომდე არ შეუცვლია თავისი დამოკიდებულება ლენინის მიმართ და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ქვეყანაში, ფაქტობრივად, „შიდა ემიგრანტად“ დარჩა. თუმცა, მეორე ბელადის — სტალინის მიმართ მწერალს დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა. **„მე მას პატივს ვცემდი და ვეთაყვანებოდი“,** — აღიარა ერენბურგმა სტალინის გარდაცვალების შემდეგ. სტალინის მხრიდანაც მწერალი განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა. ცნობილია შემთხვევა, როდესაც მწერალთა კავშირში კრებაზე კოლეგებმა ის მკაცრად გააკრიტიკეს „კოსმოპოლიტიზმისათვის“. ერენბურგმა ჯიბიდან ბარათი ამოიღო და ხმამაღლა წაიკითხა: **„წავიკითხე თქვენი „ქარიშხალი“. ძლიერი ნაწარმოებია. ი. სტალინი“.**

მეტიც, 1952 წელს ერენბურგმა მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია მიიღო. ბელადის მხრიდან ასეთი კეთილგანწყობის მიზეზი, ვფიქრობ, ერთში უნდა ვეძიოთ — სტალინი აფასებდა ტალანტებს.

პირადად ისინი არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს.







გენერალისიმუსი
2023 წლის 4 დეკემბერი, №66 (234)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

***ამ ორიოდე კვირის წინათ მთელმა საქართველომ იხილა სააკაშვილის ბიძისა და სიძის — თემურ ალასანიასა და სოფო ჯაფარიძის ამერიკაში გამოსვლა, საიდანაც კაგებეშნიკ-ცერეუშნიკმა ალასანიამ თავისი ნამდვილი ზრახვები გათქვა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შესახებ საუბრისას ისევ სისხლისა და ცხედრების გზა არჩია:***

*„რატომ ვამბობთ საჯაროდ უარს არამშვიდობიან გზაზე? სად გინახავთ ისტორიაში ძალით წართმეული ტერიტორიის მარტო მშვიდობიანი შელოცვების გზით დაბრუნება? მოდით, შევულოცოთ ახლა, ერთად ჩამოვიკიდოთ ხატი კისერზე, დავიჭიროთ დიდი სანთელი, სამჯერ შემოუაროთ აფხაზეთს, ვთქვათ „ფუი, ეშმაკს“ და დაგვიბრუნდება. არ მოხდება. გაყოფილი, გახლეჩილი, ერთმანეთს დატაკებული საქართველო მირჩევნია, იმიტომ, რომ ეს არის პლურალიზმი, დემოკრატია, თავისუფლების საზომები!“*

# სანამ საქართველოში თემურ ალასანია იბოგინებს, ქართველები ნაგინები ვიქნებით!



დარბაზში შეკრებილი ქართველი ემიგრანტები სულგანაბული უსმენდნენ კაცს, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ მთელ ქართველ ერს უბინძურესი ფორმით დედა აგინა და „ავადმყოფი“ ეძახა — **„ეს არის „ავანტყოფი“ ერი რა. ეს არის... ამათ სანამ არ დაა...ვამ** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **თავზე და სანამ დედას არ მოუ...ავ** (ცენზურა ჩვენია. რედ.), **ვერ იგებენ ვერაფერს რა! მაგათი დედა მოვ...ან** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **მე ქართველების „პროსტა“. ქართველების დედა მოვ...ან** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **„პროსტა“. ვინ არიან ესენი ტო? ეს „ავანტყოფი“ ერი ვინ არის ტო?“**

არცერთ მათგანს, ვინც დარბაზში იჯდა და გულში მჯიღებს იცემდა, **თემურ ალასანიასთვის** პასუხი არ მოუთხოვია — **„შე მართლა ავადმყოფო და ცხრა „ხეზე“ გადამხტარო კაგებეშნიკო, ზურაბ ჟვანია რომ მოაკვლევინე და კიდევ ვინ იცის, რამდენი უბედურება ჩაიდინე, ქართველებს რატომ შეგვაგინე?“**

რაკი ეს შეკითხვა არ დაისვა და თემურ ალასანიას ქართველი ერის შეურაცხყოფის პასუხად ვინმემ არც დედა აგინა და არც ჭიტლაყი ამოსცხო, ბუნებრივად გაგვიჩნდა ეჭვი, რომ ალასანიას წინაშე არა ქართველები, არამედ სინამდვილეში გვარგადაკეთებული გენეტიკური დივერსანტები ისხდნენ; სხვა ვერსიით,

## დარბაზში ისხდნენ არა ქართველი კაცები, რომლებსაც თავმოყვარეობა და ღირსება აქვთ, არამედ სააკაშვილის მიერ გაბახებული ქალების ქმრები,

**რომლებსაც თავიანთი მეუღლეები სააკაშვილთან ბათუმის ფეშენებელურ სასტუმროებსა თუ განმუხურის გარყვნილების ბუნაგში დაათრევდნენ, რათა ამ ამძუვნებული და ფაფარაშლილი ლეშისგან ტენდერებში გამარჯვება მოეპოვებინათ ანდა რომელიმე ბიზნესში თავიანთი ბინძური თათები ჩაეყოთ.**

აი, სწორედ ასეთი სამარცხვინო სურათი შეგვრჩა ხელთ, როცა ამერიკაში გამართულ ზემოხსენებულ შეხვედრას ვუცქერდით და ამაოდ ველოდით იმ მომენტს, როცა რომელიმე ემიგრანტში წამით მაინც გაიღვიძებდა სახელოვანი დიმიტრი ყიფიანის სული და ქართველების მაგინებელ თემურ ალასანიას ერთს მაინც შესძახებდა — **აქედან წაეთრიეო!**

მოგეხსენებათ, 1886 წლის 24 მაისს, როცა სემინარიის სტუდენტმა **იოსებ ლაღიაშვილმა** თბილისის სასულიერო სემინარიის სოდომისტი რექტორი **პავლე ჩუდეცკი** ხანჯლით დაკლა და ამის გამო საქართველოს რუსმა ეგზარქოსმა **პავლე ლებედევმა** მთელი ქართველი ერი დაწყევლა, დიდმა **დიმიტრი ყიფიანმა** პრესის საშუალებით მოითხოვა, **პავლე ლებედევს** სასწრაფოდ დაეტოვებინა საქართველო! ეს მოთხოვნა დიმიტრი ყიფიანს, რომელიც საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, სტავროპოლში გადასახლებად და სიცოცხლის ფასად დაუჯდა, სადაც 1887 წლის 24 ოქტომბერს ხელფეხშეკრულს თავში სასწორის ქვა ჩაარტყეს და მოკლეს!

სამწუხაროდ, იმ დარბაზში არც ლაღიაშვილი ჩანდა და არც ყიფიანი... სამაგიეროდ, ჩანდნენ თავჩაქინდრულები და, სავარაუდოდ, სააკაშვილის მიერ ცოლებგაბახებულები, რომელთათვისაც აღარც ღირსება იყო ამ ქვეყნად და აღარც სინდის-ნამუსი...

ამ სისაძაგლისა და საშინელების შემყურე დავფიქრდი და საკუთარ თავს ვკითხე — გასაგებია, რომ აწ განსვენებულმა **მზია წერეთელმა** თემურ ალასანია ხორციელად შვა, მაგრამ მაინც რა ჰქვია იმ საშოს, საიდანაც გამოძვრა მოვლენა თემურ ალასანია, რომელიც ქართველ ერს დედას აგინებს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დიდხანს არ მიფიქრია, რადგან ჩემს მეხსიერებაში უმალ ამოტივტივდა წყეული **ზურაბ ჭიაბერაშვილი,** რომელმაც „ქართვლის დედას“ ხმლისა და ფიალის ნაცვლად ხელში ფალოსი და ვაგინა დააჭერინა და წლების წინათ ჟურნალ „ახალ პარადიგმებში“ დაწერა — **„ქართვლის დედის“ ხმალი ქართველ მამაკაცებში კასტრაციის შიშს აღძრავსო!**












## მოვლენა — სახელად თემურ ალასანია — ზურაბ ჭიაბერაშვილის, ემზარ ჯგერენაიას, ლევან ბერძენიშვილის, ნიკუტა გვარამიასა და ირაკლი ოქრუაშვილის გაერთიანებული უკანალიდან დაიბადა!




ძირს ქართველებზე აღესილი ალასანია!

„ა-დ“. 2023 წლის №51

თემურლენჩის განცხადება მოწმობს, რომ სააკაშვილისა და მისი ბანდის ხელისუფლებაში დაბრუნება ავტომატურად ნიშნავს ახალ-ახალ პროვოკაციებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით!

მიხეილ სააკაშვილი, თემურ ალასანია და სალომე ზურაბიშვილი

კარგად მახსოვს, ცხონებულმა **გურამ შარაძემ** მოიტანა ეს აყროლებული ჟურნალი რედაქციაში და „ასავალ-დასავალის“ რედაქტორის ლაშა ნადარეიშვილის თანდასწრებით მითხრა — **სააკაშვილის თბილისს ჭიაბერაშვილის სახით სწორედ ასეთი მერი ჰყავს და მიხედეო!**

დავწერე წერილი, ატყდა ერთი ამბავი და „ასავალ-დასავალმა“ მაშინ ქვეყანა შეაზანზარა, მაგრამ, საუბედუროდ, ქართველმა ერმა **გარყვნილ სააკაშვილსა და ფილოსოფოს ზურაბ ჭიაბერაშვილს,** რომელიც იმ დღიდან **„ფალოსოფოსად“** გამოცხადდა, შეურაცხყოფა აპატია!

ამის შემდეგ ასპარეზზე გამოვიდა **ტვინმოღრეცილი და მასტურბატორი ემზარ ჯგერენაია,** რომელმაც ქართული სუფრა და ქეიფი მამათმავლების პიკნიკად, ანუ **„გეიფად“** შერაცხა და დაწერა — **ქართველი მამაკაცების ლხინს ღრმად ჰომოსექსუალური ფესვები აქვს და ისეთი ფრაზები, როგორიცაა — „მოდი, ჩავუსხდეთ!“ „ერთმანეთს ძმობაში ჩავეხუტოთ!“ — სხვა არაფერია თუ არა მამაკაცების ერთურთისკენ გაუკუღმართებული ლტოლვა და გეისიყვარულიო!**

ქართველმა ერმა უკუღმართ ემზარ ჯგერენაიასაც აპატია...

ამ ყველაფერს მოჰყვა ცნობილი „ჯიბის დისიდენტისა“ და „ჩამშვების“ — **ლევან ბერძენიშვილის „ლექციების კურსი“ იმის შესახებ,** რომ, თურმე, დავით აღმაშენებლის ყველა შთამომავალი დეგენერატი და იდიოტი იყო; აკაკი წერეთელმა ოჯახში ქალი არ დატოვა გაუბახებელი; ვაჟა-ფშაველა პეტერბურგში სწავლისას რომელიღაც ქალს ოჯახში შეუვარდა და გაუპატიურებას უპირებდა; ხოლო სტალინის დედა — კეკე გელაძე ვაჟა-ფშაველამ გორში სწავლისას დააორსულა და სტალინი სწორედ ასე გაჩნდა...

**საქართველომ ლევან ბერძენიშვილსაც აპატია...**

მთელი ამ სიბილწისა და ქართველთმოძულეობის გვირგვინი გახლდათ ნაცპროკურორისა და კონჩიტას — **ნიკუტა გვარამიას** ცნობილი განცხადება — **„ჩა....სით** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **ღვინოში!“,** რომელსაც სააკაშვილის გენპროკურორის **ირაკლი ოქრუაშვილის** ადრინდელი განცხადება კვებავდა — **„ჩ...ჯვით** (ცენზურა ჩვენია. რედ.) **ღვინოში!“**

**რა თქმა უნდა, საქართველომ ეს შეურაცხყოფებიც გადაყლაპა და ნიკუტა გვარამიასა და ირაკლი ოქრუაშვილს ყველაფერი აპატია, მათ შორის, ქართველი ხალხის მოღორება, ბიზნესმენების გატყავება და მოსახლეობის რეკეტი.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ **მოვლენა — სახელად თემურ ალასანია —** არა დედის საშოდან, არამედ ზურაბ ჭიაბერაშვილის, ემზარ ჯგერენაიას, ლევან ბერძენიშვილის, ნიკუტა გვარამიასა და ირაკლი ოქრუაშვილის გაერთიანებული უკანალიდან დაიბადა!

**ფაქტია, რომ თემურ ალასანიას სწორედ ამ ხალხის ყროლის სუნი ასდის!**

თქმა არ უნდა, რომ, სანამ საქართველოში **თემურ ალასანია** იბოგინებს, მანამ ქართველები ნაგინები ვიქნებით!

***დიტო ჩუბინიძე***




## მიხეილ ცაგარელი:

# ევროკავშირში არავინ შეგვიყვანს და საქართველო ამიტომაც გადარჩება!

**„რუსეთმა უნდა იგრძნოს, რომ მის გვერდით არის მეგობარი სახელმწიფო, რომელიც ნატო-შმატოში არ შევა და არ უღალატებს!“**

***2023 წლის მიწურულს განსაკუთრებით იმატა ეკოლოგიურმა თუ ტექნოგენურმა კატასტროფებმა, ამჯერად ეპიცენტრი შავი ზღვის სანაპირო ზოლი იყო, სადაც 8-ბალიანი შტორმი დაფიქსირდა. სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი ასტროლოგ მიხეილ ცაგარელთან:***

— წინა ინტერვიუებში აღვნიშნე ოქტომბერ-ნოემბერში კონფლიქტების, ტექნოგენური თუ ეკოლოგიური კატასტროფების დიდი ალბათობის შესახებ, მაგრამ ამას ადამიანები იმ მომენტში დიდად არ უკვირდებიან და მერეღა იხსენებენ, როდესაც ფაქტის წინაშე დგებიან. გარდა იმისა, რომ დედამიწა უარყოფით ენერგოველში იყო მოქცეული, რამდენიმე დღის წინ სავსემთვარეობაც დაფიქსირდა. პარალელურად ცის კაბადონზე ერთმანეთთან დაპირისპირებული იყო ორი ბოროტი პლანეტა — მარსი და ურანი. ამჯერად ქარიშხალმა გადაიარა — მარსიც გადადის იმ გრადუსიდან, რომელიც დაპირისპირებას იწვევდა, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ შესაძლოა, მსგავსი ტენდენციები მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდეს.

**— გამოდის, რომ მომავალშიც უნდა ველოდეთ კატასტროფებს?**

— ალბათობა მართლაც დიდია, რადგან სამყაროში გადატვირთვა ხდება — იცვლება დედამიწის გეომანტია, ჩრდილო და სამხრეთ პოლუსების ენერგეტიკა. მსგავსი რამ 2000 წელიწადში ერთხელ ფიქსირდება. სწორედ ეს მოვლენა იწვევს ე.წ. გლობალურ დათბობას. როდესაც კომპიუტერს პრობლემა აქვს, ვთიშავთ და ხელახლა ვრთავთ, დაახლოებით ასეთი რამ ხდება დედამიწასთან მიმართებაშიც, როდესაც მისი ენერგია ბინძურდება. გეომანტიის შეცვლის შემდეგ სამყარო უფრო მშვიდად გააგრძელებს ცხოვრებას. თუმცა, ეს პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივია, შესაძლებელია, წლების მანძილზე გაგრძელდეს და გამოიწვიოს ტემპერატურული ცვლილებები, ტექნოგენური და ეკოლოგიური კატასტროფები.

ამ პროცესს რელიგიური კუთხით **მეორედ მოსვლას** უწოდებენ. ჩვენს პატრიარქს ორიოდე წლის წინათ შემთხვევით არ უთქვამს — მეორედ მოსვლა დაწყებულიაო. რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, ეს არის თეთრი და შავი ძალების, კონსერვატული და ფსევდოლიბერალური მსოფლმხედველობის დაპირისპირება, რაც კარგად ჩანს თუნდაც შეერთებული შტატების მაგალითზეც, კერძოდ, **ტრამპისა და ბაიდენის** ბრძოლაზე. საბედნიეროდ, ნელნელა ისარი კონსერვატორებისკენ იხრება. ამას მოწმობს არგენტინის ახალი პრეზიდენტისა და ნიდერლანდების ახალი პრემიერის არჩევა. ეს არ არის ჩვეულებრივი ბრძოლა, ამ დროს ცის კაბადონზეც უპირისპირდებიან ერთმანეთს ბნელი და ნათელი ძალები.

დღეს დედამიწა და, ზოგადად, მზის სისტემა შავი და თეთრი ძალების, ე.წ. ვიბრაციული ენერგიების გასაყარზეა. აქედან გამომდინარეობს გლობალური ომებიც. 2024-2025 წლები კაცობრიობისთვის გადამწყვეტი იქნება —

**თუ ლიბერალურმა ძალებმა – ბაიდენმა და მის გარშემო შემოკრებილმა ფსევდოჯგუფებმა გაიმარჯვეს, მათ შორის, დღევანდელმა ევროკავშირმა, ჩათვალეთ, კაცობრიობას სრული გადაგვარება ელის, წაიშლება ყველა სახის იდენტობა, რელიგიური მრწამსი და ადამიანები სრულად დაემონებიან მასონურ ჯგუფებს.**

**— არადა, ზარ-ზეიმით ელოდებიან 15 დეკემბერს, როცა ევროკავშირის გაურკვეველი ჟინჟილაკი უნდა ჩამოგვკიდონ...**

— ელოდოთ, მაგრამ ევროკავშირში არავინ შეგვიყვანს და საქართველო ამიტომაც გადარჩება! თურქეთსაც აქვს კანდიდატის სტატუსი 3 ათეული წელია, მაგრამ იღებს ვინმე ევროკავშირში? ეს არის ხალხის მოტყუება და გაბითურება!

მრცხვენია იმ ადამიანების ნაცვლად, რომლებიც პრეზიდენტის სასახლეში მიდიან და ხელს აწერენ რაღაც სისულელეს — ევროპაში გვინდაო. ჯერ ერთი, იმ პრეზიდენტთან მიდიან, რომელიც ქართველ ერს ვერ იტანს და, მეორეც, **თავმოყვარე ადამიანი როგორ უნდა დადგე უცხო ქვეყნის აგენტის — სალომე ზურაბიშვილის გვერდით?!** მას ხომ წარმოდგენაც არა აქვთ პოლიტიკაზე — რა ხდება და საით მიდის მსოფლიო.

რომელი ევროპა გვინდა, რომელსაც სურს, დაგვაკარგვინოს იდენტობა, ტრადიციები, რელიგია და კულტურა? დღევანდელი ევროპის სათავეში არიან გადაგვარებული მსოფლმხედველობის მქონე, მასონების მიერ გამოზრდილი ადამიანები, რომელთაც ჩვენისთანა ქვეყნების დამორჩილება სურთ. და, საერთოდ, **ევროკავშირში შესვლის შემთხვევაში ევროპა გააკეთებს იმას, რაც ბალტიისპირეთის ქვეყნებში გაკეთდა.**

**— ანუ?**

— მთლიანად მოისპო მათი მეურნეობა და მრეწველობა. როგორ ფიქრობთ, ჭირდება ევროპას მორიგი კონკურენტი საქართველოს სახით? თუნდაც ჩვენი ღვინო? **შენი რომ გაყიდონ, მაშინ ფრანგული და იტალიური ღვინოები უნდა ამოიღონ ბაზრიდან** და ევროპა ამას დაუშვებს? არანაირი სოფლის მეურნეობა და წარმოება არ იქნება საქართველოში. ევროპა გეტყვის — მოგცემთ ფულს, მოგიმატებთ ხელფასებსა და პენსიებს, გექნებათ საშუალება, თავისუფლად ჩამოხვიდეთ ჩვენთან, იცხოვროთ გაცილებით კომფორტულად, ოღონდ გააკეთებთ იმას, რასაც გიბრძანებთო. **მათი სურვილი კი ვიცით, რაც არის — ლგბტ ჯგუფების განვითარება, ოჯახური ინსტიტუტის ნგრევა, ტრადიციების რღვევა და იდენტობის მოშლა!**

ჩაბრძანდით ლიტვაში, ლატვიაში და ესტონეთში, ნახეთ, რა ხდება, ახალგაზრდა თაობა გახიზნულია ევროპაში, სამაგიეროდ, შესულია უამრავი ემიგრანტი არაბეთისა და აფრიკის ქვეყნებიდან. კი ბატონო, ფული მისდით, უფრო მაღალი ხელფასებიც აქვთ, მაგრამ საკუთარი აღარაფერი გააჩნიათ და სრულ მონობაში არიან. **ასეთი ევროპა გინდათ? ამისთვის გარბიხართ მოღალატე პრეზიდენტის სასახლეში ხელის მოსაწერად?**

პრეზიდენტის არ მიკვირს, ის იმთავითვე გარკვეული მისიით იყო საქართველოში გამოგზავნილი, დღემდე დავალებას ასრულებს, ჩვეულებრივი პროვოკატორია, მაგრამ ნამდვილად არ მესმის მათი, ვინც მის სასახლეში მიეშურება. ეს არის ქვეყნის მტრობა! სულ დაიკარგა სინდის-ნამუსი? **კიდევ ერთხელ გეკითხებით ევროპის მოყვარულო ქართველებო, გინდათ იყოთ მხოლოდ უნარჩევების მატარებელნი, მოთარეშეთა პოლიგონი, ფულიანი ევროპელების ლაქიები?** გიღირთ ასეთი ევროპა? კი ბატონო, მაშინ მიბრძანდით პრეზიდენტის სასახლეში და ხელი მოაწერეთ მონობასა და სრულ კაპიტულაციას!

**— იმის თქმა გსურთ, რომ ევროპისკენ უკვე 3 ათეული წელია ფუჭად მივილტვით?**

— სწორედ მაგაშია საქმე — ევროპისკენ გეზი არასწორია!!! ჩვენი სწორება საქართველოზე უნდა იყოს და არა ევროპა-ამერიკაზე. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ და არა თავსმოხვეული იდეაფიქსებით!

ევროპას ჯერ კიდევ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფინანსური კომფორტი შეგვიქმნას, მაგრამ რის საფასურად მივიღებთ ამას? აი, მთავარი კითხვა, რომელსაც, სამწუხაროდ, პრეზიდენტის სასახლეში მისული ადამიანები არ სვამენ. რა საჭიროა პატრიარქი, რელიგია, ტრადიციები, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება, მთავარია, თვითონ იგრძნონ თავი კომფორტულად! დიახ, ევროპას არ აწყობს მის კავშირში კონფლიქტური რეგიონის გაწევრიანება და რუსეთთან დაჯახება. ფაქტია —

**ევროკავშირში შესვლის შემთხვევაში სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დათმობა მოგვიწევს, მაგრამ ეს ვინმეს ადარდებს?!**

კიდევ ერთხელ ვამბობ, რუსეთთან დალაპარაკების გარეშე არაფერი გამოვა! გარდა იმისა, რომ ჩვენი მეზობელია, უძლიერესი სახელმწიფოა. წარმოიდგინეთ, მთელი ევროპა ებრძვის, 52 ქვეყანა ეომება უკრაინაში — იარაღით, ეკონომიკურად, მაგრამ ვერაფერი დააკლეს, პირიქით, უფრო გაძლიერდა. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის გარეშე ტერიტორიების დაბრუნება უბრალოდ შეუძლებელია.

ნუ დაგვავიწყდება, რომ, თუ დღეს ქართველი ერის იდენტობა მეტ-ნაკლებად არის შენარჩუნებული, ეს რუსეთის დამსახურებაცაა!

**— თქვენ იმ რუსეთზე საუბრობთ, რომელსაც დღესაც ოკუპირებული აქვს საქართვე-**

## კვირგვინოსნები

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ეს ხელისუფლებამ შეძლო** — თანდათან დამკვიდრდა ერთგვარი ახალი ამბავი ევროპისთვის, მთლიანად დასავლეთისთვის, რომ **საქართველო არ ყოფილა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ცხოვრობს გრანტიდან გრანტის მიღებამდე.** თურმე, ეს არის სახელმწიფო, თავისი ეროვნული ინტერესებით.

„TV იმედი“

**ფადი ასლი**
*ბიზნესმენი*



**2003 წლის 23 ნოემბერს,** ფენიქსის მსგავსად, **საქართველოც ხელახლა დაიბადა საკუთარი ფერფლიდან.** ყველა დამსახურება ენიჭება მათ, **ვინც შეასრულა ეს ცხრა წლის განმავლობაში და ვისაც სჯეროდა მისი პოტენციალის.** ზოგი, სამწუხაროდ, **გარდაიცვალა,** ზოგი **გადასახლებაშია,** ზოგი კი — **ციხეში.**

„ალია“

**კახა მიქაია**
*პოლიტოლოგი*



ხელისუფლების მხრიდან **არჩევნების გაყალბებას, ამომრჩევლებზე ზეწოლასა და შანტაჟს** აუცილებლად მოჰყვება ის, რაც 2003 წელს მოჰყვა **შევარდნაძის** ხელისუფლების მიერ არჩევნების გაყალბებას.

„ალია“

**ირაკლი გოგავა**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



მოლდოვას მისცეს მილიარდ 600 მილიონი, ჩვენ კი **შემოგვთავაზეს შავი ზღვის ელექტროკაბელი და ჰესების მშენებლობა,** ანუ მწვანე ენერგეტიკის განვითარება. რისთვის? **იმისთვის, რომ ჩვენი ხეობები ჩავხერგოთ ჰესებით, გამოვიმუშაოთ მწვანე ენერგია და გავუშვათ ევროპაში.**

„თბილისელები“

ლოს ტერიტორიის 20 პროცენტი?

— რასაკვირველია, რუსეთმა პრობლემებიც შეუქმნა საქართველოს, მის მიერ ოკუპირებულია აფხაზეთი და სამაჩაბლო, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ახალციხე დაგვიბრუნეს. რატომღაც ამაზე არავინ საუბრობს. რომელიმე ქვეყანამ, თურქეთმა, ირანმა თუ ნებისმიერმა სხვამ რამე დაგვიბრუნა? კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არა რუსეთი, ჩვენ დღეს თურქეთის ვილაიეთი ვიქნებოდით, სარწმუნოებადაკარგულები ვიცხოვრებდით თურქეთის ტერიტორიაზე ისევე, როგორც ჩვენი თანამემამულეები ცხოვრობენ. **რუსებს იმის მეათედი არ დაუშავებიათ ჩვენთვის, რაც თურქებმა დაგვიშავეს,** მაგრამ, თურმე, მხოლოდ რუსები არიან მტრები, ხოლო თურქები — ძმები.

როგორ ფიქრობთ, რატომ დაიწყო ომი 2008 წელს? მაკკეინის ჯგუფმა აიძულა სააკაშვილი, ეს პროვოკაცია მოეწყო, რისთვისაც კომპენსაციის სახით სამი მილიარდი დოლარი გამოუყვეს. კოდორის ხეობის, დავითგარეჯის გაყიდვაც დიდი ფულის სანაცვლოდ მოხდა.

**რატომ ვადანაშაულებთ მხოლოდ რუსეთს, როცა გამყიდველი პრეზიდენტი და მთავრობა გვყავდა? სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რუსები ქართველების მთავარ მტრებად გამოეცხადებინა – მოწამლა საზოგადოება ანტირუსული რიტორიკით.**

**— გასაგებია, მაგრამ დღეს ხელისუფლებაში „ქართული ოცნებაა“ და არა სააკაშვილი...**

— რა ქნას ღარიბაშვილმა, როცა წლების წინ აგორებული პროპაგანდა დღესაც მუშაობს?! არადა, რაც შეიძლება მალე მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ჩვენს მეზობელთან ურთიერთობის დასალაგებლად. **რუსეთმა უნდა იგრძნოს, რომ მის გვერდით არის მეგობარი სახელმწიფო, რომელიც ნატო-შმატოში არ შევა და არ უღალატებს.** თუ მას ჩვენი სახით საიმედო მეგობარი ეყოლება, სულ სხვა ელფერს შეიძენს პოლიტიკაც.

**როგორ გგონიათ, რატომ არ ცდილობს რუსეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ინვესტიციების ჩადებას? გველოდებიან, როდის დავალაგებთ მათთან ურთიერთობას. ჩვენგან შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას ითხოვენ.**

უკრაინამ თავისი არასწორი დამოკიდებულებით რაც მიიღო, ყველამ კარგად დავინახეთ, იგივე ხომ არ უნდა დავიმართოთ?! **დღეის მდგომარეობით, უკრაინა დამარცხებულია, რა იქნება მომავალში და როგორ განვითარდება მოვლენები, უკვე რუსების გადასაწყვეტია.** ფაქტია, დასავლეთი ვეღარ აწვდის იმდენ იარაღსა და ფულს, როგორც ომის დასაწყისში. რუსეთი თანმიმდევრულად ანადგურებს არა იმდენად უკრაინას, რამდენადაც ევროპელთა და ამერიკელთა იარაღს. ამიტომაც ცდილობს დასავლეთი, ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლამდე უკრაინის რაღაც ნაწილი მაინც შეინარჩუნოს. ვიდრე უკრაინა მთლიანად არ დაშლილა, სურთ, ზელენსკი მოლაპარაკების მაგიდასთან დასვან. **კიდევ ერთხელ ვამბობ — ახლა კარტბლანში რუსების ხელშია. ეს არის რეალობა!**

ძალიან ვწუხვარ იმ ადამიანების გამო, ვინც ამ რეალობას ვერ აფასებს და უკრაინის ომში მიდის. ცუდია, როცა ფულის გამო იკლავენ თავს, მაგრამ კიდევ უფრო გაუგებარია, როცა ამას იდეოლოგია უდევს საფუძვლად. ვის ომში იბრძვით პატრიოტული ჟინით, იმ უკრაინის, რომელიც ვერ გვიტანს? შენი მტრის დასაცავად იკლავ თავს? არც კი ვიცი, ასეთ ქართველებზე რა უნდა ვთქვა.

**— რისი თქმა შეგიძლიათ ხელისუფლებაზე, რომელმაც არც სანქციები დაუწესა რუსეთს და თან აცხადებს, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება ეროვნულ ზეიმად უნდა იქცესო...**

— ხელისუფლების დამსახურებაა, რომ დღეს ქვეყანაში მშვიდობაა და ეს ნამდვილად არის დასაფასებელი, მაგრამ სხვა დანარჩენის რა მოგახსენოთ, ქართველი ხალხის სასიკეთოდ არაფერი კეთდება. სოფლის მეურნეობაში ძვრა არ არის, მრეწველობა არ გაგვაჩნია, თავადაც ხედავთ, რა სავალალო მდგომარეობაშია საგანმანათლებლო სისტემა.

ორიოდე კვირის წინ ამერიკის ელჩი სტუმრობდა განათლების მინისტრს — ერთად უნდა გავაძლიეროთ საქართველოს განათლების სისტემა, რათა მომავალი თაობა პროფესიული წარმატებისა და აქტიური მოქალაქეობისათვის მოვამზადოთო. როგორ გგონიათ, ეს შემთხვევითი სტუმრობა იყო? არა, ბატონებო, **არასაკმარისად მოწამლეს ახალი თაობა და ახლა უფრო აქტიურ ქმედებებზე გადავიდნენ, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უნარ-ჩვევების დონეს არ გასცდეს ქართველი ხალხის განათლება.** ახლახან ახალი რეფორმის პრეზენტაციაც ჩატარდა — კერძო სკოლებს შეეძლებათ, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები. გესმით, ეს რას ნიშნავს? ყველა საკუთარ ჭკუაზე ივლის და კაცი პატრონს ვეღარ იცნობს. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ყველაფერი ერთადერთ მიზანს ემსახურება — **ქართველი ხალხი ადვილად სამართავი იყოს!**

საქართველოს ხელისუფლება ევროპას რამდენიმე მიზეზით აფეტიშებს — არ აბუნტდეს ის უტვინო ხალხი, რომელიც მზად არის, სულიც კი მიჰყიდოს დასავლეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნებს ვერ მოიგებს და ძალაუფლებას დაკარგავს. **გასაგებია, რომ დღეს ხელისუფლების ნომერ პირველი ამოცანა 2024 წლის არჩევნებში გამარჯვებაა, მაგრამ ამას ქვეყნის ინტერესები არ უნდა გადააყოლონ!**

**— რა უნდა გააკეთონ, უარი თქვან ევროკავშირზე?**

— მხოლოდ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ! როცა გავძლიერდებით (მითუმეტეს, გეოგრაფიულად სტრატეგიული პოზიცია გვაქვს), ევროპა აქეთ დაგვიკაკუნებს კარზე. ამ ეტაპზე ხმას არ ამოვიღებ, მაგრამ 2024 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლების პირველი კრიტიკოსი გავხდები — ან სამარცხვინო ოპოზიციას კანონგარეშე გამოაცხადებენ, დაასრულებენ ნაციონალებთან ჟღურტულს, გაატარებენ რადიკალურ, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ცვლილებებს სოფლის მეურნეობაში, ეკონომიკასა და განათლების სისტემაში, ან საკუთარ თავს დააბრალებენ, რასაც ქართველი ხალხისგან მიიღებენ!




„თავმოყვარე ადამიანი როგორ უნდა დადგე უცხო ქვეყნის აგენტის — სალომე ზურაბიშვილის გვერდით?!“

„მრცხვენია იმ ადამიანების ნაცვლად, რომლებიც პრეზიდენტის სასახლეში მიდიან და ხელს აწერენ რაღაც სისულელეს!“



*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**დავით ჭიჭინაძე**
*„ტრიბუნის“ ლიდერი*



**სალომე ზურაბიშვილმა ბიძინა ივანიშვილის ყველა დავალება შეასრულა,** სადაც და როდესაც უჭირდა, ყველა პოლიტიკური პრობლემა მოუგვარა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. **„ქართული ოცნების“ ზოგი ლიდერი ეჭვიანობს კიდეც, რომ ზურაბიშვილი, შესაძლოა, მათ კონკურენტად იქცეს,** რადგან პრეზიდენტი აშკარად ბიძინას ფავორიტია.

„ალია“

**ანზორ თოთაძე**
*პროფესორი*



**პრეზიდენტო, თქვენ მილიონამდე ამომრჩეველი მოატყუეთ.** თქვენს ქმედებას კაცი სხვას ვერაფერს დაარქმევს, თუ არა ზნეობით სიმდაბლეს. თუ აკაკის მოვიშველიებთ, **„შენ რისთვისაც ხვანცარიკობ, კი შეგატყვეთ, არ ვართ ბრმაო“,** ამიტომ ჩემს ნაჩუქარ წიგნებს თქვენთან ვერ დავაბინავებ, გთხოვთ, დამიბრუნოთ!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მანანა ნიკოლაიშვილი**
*განათლების დარგის სპეციალისტი*



სასწრაფოდ დააბრუნონ გამოცდები! **12-წლიან სწავლებას საერთოდ არ ვემხრობი.** ათი წელია უკვე, **გამოცდები მოხსნილია** და უკვე ათი წელია, ბავშვები სკოლაში აღარ დადიან. **მთელი თაობები წამოვიდა უკვე, საკუთარ გვარსა და სახელს ვეღარ წერენ და ორჯერ ორი არ იციან, სხვა საგნებზე ხომ ზედმეტია საუბარი. ხარისხი განულებულია.**

„რეზონანსი“

**ზურაბ ვახანია**
*განათლების ექსპერტი*



სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელოები **ძალიან აცდენილია რეალობას.** არც არავის სჭირდება ასეთი სწავლა. **უმაღლესი განათლება სასკოლო განათლებისგან მთლიანად არის მოწყვეტილი,** რაც დაუშვებელია!

„რეზონანსი“

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №11-51



## იგორ კვესელავა:

# მზად ვარ, „კაგებეს“ აგენტების სია გამოსაქვეყნებლად გადმოგცეთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავხუროთ ეს თემა!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА***

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა საქართველოს უახლეს ისტორიაში იმ საკვანძო მოვლენებს ასახელებს, რომლებმაც ქვეყნისა და პირველი პრეზიდენტის ტრაგიკული ბედი დიდწილად განსაზღვრეს:***

— როგორც ჩემთვის ცნობილია, **საზოგადოებაში დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული საგაზეთო ინტერვიუების იმ ნაწილმა, სადაც საბჭოთა „კაგებეს“ აგენტების ორასკაციან სიაზე ვლაპარაკობდი.** კიდევ ერთხელ გიმეორებთ: არ ვიცი, ბატონი **ლაშა ნადარეიშვილი** რა გადაწყვეტილებას მიიღებს და გამოაქვეყნებს თუ არა მას, მაგრამ მზად ვარ, გადმოგცეთ „კაგებეს“ აგენტების სია, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავხუროთ ეს თემა!

**— დავიჯეროთ, საქართველოში „კაგებეს“ აგენტურა მხოლოდ 200 კაცით შემოიფარგლებოდა?**

— (იცინის) აგენტები იმდენი იყვნენ, თქვენს მტერს! მაგრამ ეს სია იმით არის საინტერესო, რომ წარმოადგენს ე.წ. **„ელიტური აგენტების“ კრებულს,** რომელიც ჩანერგილი იყო სხვადასხვა სტრუქტურებში — ე.წ. თეატრალურ და კინოინტელიგენციაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკლესიაში, დღევანდელ ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიაში, სამედიცინო ინსტიტუტში, კონსერვატორიაში, თეატრალურ ინსტიტუტში, მეცნიერებათა აკადემიაში და ა.შ.

**— მაინც ვინ არიან ამ სიაში?**

— (იცინის) გადმოგცემთ ამ სიას და თავად ნახავთ ყველაფერს... ისე კი, ნაწილობრივ დავაკმაყოფილებ თქვენს ცნობისმოყვარეობას და გეტყვით, რომ ამ სიაში, როგორც „კაგებეს“ აგენტები, ფიგურირებენ **ლევან ღვინჯილია** და აწ გარდაცვლილი პროფესორი **გურამ მამულია!** სიაში ყველა აგენტის გასწვრივ მითითებულია მისი „აგენტურული“ სახელი — ე.წ. „კლიჩკა“. აქ არიან ძალიან ცნობილი ადამიანები, ისეთი ხალხი, რომელსაც საქართველოში ყველა იცნობს... ეს ორასკაციანი სია განსაკუთრებით საინტერესოა კიდევ იმით, რომ აგენტების უდიდესი ნაწილი დაუპირისპირდა **ზვიად გამსახურდიას** და ჩადგა საქართველოს მტრების სამსახურში. უდიდესი მეცნიერი იყო **ნიკო მარი,** მაგრამ „ენკავედეს“, ანუ ბერიას აგენტი გახლდათ... სწორედ ასე, ამ სიაშიც ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი შეგხვდებათ, რომლებსაც მეორე, საიდუმლო ცხოვრება ჰქონდათ. **ამ სიას რომ გადახედავთ, მერე უკვე აღარ გაგიკვირდებათ, თუ ვინ და რატომ დაუპირისპირდა ზვიად გამსახურდიას!**

**— როგორ ფიქრობთ, ე.წ. „ელიტური ინტელიგენცია“ რომ საქართველოს მტრების სამსახურში არ ჩამდგარიყო და ძმებ შენგელაიებს, ოთარ მეღვინეთუხუცესს, სოფიკო ჭიაურელს, კოტე მახარაძეს, ცნობილ მწერლებსა და პოეტებს გადატრიალებისთვის მხარი არ დაეჭირათ, შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას დამხობას შეძლებდა?**

— რომ არა ინტელიგენციის ღალატი, ედუარდ შევარდნაძეს საქართველოსთვის რუსეთისა და ამერიკის გენერალიტეტი




რომც დაეპირისპირებინა, კიტოვანი, სიგუა და იოსელიანი ვერავითარ შემთხვევაში იმას ვერ გაბედავდნენ, რაც გაბედეს! ე.წ. „ელიტურმა ინტელიგენციამ“ საქართველოს დაქცევის საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა. ეს რომ ასეა, ადასტურებს თენგიზ კიტოვანის მეუღლის **ციცინო სულაძის** ინტერვიუ, სადაც მან საქართველოს გაუბედურებაში სწორედ ინტელიგენციას დასდო ბრალი და ჟურნალისტებს განუცხადა: *დღე ერთი იყო და პირგამეხებული ე.წ. „ინტელიგენციის“ ცნობილი წარმომადგენლები თენგიზთან ზღვაზე რამდენჯერმე ადიოდნენ და ეხვეწებოდნენ — რაღას უცდით, ედუარდთან ვიყავით, დასტურია და სასწრაფოდ დაიწყე შეტევაო!* სწორედ „ინტელიგენცია“ იყო იმ სისხლისღვრისა და უბედურების ინიციატორი... ამ გარეწრებსა და თბილისელ საქმოსნებს კიტოვანთან პურმარილი და ღვინო მიჰქონდათ... სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიას კეთილის მსურველებმა შესთავაზეს, რომ თბილისის ზღვაზე დაბანაკებული კიტოვანისა და მისი ბანდისთვის ღვინოში ისეთი ნივთიერება შეერიათ, რომელიც გამოიწვევდა დიზენტერიას — შესაბამისად, მასობრივ ფაღარათს. ამ გზით ძალიან ადვილად მოხერხდებოდა იქ მყოფი დაახლოებით 50 ბანდიტის განიარაღება, მაგრამ გამსახურდიამ ამის გაკეთებაზე კატეგორიული უარი თქვა. ზვიადმა ასევე უარი უთხრა **ისა ქაძოევს** — ინგუში ერის საყვარელ შვილსა და დისიდენტს, რომ ჩეჩნები ჩამოსულიყვნენ და ყოველგვარი დანაკარგის გარეშე განეიარაღებინათ აჯანყებულები. მოკლედ, ყველგან და ყველაფერზე უარი ითქვა... მოგვიანებით, როცა ზვიად გამსახურდია დევნილობაში იმყოფებოდა, აღიარა, რომ მწარედ შეცდა და „კომსომოლსკაია პრავდას“ ჟურნალისტს **პაველ ვაშანოვს** განუცხადა — **ვნანობ, რომ სასწრაფოდ არ მივიღე ზომები და ზღვაზე დაბანაკებული აჯანყებულები არ დავაპატიმრეო!** ფაქტობრივად, იმავეს ამბობდა **თენგიზ სიგუა** — ზვიადი შეცდა, თბილისის ზღვაზე რომ არ გაგვანადგურაო!

**— ე.წ. „ინტელიგენციის“ შემდეგ ყველაზე მეტი ვინ დაუშავა საქართველოს?**

— რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი მაინც **გიორგი ჭანტურიას** „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ დააშავა, რომელიც ნამდვილად ფაშისტური ორგანიზაცია გახლდათ. ჭანტურიას „ედპ“-ს მთავარი კომიტეტი საქართველოში ყველანაირ პროვოკაციასა და სიბინძურეს გეგმავდა და ქვეყანას არეულობისა და ქაოსისაკენ მიაქანებდა. არსებობს ერთი საინტერესო დოკუმენტი, სადაც ნათლად არის გადმოცემული **გიორგი ჭანტურიას,** როგორც დესტრუქციული და უცხო ძალის მიერ მართული აგენტის სახე. ეს გახლავთ გიორგი ჭანტურიასა და რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტის **თენგიზ გუდავას** სატელეფონო საუბარი, რომელსაც აქვე გთავაზობთ!

*„**თ.გუდავა** — გია, რა ხდება თქვენთან?*

*__გ.ჭანტურია__ — **მანანა არჩვაძე** რამდენიმე ქალთან ერთად შეიჭრა სტამბაში და დაარბიეს სტამბა, სადაც*




## ციცინო სულაძე (თენგიზ კიტოვანის მეუღლე):

**დღე ერთი იყო და პირგამეხებული ე.წ. „ინტელიგენციის“ ცნობილი წარმომადგენლები თენგიზთან ზღვაზე რამდენჯერმე ადიოდნენ და ეხვეწებოდნენ — რაღას უცდით, ედუარდთან ვიყავით, დასტურია და სასწრაფოდ დაიწყე შეტევაო!**

### კვირგვინოსნები

**ლევან ხაჭაპურიძე**
*პოლიტიკური ფილოსოფოსი*



1998 წლის 9 თებერვლის **ცნობილ ტერაქტამდე სამი თვით ადრე შევარდნაძის ლიკვიდაციის მცდელობა მქონდა დაგეგმილი.** ახლა, 30 წლის შემდეგ, ვამბობ ამას. **ეს ლიკვიდაცია 1997 წლის 14 ნოემბერს, დედაჩემის დაბადების დღეზე მინდოდა, განმეხორციელებინა.** როგორც კი კოლონამ ჩამოიარა, გამოვედევნე, მაგრამ მოხდა სასწაული. **რომ იტყვიან, ეშმაკი შემებრძოლა.** წამში წინა საბურავი გამისკდა. საბურავი გამოვცვალე, მაგრამ **შევარდნაძე ხელიდან გამისხლტა.** შევიტყვე, რომ ის ქურთაში საავადმყოფოში შესულა, იმ საავადმყოფოში, სადაც მისმა გაზრდილმა **ჯაყო-ბაყათარა-ლიუკაევ-საააკაშვილმა** განათავსა დე ფაქტო **სანაკოევის** ხელისუფლება, **ამ მოღალატემ 91 წელს გაუქმებული ოლქი 2006 წელს ისევ რომ აღადგინა.**

„ალია“

**დათო როსტომაშვილი**
*იურისტი*



თბილისი **ახლა ბევრად სახიფათოა,** ვიდრე ჩემს ბავშვობაში იყო. მაშინ ადამიანებმა სიყვარული, ურთიერთობა, კაცობა იცოდნენ. **დანას იშვიათად თუ გამოიყენებდა ვინმე** და ეს მთელმა ქალაქმა იცოდა. **დღეს კი ახალგაზრდების დიდი ნაწილი შეიარაღებული დადის.**

„სარკე“

**გია კორკოტაშვილი**
*საზოგადოებრივი აქტივისტი*



„ოცნება“, თქვენი საქმე თქვენ იცით, **მაგრამ მიშამ რაც არ უნდა პიარი გიკეთოთ** ხალხთან, დიდი კოვზით ქაქი გაქვთ ნაჭამი!

„ალია“

*ჩვენი პარტიის გაზეთი* ***„ქართული ქრონიკა“*** *იბეჭდება. ამის შესახებ მე და* ***„ქართული ფილმის“*** *რედაქტორმა დავწერეთ სტატია, რომელმაც საქართველოში დიდი ბუმი გამოიწვია... როცა ჩვენმა ხალხმა პიკეტი მოაწყო სტამბის წინ, მილიცია მათ თავს დაესხა და დაარბია, მაგრამ ჩვენებმა ისინი კარგად მითეთქვეს... გამოქვეყნდა* ***ნოდარ ნათაძის*** *წერილი, რომელიც ამტკიცებდა — ზვიად გამსახურდიას არაფერი უთქვამს ეთნიკურ უმცირესობათა გასახლების შესახებ. იმ ეთნიკურ უმცირესობებზეა ლაპარაკი, რომლებიც გალის ქუჩაზე ცხოვრობენ. როგორც იცი, ამ ქუჩაზე ცხოვრობს თვით* ***გამსახურდია*** *— ისინი ზვიადს საერთოდ ანგელოზად თვლიან... ვიწყებთ დიდ აქციას —* ***„კაგებეს“ პიკეტირებას!*** *ამ აქციაში ჩვენ მხარს გვიჭერს* ***„მხედრიონი“, „დემოკრატიული პარტია“, „საქართველოს მოქალაქეთა ლიგა“, „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამაც“*** *გამოთქვა ჩვენი მხარდაჭერის სურვილი... ზვიადი თავის მიტინგებს ჩვენს წინააღმდეგ იყენებს. თითქოს ეთნიკური უმცირესობების გასახლების შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ ჩვენ ყველაფერი ჩაწერილი გვაქვს კასეტაზე. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ, თამამად დააწვეთ მას. იმ ჩანაწერებში იგი პირდაპირ ლაპარაკობს ოსებზე, სომხებზე, აზერბაიჯანელებზე, აფხაზებზე, მაგრამ ახლა ყოველივე ამას უარყოფს! ასე რომ, თქვენ თამამად შეგიძლიათ დააწვეთ მას მაქედან...* ***ახლა აქ, თენგიზ, ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი, ძალიან კარგად მიდის! მაგრამ ჩვენ ერთი ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით. რომ არა ეს შეცდომა და რომ არა ირაკლი წერეთლის ღალატი, დღეს ზვიადი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, არ იარსებებდა.*** *ჩვენ ასეთი შეცდომა დავუშვით — როცა ზვიადი მიტინგს ატარებდა, ზუსტად არ მახსოვს რიცხვი, ჩვენმა „ბოევიკებმა“ ეს მიტინგი დაარბიეს და ზვიადსაც დედა მოუ....ეს* ***(ცენზურა ჩვენია. რედ.)*** *ამან ჩვენ წინააღმდეგ უკურეაქცია გამოიწვია. მე რომ ხალხი გამსახურდიას მიტინგის დასარბევად გავაგზავნე, ვუთხარი, რომ მათ უნდა ეყვირათ* ***ილიესკუ, მოღალატე, აბელი*** *და ა.შ. ბიჭებმა კი იქ ჩხუბი ატეხეს, დედის გინებაზე გადავიდნენ და სულ მიანგრ-მოანგრიეს იქაურობა. ამან ხალხის უკურეაქცია გამოიწვია. ეს ცუდად გამოგვივიდა... ინტელიგენციაც იღვიძებს ჩვენ სასარგებლოდ და ჩვენ გვერდით დგება.* ***მოკლედ, ვფიქრობ, ზვიადის პრობლემას ჩვენ ძალიან მალე გადავწყვეტთ, ამისათვის, პრაქტიკულად, უკვე ყველაფერი გაკეთებულია.*** *დაგვრჩა ბოლო დარტყმის მიყენება და სულ მალე ზვიადი, როგორც პრობლემა, აღარ იქნება!“*

**— თქვენ ერთმნიშვნელოვნად შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ ჭანტურია შევარდნაძის მიერ იმართებოდა?**

— ცხადია! ეს ძალიან ადვილი დასამტკიცებელია, რადგან ამას თავად **შევარდნაძე** ამტკიცებს! კერძოდ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი, პროფესორი **ვანო თვალავაძე** თავის **„მოღალადე ჩანაწერებში“** ასეთ რამეს იხსენებს —

*„1994 წლის 4 თებერვალს,* ***ნატო ონიანის*** *კითხვაზე, თუ როგორ უყურებდა იგი* ***გიორგი ჭანტურიას*** *გამოწვევას ტელედებატებში, შევარდნაძემ უპასუხა:* ***„რა საჭიროა დებატები, განა მისი პარტიის წარმომადგენლები არ არიან პარლამენტში? არ კამათობენ ჩემთან? ეს ხომ დებატებია... საერთოდ, მე გია ჭანტურიასთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს და დიდ პატივს ვცემ მას. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ჩემი მოსკოვში ყოფნის დროს და მრავალ საკითხზე გვისაუბრია...“***

მგონი, მკითხველისთვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რისთვის შეხვდებოდნენ **ჭანტურია და შევარდნაძე** ერთმანეთს მოსკოვში და რა დავალებებს მისცემდა ედუარდი ჭანტურიას. შევარდნაძე **გიორგი ჭანტურიასა და ირინა სარიშვილს** „დემოკრატიის განვითარების ფონდიდან“ აფინანსებდა. ამ ფონდს ჰქონდა სხვადასხვა განყოფილება, მათ შორის ერთ-ერთი იყო **ზვიად გამსახურდიას** ხელისუფლების განადგურებისა და მოსპობის მიმართულება. ამ ფონდში შევარდნაძეს ქართველებიც ჰყავდა დასაქმებული, მათ შორის გახლდნენ **სტეფანოვი და ლებანიძე,** რომლებიც მოსკოვში იკრიბებოდნენ და საიდუმლო სეობებს მართავდნენ, რათა საქართველო **„დიქტატორ გამსახურდიასაგან გაეთავისუფლებინათ და დემოკრატია შემოეტანათ!“**

შევარდნაძემ სამეგრელოში აფხაზეთზე უარესი ომი გააჩაღა, რაც სწორედ ე.წ. „ელიტური ინტელიგენციის“ მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით შეძლო! სამეგრელოს ომში არამარტო მხედრიონელები, არამედ დაქირავებული უკრაინელი და რუსი მებრძოლები მონაწილეობდნენ და ყველანი შევარდნაძის მხარეს იბრძოდნენ. სხვათაშორის, **შევარდნაძემ** საქართველოში ბალტინის ჯარი რომ შემოიყვანა, მოხდა ასეთი შემთხვევა: რუსებს გზა აერიათ და ტანკით მარტვილისკენ წავიდნენ. მარტვილში ეს ტანკი ქართველმა პატრიოტებმა ააფეთქეს და რუსები მოკლეს... მომხდარის გამო ხუნტამ და რუსის ჯარმა სამეგრელოს მაღალმთიან სოფლებში ერთობლივი სადამსჯელო ოპერაციები განახორციელეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი ვერტმფრენებიდან დაბომბეს. სხვათაშორის, ადმირალი **ედუარდ ბალტინი**, რომელსაც შევარდნაძემ **ავთანდილ მარგიანის** ხელით მილიონები გადაუხადა, რათა ხუნტის ხელისუფლება განადგურებისა და სამარცხვინო მარცხისგან ეხსნა, ერთ-ერთ თავის უკანასკნელ ინტერვიუში შევარდნაძეს „გამყიდველს“ უწოდებს და აღიარებს, რომ **ზვიად გამსახურდია** ხალხის მიერ არჩეული კანონიერი პრეზიდენტი იყო, რომელიც იარაღის ძალით დაამხეს. ვფიქრობ, **ჩვენს შემდგომ ინტერვიუებში აუცილებლად დავასახელებ 100 გამორჩეულ მოღალატეს, რომელმაც საქართველოს გაუბედურებასა და ზვიად გამსახურდიას დამხობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა!**

**— რას მიიჩნევთ საქართველოს უახლეს ისტორიაში საკვანძო მოვლენად, რომელმაც საქართველოსა და ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული ბედი დიდწილად განსაზღვრა?**

— **ასეთი დამანგრეველი და ქვეყნისთვის საზიანო ფაქტი გახლდათ 1991 წლის ზაფხულში ოპერის ბაღში პატრიარქის მისვლა, მოშიმშილე ჯაბა იოსელიანის კარავში შესვლა და მისთვის თქმა — „ბატონო ჯაბა, თქვენ საქართველოს სჭირდებით!“** ამის უკანაც შევარდნაძე იდგა...

საქართველოს მომავლისთვის არანაკლები დამანგრეველი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ხელმოწერებსაც, რომელიც **ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის** მხარდასაჭერად სულ პირველად შეგროვდა. მაშინ გიორგი ჭანტურიას „ედპ“-ის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ზვიადის წინააღმდეგ ხელი მოაწერეს: **ვილი ალავიძემ, ციალა არდაშელიამ, აკაკი ბაქრაძემ, რუსუდან ბერიძემ, კოტე და გოკა გაბაშვილებმა, გურამ ბეგეშიძემ, ნაირა გელაშვილმა, ვახტანგ გოგუაძემ, ზურაბ თორიამ, გურამ თევზაძემ, კობა იმედაშვილმა, გენო კალანდიამ, თამაზ კვაჭანტირაძემ, ზურაბ კიკნაძემ, ვახუშტი კოტეტიშვილმა, გიგა და მარიკა ლორთქიფანიძეებმა, ოთარ ლითანიშვილმა, ნოდარ ლომოურმა, როman მიმინოშვილმა, დავით მჭედლურმა, იზა ორჯონიკიძემ, გურამ ფანჯიკიძემ, თემურ ფიფიამ, მზექალა შანიძემ** და სხვებმა...

აი, ეს იყო პირველი დიდი ხელმოწერები და გუნდი ზვიადის საწინააღმდეგოდ, რომელიც ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის მხარდასაჭერად შეიქმნა და რომელმაც დაღუპა საქართველო!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***





„რომ არა ირაკლი წერეთლის ღალატი, დღეს ზვიადი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, არ იარსებებდა!“

„როცა ზვიად გამსახურდია დევნილობაში იმყოფებოდა, აღიარა, რომ მწარედ შეცდა და „კომსომოლსკაია პრავდას“ ჟურნალისტს განუცხადა – ვნანობ, რომ სასწრაფოდ არ მივიღე ზომები და ზღვაზე დაბანაკებული აჯანყებულები არ დავაპატიმრეთ!“

## კვირგვინოსნები

**ნენე ბუთხუზი**
*ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი*



მშიერი 90-იანები ყველამ გამოვიარეთ. **დაგვსაჯეს იმიტომ, რომ თავისუფლება მოგვინდა,** მაგრამ ხომ მაინც ავირჩიეთ გზა თავისუფლების... **მაშინ ერთმანეთს გვერდში ვედექით, კოცონს ვანთებდით, ლობიოს ერთად ვხარშავდით, პურის რიგშიც ვიდექით. გვიყვარდა კიდეც ერთმანეთი, სანთლის შუქზე ვიზრდებოდით,** მაგრამ გადავრჩით. ეს ყველაფერი თავისუფლებისთვის გავაკეთეთ და ღირდა. **ახლა შემდეგი გამარჯვების ეტაპი დგას და ესეც უნდა გავიაროთ.**

„კვირის პალიტრა“

**ზურაბ სიხარულიძე**
*ნარკოლოგი*



**ნარკოტიკების მოხმარების სიხშირე** ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში უფრო თვალში საცემია, მეტიც, **საგანგაშო.** ხშირად ისეთი შემთხვევებია, ექიმებმა არ ვიცით, რა გავაკეთოთ, იმიტომ, რომ გამოცდილება არა გვაქვს. **სულ ახალ-ახალი ნარკოტიკი შემოდის. ბაზარზე გამოჩნდა ძალიან სახიფათო ახალი ნივთიერება, რომელიც ვეტერინარიაში გამოიყენება ანესთეზიის დროს.** უკვე გავრცელდა მისი კუსტარული მოხმარება. ჯერ არ შემხვედრია საქართველოში, მაგრამ ევროპასა და ამერიკაში ძალიან მოდებულია.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გურგულია**
*მსახიობი*



პირველად **ნარკოტიკი 15 წლის ასაკში გავსინჯე.** საბჭოთა კავშირში ჰიპური მოძრაობა რომ შემოვიდა, ნარკოტიკიც შემოვიდა. **„ბარიგებმა“ ნარკოტიკი პირველად ყველაზე პოპულარულ ბიჭებს შესთავაზეს,** რომლებსაც ყველა ბაძავდა და ამით მთელი თაობა ჩაითრიეს. **ეს იყო პროპაგანდა, რომელმაც თაობები შეიწირა.**

„სარკე“

**გოგა ჩანადირი**
*ფოტოხელოვანი*



სერიალ **„დიდებულ საუკუნეზე“** იზრდება ჩვენი ხალხი და **დავით ალმაშენებლის** ისტორია არ იციან.

„სარკე“

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №48-51

***თავის ტვინი განსაკუთრებული ორგანოა, რომელიც ჩვენს სხეულს მართავს. ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ თავის ტვინის ზომასა და ადამიანის ინტელექტს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს, სამაგიეროდ, პირდაპირი კავშირია ადამიანების მასობრივ ფსიქიკურ აშლილობასა და მცენარეულ ზეთებზე მომზადებულ ჩიპსებს, პიცასა და იმ პროდუქტებს შორის, რომლებიც 70-იანი წლებიდან მოყოლებული, მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით მოდური გახდა:***



## კახა საბახტარიშვილი:

# მცენარეული ზეთების უმრავლესობა და, მათ შორის, მზესუმზირა, თავის ტვინს ანგრევს!

— ჯანმრთელობასა და, ზოგადად, ცხოვრებაზე განწყობა რომ უდიდეს ზეგავლენას ახდენს, უდიდესმა ფსიქოლოგმა **დიმიტრი უზნაძემ** კარგა ხნის წინათ დაამტკიცა. ცნობილი ფაქტია — ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა საშინელ დეპრესიაში ვარდება მას შემდეგ, რაც შეიტყობს, რომ კიბო აქვს. დეპრესია და სევდა კიდევ უფრო ამძიმებს და ართულებს ავადმყოფის მდგომარეობას, რაც მის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე პირდაპირპროპორციულად აისახება. თუმცა, მეცნიერებაში ცნობილია საწინააღმდეგო ფაქტებიც, როდესაც გამოჯანმრთელების დაუოკებელი წყურვილით ადამიანს სიმსივნეც კი დაუმარცხებია.

წლების წინათ ხელში ჩამივარდა ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი მეცნიერის **ბილ მაკკენზის** მემუარები, სადაც ძალიან საინტერესო ისტორია იყო მოთხრობილი. მაკკენზის, რომელიც ონკოლოგი გახლდათ, 60 წლის ასაკში ფილტვის სიმსივნე დაუდგინდა. ექიმებმა მას, მაქსიმუმ, ერთი წლის სიცოცხლე მისცეს, რის შესახებაც თვითონაც ძალიან კარგად იცოდა. **მაკკენზიმ უარი თქვა ყოველგვარ მკურნალობაზე და გადაწყვიტა, სიცოცხლის დარჩენილი დრო აფრიკაში გაეტარებინა, რაც მისი ბავშვობის აუხდენელი ოცნება იყო.** მაკკენზი ჩავიდა კენიაში, ცნობილ სერენგეთის ნაკრძალში, სადაც დაუმეგობრდა ადგილობრივ ხალხს, რომელთან ერთადაც ნადირობდა, თევზაობდა, დროს ატარებდა და საერთოდ არ ფიქრობდა კიბოზე, რომელიც მას სიკვდილით ემუქრებოდა. ერთი სიტყვით, ამერიკელმა ექიმმა თავისი ტვინი და აზროვნება მიზანმიმართულად გადართო პოზიტივისკენ.

დრო გადიოდა და დოქტორი მაკკენზის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმების ნაცვლად უკეთესდებოდა. ორი წლის შემდეგ ბილ მაკკენზი შეერთებულ შტატებში დაბრუნდა, გამოკვლევის ჩასატარებლად კლინიკაში მივიდა და ყველა სახტად დატოვა — **ორგანიზმში კიბოს არავითარი კერა აღარ არსებობდა!**

ამის მსგავსი ისტორია ბევრია... თუმცა, არსებობს საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როცა ქრონიკული სტრესისა და დაძაბულობის გამო ადამიანებს სიმსივნე განუვითარდათ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომლის თანახმადაც, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და დაავადებების დასამარცხებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის თავის ტვინის გამართულ ფუნქციონირებას. თავის ტვინი უნიკალურია იმ მხრივაც, რომ ადამიანის ორგანიზმში ყველაზე უფრო ცხიმიანი ორგანოა. თავის ტვინის წონა მთელი ჩვენი სხეულის წონის მხოლოდ 2 პროცენტია, მაგრამ ცხოველმოქმედებისთვის ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო ენერგიის 20 პროცენტს იყენებს.

**— რამდენად კავშირშია ერთმანეთთან თავის ტვინის ზომა და ინტელექტი?**

— თავის ტვინის ზომასა და ადამიანის ინტელექტს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. მცდარია ის აზრიც, რომ ტვინის უჯრედების აღდგენა არ ხდება. არსებობს თავის ტვინის გარკვეული უბნები, რომლებსაც რეგენერაციის, ანუ აღდგენის უნარი გააჩნიათ.

**— ყველაზე მეტად რა ანგრევს თავის ტვინს?**

— ალბათ, ყველა იფიქრებს ალკოჰოლზე, რაც თავის ტვინის უჯრედებს ნამდვილად სპობს, მაგრამ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ **თავის ტვინს ყველაზე მეტად მცენარეული ზეთების გარკვეული სახეობები ანგრევს.** საერთოდ, ტერმინი მცენარეული ზეთი პირობითია, რადგან ასეთი ზეთი, როგორც წესი, მცენარისგან კი არა, მისი თესლისგან მზადდება. **მცენარეული ზეთების უმრავლესობა და, მათ შორის, მზესუმზირის, სიმინდის, რაფსისა და ბამბის ზეთები** შეიცავენ დიდი რაოდენობით **ომეგა-6**-ს, რომლებიც თავის ტვინს ანგრევენ! თუ **ომეგა-3** ჯანმრთელობისთვის ფრიად სასარგებლოა და სხვა სიკეთეებთან ერთად ანთების საწინააღმდეგო ეფექტიც გააჩნია, **ომეგა-6** პირიქით, ანთებას იწვევს. მისი ნახევარდაშლის პერიოდი 600 დღეა და ორგანიზმი სათბობის სახით მის მხოლოდ ნაწილს იყენებს, უდიდესი ნაწილი კი რჩება ღვიძლსა და თავის ტვინში. **ომეგა-6** აღწევს თავის ტვინის უჯრედების მემბრანაში და იწვევს მათი მუშაობის დაქვეითებას. გარდა ამისა, **ომეგა-6** ერითროციტებს უკარგავს დრეკადობას და ისინი ველარ გადიან კაპილარებში, რის გამოც სისხლი სქელდება და ბლანტდება. **ეს ყველაფერი თრომბის განვითარების რისკს ქმნის.**

მცენარეულ ზეთებში **ომეგა-6**-თან ერთად, საბედნიეროდ, **ომეგა-3**-იც შედის, რომელსაც სულ სხვა თვისებები და მოქმედების ეფექტი აქვს. პრობლემა ის გახლავთ, რომ ზემოხსენებულ მცენარეულ ზეთებში **ომეგა-3**-სა და **ომეგა-6**-ს შორის თანაფარდობა ერთი სამოცდაათთან არის, ანუ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ერთ წილ **ომეგა-3**-ზე ჯანმრთელობისთვის მავნე სამოცდაათი წილი **ომეგა-6** მოდის. იდეალური იქნებოდა, ეს თანაფარდობა ერთი-ერთზე ყოფილიყო. ე.წ. ჩიპსებში, რომლებსაც მცენარეულ ზეთებზე ამზადებენ, ეს თანაფარდობა სამოცი ერთზეა. თევზეულობა ყველაზე ჯანსაღ საკვებად იმიტომ ითვლება, რომ თევზეულში **ომეგა-3**-სა და **ომეგა-6**-ს შორის თანაფარდობა ერთი-ერთზეა. ძალიან კარგ პროდუქტად ითვლება საქონლის ხორციც, სადაც ეს თანაფარდობა ორი-ერთზეა.



## „ვისაც ჩაი და ყავა უყვარს, აუცილებლად მიიღოს ვიტამინი B1!“

**— ე.ი. თქვენ ამტკიცებთ, რომ მცენარეული ზეთების ხშირი გამოყენება თავის ტვინს აზიანებს, რაც ადამიანის ფსიქიკაზეც აისახება?**

— მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, არნახულად გაიზარდა შაქარსა და მცენარეულ ზეთებზე მომზადებული პიცის, ჩიპსების, კარტოფილი ფრისა და სხვა მსგავსი პროდუქტების მოხმარება. ამის გამო გაზრდილია **ომეგა-6**-ის ორგანიზმში მოხვედრის შანსიც. **მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი ადამიანის ფსიქიკაზე უკვე აისახა და მთელი მსოფლიო შეიშალა!** ჩვენი წინაპრები ამდენ მცენარეულ ზეთს არ იყენებდნენ და უფრო ერბოსა და შინ დამზადებულ კარაქს მოიხმარდნენ. ზეთის სახით ერბოსა და კარაქის ხშირად გამოყენებას, ცხადია, თავისი მინუსები აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ერთშიც და მეორეშიც ორგანიზმისთვის საშიში **ომეგა-6** ნაკლებად არის წარმოდგენილი.

**— მაშინ რა ვქნათ, ვისაც კარაქი და, მით უფრო, ერბო არ უყვარს**

— ასეთი შემთხვევისთვის ღმერთმა შექმნა **ზეითუნის ზეთი,** რომელიც ცოტა ძვირია, მაგრამ, სამაგიეროდ, **ომეგა-3**-ის ნამდვილი საბადოა და **ომეგა-6**-ს უმცირესი რაოდენობით შეიცავს. **სალათს ყოველთვის ზეითუნის ზეთი უნდა მოვასხათ...** საერთოდ, თუ გვინდა, მეხსიერება, კონცენტრაცია და აზროვნება გაგვიუმჯობესდეს და თავის ტვინში აღდგენითი პროცესები წავახალისოთ, კვირაში ორი დღე მაინც მივირთვათ ორაგული, თუნდაც უმცირესი ულუფით — 100-200 გრამის ოდენობით! ორაგული უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს **ომეგა-3**-ს, რომელიც პირდაპირ თავის ტვინს კვებავს. გარდა ამისა, ორაგულში კიდევ არის სხვა სასარგებლო ცხიმებიც, რომლებიც ორგანიზმში ანთებით პროცესებს ებრძვიან.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სიმსივნის გაჩენის დიდი ალბათობა სწორედ იქაა, სადაც ხანგრძლივად მიმდინარე ქრონიკული ანთებითი პროცესებია, ორაგულს თამამად შეიძლება ვუწოდოთ სიმსივნისა და ანთების საწინააღმდეგო საკვები! ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ **ნორვეგია, რომელიც მთელ მსოფლიოში განთქმულია ადგილობრივი, ნორვეგიული ორაგულით, ანუ „სიომგით“, დედამიწაზე ერთ სულ მოსახლეზე სიმსივნური პაციენტების ოდენობით ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა.**

გარდა ამისა, ორაგულის ხორცში შედის ვარდისფერი პიგმენტი **ასტაქსანტინი,** რომელიც ნერვულ უჯრედებს დაზიანებისგან იცავს. ეს კი ძალზე ხშირია შაქრიანი დიაბეტის დროს. ორაგული აუცილებლად უნდა ჩართონ კვების რაციონში მათ, ვინც ქოლესტერინის





**„სწორედ ეს არის დემენციისა და ალცჰაიმერის დაავადების განვითარების ძირითადი მიზეზი, რომელსაც უკვე მესამე ტიპის დიაბეტადაც განიხილავენ!“**

## კვირგვინოსნები

**ნინო სურგულაძე**
*მეცოსოპრანო*



**ყველაზე რთული პროფესიაა, იყო მშობელი.**

„კვირის პალიტრა“

**ჰიუბერტ ვილკინსონი**
*დიზაინერი*



დღეს ყველას შეუძლია, **იყიდოს ყველაფერი, გარდა გემოვნებისა** და არავის სურს, **გადაიხადოს გემოვნებაში ფული.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გაბუნია**
*შოუმენი*



კარგია, **როცა ცოლი წუწუნებს,** სად ხარ, სახლში მოდიო. **ცოლი როცა არ დაიწუწუნებს** და აღარ გეტყვის, სად ხარ და რას აკეთებო, ეგ არის ცუდი.

„სარკე“

**ნინო კურატაშვილი**
*ტელეწამყვანი*



**ტელევიზიამ ისე ჩამითრია,** როგორც კი შემოთავაზებას ვიღებ, უარს ვერ ვამბობ. რაც შეეხება **ჩემს პირველად პროფესიას, ექიმობას,** შინაურებთან ვიყენებ ცოდნას.

„სარკე“

**ლიზა მორი**
*მოცეკვავე*



მე და ჩემი ქმარი **ღამღამობით ცეკვით გამოვიმუშავებდით ფულს.** ისრაელში რით უნდა გვერჩინა თავი? რა თქმა უნდა, **ჩვენი ფეხებით.**

„სარკე“



## „თუ გვინდა, მეხსიერება, კონცენტრაცია და აზროვნება გაგვიუმჯობესდეს, კვირაში ორი დღე მაინც მივირთვათ ორაგული!“

დამწევ სტატინებს ღებულობს. სტატინები, მოგეხსენებათ, ქოლესტერინს დაბლა სწევენ, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქოლესტერინი თავის ტვინისა და ნერვული უჯრედების საშენი მასალაა.

ორაგული ძალზე მდიდარია მაღალი სიმკვრივის მქონე ე.წ. **კარგი ქოლესტერინით.** საბჭოთა პერიოდში თითქმის ყველა ბავშვს აუცილებლადასმევდნენ თევზის ზეთს, ანუ ე.წ. „რიბიი ჟირს“. ეს შემთხვევით არ ხდებოდა, თევზის ზეთი დიდი რაოდენობით **ომეგა-3**-ს შეიცავს, რაც აუმჯობესებს მეხსიერებას, ხასიათსა და ათვისების უნარს. დამეთანხმებით, რომ ყველა ეს ფაქტორი ბავშვის ნორმალური განვითარებისა და კარგი აკადემიური მოსწრებისთვის გადამწყვეტია. **სასარგებლო ცხიმოვანი მჟავებით მდიდარი ორაგული აუცილებლად უნდა მიირთვან დიაბეტიანებმაც, რადგან მასში შემავალი ომეგა-3 ამცირებს ინსულინრეზისტენტობას და აფერხებს ანთებით პროცესებს!**

**— ამბობენ, რომ გლუკოზა და, ზოგადად, შაქარი, თავის ტვინის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის ძალზე სასარგებლოა, რადგან თავის ტვინი გლუკოზით იკვებება.**

— მართალია, თავის ტვინი ენერგიის წყაროდ გლუკოზას იყენებს, მაგრამ ზედმეტი შაქარი და გლუკოზა თავის ტვინისთვისაც დამღუპველია. როცა ნერვული სისტემა შაქარს ჭარბად ღებულობს, ინსულინის დონე მაღლა იწევს, რაც იწვევს ინსულინრეზისტენტობას. ამის შედეგად გლუკოზა თავის ტვინამდე ვერ აღწევს და თავის ტვინის უჯრედები იღუპება. **სწორედ ეს არის დემენციისა და ალცჰაიმერის დაავადების განვითარების ძირითადი მიზეზი, რომელსაც უკვე მესამე ტიპის დიაბეტადაც განიხილავენ.**

ვაფლი, ბლინები, მაკარონი, კექსი, ორცხობილა თავის ტვინისთვის მავნებელია! ჩამოთვლილი მარტივი და რაფინირებული ნახშირწყლები არამარტო სწრაფად გარდაიქმნება შაქრად, არამედ ყველა შეიცავს **გლუტენს,** რომელიც ნაწლავის მიკროფლორის მტერია. რაც გინდათ, უცნაურად მოგეჩვენოთ, კუჭ-ნაწლავს თავის ტვინთან პირდაპირი კავშირი აქვს — **რაც ხდება კუჭ-ნაწლავში, იგივე ხდება ტვინში!** სწორედ აქედან გამომდინარეობს ცნობილი გამოთქმა — **„ყველა გზა კუჭზე გადის!“**

ტვინის გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია ვიტამინი B1, ანუ **თიამინი,** რომელიც განაპირობებს თავის ტვინის უჯრედებისათვის ენერგიის მიწოდებას. თუ ორგანიზმს ვიტამინი B1 აკლია, მაშინ თავის ტვინის უჯრედები, ანუ ნეირონები გლუკოზას ვერ იღებენ და იწყება მეხსიერებისა და კონცენტრაციის დაქვეითება, გაღიზიანება და დეპრესია. **თუ საწოლიდან წამოდგომისას თავბრუ გვეხვევა და დეზორიენტირებული ვართ, ამის მიზეზი შესაძლოა, სწორედ B1-ის დეფიციტი იყოს. ვიტამინი B1 ნაწლავებში გამომუშავდება, ხოლო გლუტამინის შემცველი საკვები — ვაფლი, ბლინი, პური, კექსი, მაკარონი, ორცხობილა ამ პროცესს აფერხებს.**

**— რომელი პროდუქტია ვიტამინ B1-ის წყარო?**

— B1-ის საბადო ისევ და ისევ **ორაგულია.** ვიტამინ B1-ს დიდი რაოდენობით შეიცავს **ღორის ხორციც...**

**— გლუტენის გარდა კიდევ რა ალარიბებს ორგანიზმს ვიტამინ B1-ით?**

— ალკოჰოლი, შაქარი, შავი ჩაი, ყავა, შოკოლადი, ანტიბიოტიკები და სტრესი ვიტამინ B1-ის მტერია. **ვისაც ჩაი და ყავა უყვარს, რომლებიც ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლოა, აუცილებლად მიიღოს ვიტამინი B1!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „ვაფლი, ბლინები, მაკარონი, კექსი და ორცხობილა თავის ტვინისთვის მავნებელია!“









მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

## კვირგვინოსნები

**ლევან ტალახაძე**
*ძალოსანი*



**კვარაცხელია ძალიან კარგი ადამიანია,** მინდა, იცოდეს, რომ ფეხბურთის ყურება მან დამაწყებინა! **ხვიჩა კვარაცხელიას ჯერ არ უთქვამს თავისი სათქმელი.** მას უფრო მეტი შეუძლია და **ეს ბიჭი უფრო მეტს იტყვის.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თამუნა მუსერიძე**
*ჟურნალისტი, [illegible]*



**„ბიბისიმ“ საქართველოში ყველაზე გავლენიან ქალად დამასახელა,** რვა მილიონიდან შერჩეულ ას ადამიანს შორის მოვხვდი. წელს ამ სიაში მოხვდნენ **მიშელ ობამა, ჯორჯ კლუნის მეუღლე ამალ კლუნი** და ასე შემდეგ, მათ შორის მეც.

„თბილისელები“

**სტეფანე მღებრიშვილი**
*მომღერალი*



როდის დაიცავენ ადამიანების უფლებებს და **აკრძალავენ სარეკლამო მესიჯებს?!** სანამ თბილისიდან ბათუმამდე ჩავედი, **5-7 წუთში ერთხელ მოდიოდა საჩუქრებთან შეტყობინებები.** ამ დროს ადამიანს აინტერესებს, იქნებ შვილმა მოგწერა ან ვინმეს რამე ხომ არ უჭირს. **ალბათ, რამდენი ცუდი რამეც მომხდარა ამის გამო.**

„ალია“

**ზურა მანჯავიძე**
*მომღერალი*



**საშინლად გულჩვილი ვარ.** ცოტა პათოლოგიაში გადამდის. **კარგი სიმღერა მიჩუყებს გულს.** მაგალითად, ბავშვების გულიანად ნაცეკვი მთიულურის ყურებისას **შემიძლია, ცხარე ცრემლით ვიტირო.** ეგ კი არა, **სარეცხი ფხვნილის რეკლამაზეც შეიძლება, ვიტირო.**

„თბილისელები“




# შევარდნაძის საიდუმლო

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

შევარდნაძე თავის მემუარებში საკუთარ ოჯახზე თხრობის პრიზმაში ვრცლად აღწერს ბავშვობასა და ყრმობას. ეს არამხოლოდ იმით არის საინტერესო, რომ საქართველოს მრავალწლიანი მმართველის შესახებ ბევრისთვის უცნობ დეტალებს გვაცნობს, არამედ იმითაც, რომ ამ თხრობისას შევარდნაძე გვიმხელს მის დამოკიდებულებას საბჭოთა საქართველოსა და სტალინის დროინდელ საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებზე!

მაგალითად, მემუარისტი ქვეთავს „ჩემი ოჯახი“ ასე იწყებს:

***„დავიბადე 1928 წელს, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებიდან ოთხი წლის შემდეგ. ეს აჯანყება სისხლში ჩაახშეს. დასტა-დასტა, ჯგუფურად ხვრეტდნენ ხალხს. მერე, როცა წამოვიზარდე, ჩვენს ოჯახში, ამ აჯანყებაზეც იყო ხოლმე კამათი და ლაპარაკი, ბევრი შინაური ჯერ კიდევ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იდგა, მაგრამ როცა დაჭერები გახშირდა, დავა-კამათიც ჩურჩულზე გადავიდა. ხალხი დაშინდა, თუმცა, არ გამტყდარა. რა ვიცოდი მაშინ, რომ ეს თემა, ხალხისა და პიროვნების დათრგუნვის თემა, პირადად ჩემს ოჯახს და ჩემი ოჯახის ბედს, ჩემი მეუღლის ბედს დაღს დაასვამდა და განსაზღვრავდა“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 41).*

ამდენად, შევარდნაძემ ბავშვობიდანვე, უახლოესი ადამიანებისგან გაიგო, რას ნიშნავს ბოლშევიკური ტერორი! თანაც, ეს გაიგო საკუთარი მამისა და დედის ძმებისაგან, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოდან რომ იყვნენ გურიაში აქტიურად ჩართული სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, ანუ შემთხვევითი ადამიანები და სეირის მაყურებლები კი არა, აქტიური რევოლუციონერები იყვნენ!

მემუარისტი აღწერს თავის მრავალრიცხოვან ოჯახსაც, რომელშიც იზრდებოდა და რომელმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის უნარ-ჩვევები, მომავალში შევარდნაძის „ერთგვარ საფირმო ნიშნადაც“ რომ გადაიქცა — სრულიად განსხვავებული მსოფლხედვისა და მიდრეკილებების ადამიანებთან კომუნიკაბელურობა:

***„ჩვენს ოჯახში ბევრნი და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინდივიდები ვიყავით — ოთხი ძმა და ერთი და. ვკამათობდით კიდეც, მაგრამ ქვეყანასთან, ოჯახთან, პატიოსნებასთან, სიყვარულთან, შრომასთან და ერთგულებასთან მომართებაში მაინც ერთიანნი ვიყავით. სწორედ ამან გაგვატანინა თავი იმ მართლაცდა ძნელ და რთულ ეპოქაში.***

*მამაჩემს* ***ამბროსი*** *ერქვა, მამამისს —* ***გიორგი.***

*დედაჩემი —* ***სოფიო, გლახუნა პატეიშვილის*** *ქალი გახლდათ, აზნაური.*

***მამაჩემი რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა მამათის საშუალო სკოლაში...“*** *(იქვე, გვ.41).*

როგორც ხედავთ, შევარდნაძე აშკარა სიამაყით, ხაზგასმით აღწერს, რომ დედამისი აზნაური გახლდათ, მამა კი — ინტელიგენციის წარმომადგენელი!

შესაძლოა, ეს იმ ერთგვარი კომპლექსის გასაბათილებლადაც სჭირდება, მის შესახებ ოპონენტებს არცთუ იშვიათად რომ წამოუძახებიათ გესლიანად — სოფლელი ბიჭი იყოო...

შემდეგ შევარდნაძე იმასაც იხსენებს, 9 წლისას უკვე პირადად როგორ შეეხო 37-იანების რეპრესიები:

***„1937 წელს ჩემი სოფლიდან ისევე, როგორც ახლომახლო სოფლებიდან, ადამიანების გაუჩინარება დაიწყო. ქრებოდნენ ყველაზე პატივსაცემი, ყველაზე ავტორიტეტული ადამიანები.*** *ერთ დღეს გაუჩინარდა მამაჩემიც, სოფელში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და პატივსაცემი პიროვნება, რომელმაც იმ დროისთვის მამათში საშუალო სკოლა გახსნა. დედაჩემი გულჩათხრობილი გახდა, კითხვებზე არ გვპასუხობდა.* ***სახლს გარეთ, ჩემ ირგვლივ, გაუცხოების სიცივე ვიგრძენი*** *(სხვათაშორის, ასეთივე გაუცხოების სიცივე ვიგრძენი ჩემი ბოლო გადადგომის შემდეგაც, 2003 წელს).* ***სკოლაში მანამდე ლიდერად მთვლიდნენ, პიონერთა რაზმეულის თავკაცადაც ამირჩიეს, ბიჭები სულ ჩემ გარშემო ტრიალებდნენ, ახლა კი სრულ მარტოობას ვგრძნობდი, არავინ მეკარებოდა, სათამაშოდ აღარ მეძახდნენ. „ხალხის მტრის შვილის“ იარლიყი მომეწება და როცა შევიტყვე, რომ სოფლის პიონერთა ბანაკში არ წამიყვანდნენ, შევძრწუნდი, ეს დიდი დარტყმა იყო ჩემთვის“*** *(იქვე, გვ. 42).*

ალბათ, სწორედ, ეს არის შევარდნაძის ცნობილი ცივსისხლიანობის საიდუმლოს გასაღები: ადვილი წარმოსადგენია, რა გადაიტანა და განიცადა 9 წლის ბავშვმა, რომელმაც გაითავისა, რას ნიშნავს **„ხალხის მტრის შვილობა“,** როცა თანატოლები სათამაშოდაც კი აღარ გეძახიან!

და რადგან შევარდნაძე ბუნებით ნიჭიერი ბავშვი იყო, ალბათ, სწორედ მაშინ გაიაზრა, რომ ამ ჯოჯოხეთში გადასარჩენად ძლიერი და მოხერხებული უნდა ყოფილიყო!

ეს ერთგვარი „ჯუნგლების კანონია“: შენ თუ არ შეჭამ, შენ შეგჭამენ...

როგორც შევარდნაძე წერს, მამამისი გადაურჩა იმ სასტიკ რეპრესიებს, თუმცა კი, ლამის წელიწადი გადახვეწილი იყო:

***„რამდენიმე ხანში მამაჩემი დაბრუნდა. მერე გავიგე, რომ მისი დაპატიმრების ორდერი გამოეწერათ, მაგრამ რეპრესიას მისმა ნამოწაფარმა, შინსახკომის რაიონული ორგანიზაციის თანამშრომელმა გადაარჩინა. მან მამაჩემი გააფრთხილა, რომ დაპატიმრებას უპირებდნენ და ურჩია, შფოთიანი დროის გასვლამდე სადმე მიმალულიყო. მაშინ ბევრნი იქცეოდნენ ასე“*** *(იქვე, გვ. 43).*

აკი, მემუარისტი თავადვე აკეთებს ასეთ „აღიარებით ჩვენებას“:

***„უკვე მაშინ დავიწყე ფიქრი იმ მიზეზებზე, რომლებიც ოჯახებს ხლეჩდა. მთავარ მიზეზად ასახელებდნენ კლასობრივ ბრძოლას, რომლის ნებასა და კანონებს ნათესაობის, ადამიანური სიახლოვის, ახლობლებს შორის ადამიანურ ურთიერთობებს კანონებზე მაღლა აყენებდნენ. იმ ახლობელ ადამიანებს ვუყვარდი, სიკეთეს მინერგავდნენ და სიკეთეს იჩენდნენ ჩემ მიმართ, ზრუნავდნენ ჩემზე და შეუძლებელი იყო იმ აზრთან შეგუება, რომ ისინი „მტრები“ იყვნენ. მე მწამდა ამ ხალხის სიმართლე, მაგრამ დროს თავისი, სხვა, სასტიკი არგუმენტები ჰქონდა. მოზარდისთვის ძალიან ძნელი იყო მათი უარყოფა“*** *(იქვე, გვ. 43).*

დიახ, შევარდნაძე ღიად ამბობს, რომ მოზარდი ედუარდისთვის ძალიან ძნელი იყო იმ ეპოქის სასტიკი კანონების უარყოფა...

ანუ ამ სასტიკი კანონებით თუ არ იცხოვრებდი, „შეიჭმებოდი“!

შემდეგ შევარდნაძე იხსენებს დიდ სამამულო ომს, როდესაც ომის პირველსავე დღეებში, მისი უფროსი ძმა **აკაკი** ბრესტთან დაიღუპა; როდესაც თვითონ, სოფლის ფოსტალიონის მოხალისე დამხმარედ — მისივე სიტყვებით, „სიკვდილის მაცნედ“ მუშაობდა:

***„ომმა მეც ისევე გამომაწრთო, როგორც მილიონობით ჩემი თანატოლი. იგი მიყალიბებდა მრწამსს და მისახავდა მიზნებს. ფაშიზმთან ომი ჩემს პირად საქმედ და ბოროტებასთან ბრძოლად იქცა. ფაშიზმი კომუნიზმს ებრძოდა, კომუნიზმი კი ჩემი რელიგია იყო. ასე გვზრდიდნენ. ამ ბრძოლაში გამარჯვება კომუნიზმის გამარჯვება იყო, მაშასადამე, ეს ჩემი გამარჯვებაც უნდა ყოფილიყო“*** *(იქვე, გვ. 44).*

შეგახსენებთ, მემუარისტი ამას თავისი სიყრმის შთაბეჭდილებიდან გვიმხელს — **კომუნიზმი ჩემი რელიგია იყოო...**

თუმცა, როდესაც დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებას უკვე ჭარმაგი მემუარისტის რანგში აანალიზებს, სწორედ იმ სიყრმისეული შთაბეჭდილებებითვე ხელმძღვანელობს:

***„საბჭოთა კავშირი ომიდან დიდ სახელმწიფოდ, ფაშიზმისგან მსოფლიოს ერთ-ერთ მხსნელად გამოვიდა. მაშინ გამარჯვება იოსებ სტალინის სახელს, პარტიის ნებას და ძალას გაუიგივდა. შემდეგ, როდესაც სისტემის კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებდნენ რეპრესიებზე და ძალადობაზე, აბსოლუტურად გამორიცხავდნენ იმ საყოველთაო რწმენას, რომელიც ხალხს შენებისთვის აღანთებდა, შემოსეული მტრის მოგერიებისა და დანგრეული ქვეყნის აღდგენისთვის რაზმავდა. არადა, ეს ხომ ნამდვილად იყო, ხომ მართლაც წირავდნენ თავს მაგიური შეძახილით — „სამშობლოსათვის! სტალინისათვის!“ და ყოველივე ამას სერიოზული გაანალიზება სჭირდება, მით უფრო, რომ ასეთი რამ მხოლოდ საბჭოთა კავშირს არ სჭირდა“*** *(იქვე, გვ. 44).*

აი, ასე: შევარდნაძე სიცოცხლის ბოლოს, მემუარების წერის დროსაც კი ადასტურებს, რომ კომუნიზმი მისი რელიგიაა!

ამიტომაც არის შევარდნაძე საინტერესოდ წინააღმდეგობრივი — თან დიდი დემოკრატი, თან ორთოდოქსი კომუნისტი!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

## ალბათ, სწორედ ეს არის შევარდნაძის ცნობილი ცივსისხლიანობის საიდუმლოს გასაღები...




ლეონიდ ბრეჟნევი და ედუარდ შევარდნაძე

## ედუარდ შევარდნაძე: კომუნიზმი ჩემი რელიგია იყო!

# ᲛᲝᲓᲘ, ᲕᲜᲐᲮᲝᲗ ᲯᲕᲐᲠᲘ, ᲡᲐᲓ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲯᲕᲐᲠᲘ?!

*ჩვენს ერთგულ მკითხველს ეხსომება ამ ზაფხულს „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული წერილი სათაურით — „ᲕᲐᲜ-ᲓᲐᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲜᲨᲘ“, სადაც 2023 წლის 5 ივლისს, ირაკლი ღარიბაშვილის სტუმრობის შემდეგ, ქალაქის ცენტრში აღმართული 21-მეტრიანი რკინის ჯვრის დამხობისა და მოშთობის ამბავი აღვწერეთ.*



წმინდა ჯვარი რაიონის ცენტრიდან ახვლედიანების გორასკენ მიმავალი გზის ჩიხში, დანგრეული და ფარღალალა სახლის გვერდით გახლავთ გადატანილი...

თავიდანვე მინდა, ჩემს დედულეთს — სოფელ **შუა გორას,** რომელთანაც ბავშვობის საუკეთესო წლები მაკავშირებს, თბილისიდან მონატრებული სალამი და დიდი სიყვარული გავუგზავნო, თან ვუთხრა, რომ **ის სიმყრალე და სიბილწე, რაშიც ვანის გალოთებული გამგებელი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ დიდი ხანია, გორავს და ამის თაობაზე წერილის სათაურში ნართაულად გახლავთ მინიშნებული, სოფელ ᲨᲣᲐ ᲒᲝᲠᲐᲡᲗᲐᲜ არაფერ კავშირშია.**

რაც შეეხება წინამდებარე წერილის მიზანს, თუ ზაფხულში მხოლოდ ვარაუდს გამოვთქვამდით, რომ ქალაქ ვანის ცენტრში დამხობილი ჯვრის ნაცვლად სააკაშვილისა და ევროკავშირის დროშების აღმართვას აპირებდნენ, **დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ წმინდა ჯვარი რაიონის ცენტრიდან ახვლედიანების გორასკენ მიმავალი გზის ჩიხში, დანგრეული და ფარღალალა სახლის გვერდით გახლავთ გადატანილი, ხოლო რაიონის მთავარ მოედანზე ნამდვილად ფრიალებს სააკაშვილისა და ევროკავშირის დროშები.**

წინა წერილში ისიც ვთქვით, რომ **ვანდალთა ვანელი ლიდერი გოგორიშვილი** და მისი ჩაფრები ქალაქის ცენტრში უზარმაზარი ჯვრის მოშთობას ასე ასაბუთებდნენ — **აქაოდა, „ახვლედიანების გორისკენ მიმავალ უცხოელ ტურისტებს, სადაც მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს და განახლებული მუზეუმია, ამოდენა ჯვარი აფრთხობთ, აშინებთ და ამიტომ უკანასკნელ ხანს, როცა პრემიერ-მინისტრი გვსტუმრობდა, დავალება მოგვცა — ჯვარი აიღეთ და მის ნაცვლად ევროკავშირისა და სააკაშვილის დროშები ააფრიალეთო!“**

ჩვენ მაშინ ისიც აღვნიშნეთ, რომ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ამას არ



ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲔᲑᲘ

ვანში ვანდალებმა წმინდა ჯვარი დაამხეს და მის ნაცვლად ევროკავშირისა და სააკაშვილის პარტიული დროშების აღმართვას აპირებენ!

„ა-დ“, 2023 წლის №31

ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

მიხედეთ ვანდალების მიერ იავარქმნილ ვანის რაიონს და მოაშორეთ მმართველობიდან ნაცსექტანტები, რომლებიც „ქართული ოცნების“ სახელს ეფარებიან!

ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ

იტყოდა და ეს ყველაფერი ვანის გამგეობაში მოკალათებული იმ ნაცსექტანტების საბოტაჟსა და დივერსიას ჰგავდა, რომლებმაც ყველა დროსა და ეპოქაში ხალხისა და ქვეყნის ინტერესები თავიანთ ბინძურ უკანალს ანაცვალეს!

არც შევმცდარვართ — **დანამდვილებით ვიცით, რომ ჯვრის დამხობის შემდეგ ვირთხებით სავსე კასრში — ვანის გამგეობაში დიდი დაპირისპირება და შფოთია.** ისიც ფაქტია, რომ 2023 წლის 5 ივლისიდან, რაც ეს შემზარავი საქციელი ჩაიდინეს და ქალაქის ცენტრში ჯვარი დაამხეს, რაიონის მოსახლეობაში ხელისუფლებისა და მმართველი პარტიისადმი ნდობა, ფაქტობრივად, განულებულია.

თუ 455 წლის 2 ივნისს კართაგენიდან გემებით წამოსულმა **ვანდალთა** გერმანული ტომის ბელადმა ᲒᲔᲘᲖᲔᲠᲘᲮᲛᲐ რომი უბრძოლველად დაიკავა და მაშინდელი მსოფლიოს დედაქალაქი მთელი ორი კვირის განმავლობაში პირწმინდად გაძარცვა, ამ ამბიდან 1578 წლის შემდეგ **გეიზერიხის სულიერმა შთამომავალმა, ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ,** ნაკლები ბოროტება როდი ჩაიდინა. კაცმა, რომელიც თავისი ყოფილი მოადგილის ᲑᲝᲜᲔᲠᲘᲔ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ თანხმობის გარეშე ტუალეტში ვერ შედიოდა, უძველესი კოლხეთის რელიგიურ ცენტრში — სურიონში, ჯვარი დაამხო და მერე ნაწილ-ნაწილ დაჭრა.

დიახ, სწორედ ასე მოხდა, პატივცემულო მკითხველო!

**როცა „ასავალ-დასავალში“ განგაში ავტეხეთ და შესაბამისი ფოტოსურათებიც გამოვაქვეყნეთ — არიქა, ქალაქის ცენტრიდან მოგლეჯილი ჯვარი ძველი ფოსტის შენობის ეზოში უპატრონოდ გდია და ძროხები აშარდავენო, ეშმაკთან წილნაყარმა და ბიუჯეტიდან უხვად „დაფუნანსებულმა“ გამგებელმა უმალ ნაკურთხი ჯვრის დაჭრის ოპერაცია დაგეგმა და „სვარშჩიკები“ იხმო.** მათ ჯვარი დაჭრეს, თავი და გვერდები მოკვეთეს და ასე დამცრობილი მალვით აიტანეს გადაკარგულში, ვიღაცის მიგდებული სახლის გვერდით. არადა, ეს ის 21-მეტრიანი საქართველოში გამორჩეული სიდიდის ჯვარია, რომელიც ჯერ კიდევ 2002 წელს ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორის ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲮᲐᲘᲫᲘᲡ მიერ მართლმადიდებლური წესით დაპროექტდა.

**სამაგიეროდ, ვანის ცენტრში უკვე ამაყად ფრიალებს სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმისა და სოდომიაში ჩავარდნილი ევროკავშირის დროშები.**

წინადადება შემოგვაქვს, ვიდრე ვანში ნაცების ბანდა ბოგინობს, ვიდრე ქალაქის ცენტრში წმინდა ჯვარი არ დაბრუნებულა და ვანელი ვანდალების ადგილობრივ ბელადს ᲗᲐᲕᲗᲮᲚᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ ბოდიში არ მოუხდია, **ვანს** სახელი გადაერქვას და ეწოდოს **„ვაი“!**

გვაქვს ალტერნატიული ვარიანტიც, სანამ ქვეყნის კენწეროზე ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და მისი მოგვარის, არჩევნების ცნობილი გამყალბებლისა და პოლიტიკური შულერის ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲒᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ საწმერთულები ფრიალებს, ვანს ძველისძველი **სურიონის** ნაცვლად დროებით **„სირიონი“**-ც შეიძლება დაერქვას.

მოკლედ, **გოგორიშვილის მსგავსი ვანდალების ხელში ვანის ცენტრიდან ჯვარს გუდანაბადი აუკრეს.**

ჯვრის მსგავსად, წასვლისა და გაქრობის პირასაა **ქართული ჯარიც** და ეს მაშინ, როცა ჩვენს გარშემო ყველა იარაღს ისხამს და ხმალს ლესავს.

წასულია ჩიჩხიტურიც და გარეჯიც, რომლებიც ქართულ-აზერბაიჯანულ „მეგობრობას“, „სტრატეგიულ კავშირს“ თუ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას მიერ „სოკარში“ ნაყიდ წილებს ეწირება!

**სანამ ხალხი ჯავრს იყრიდეს და გამგეობიდან გამოგათრევდეთ, ქალაქის ცენტრში ჯვარი დააბრუნეთ, მუხლებზე დაეცით და ღმერთსა და საზოგადოებას პატიება სთხოვეთ!**



## ᲠᲐᲨᲘ ᲒᲝᲠᲐᲕᲡ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ?

*ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ*

***ერთი კვირის წინათ „ფეისბუქს“ ქარიშხალივით გადაუარა საზოგადოების ერთი ნაწილის აღშფოთებულმა კომენტარებმა, რაც სოციალურ ქსელში ატვირთულმა ერთმა ვიდეომ გამოიწვია. სიუჟეტი არაორდინარულია: ახალგაზრდა სტომატოლოგი ზიზი ჭელიძე ყვავილების გამყიდველ ბიჭუნას 500 ლარს ჩუქნის! აღშფოთებული მავანი კი არ იშურებს კრიტიკულ კომენტარებს —*** *სიკეთის კეთება თუ გინდა, უჩუმრად, ვიდეოს გადაღების გარეშე უნდა აკეთო, თანაც ბიჭუნას სახე ვიდეოში რომ გამოაჩინე, ახლა თანატოლები დაცინვით აიკლებენო...* ***მწარე კომენტარი არც ყვავილების გამყიდველის დედამ დააკლო, თუმცა, მერე მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა... როგორია ეკლესიის პოზიცია, ეთვლება თუ არა თავისი საქციელი სიკეთეში ქალბატონს, რომელმაც ბავშვის დასაჩუქრების კადრები გაასაჯაროვა? —*** *„სოციალურ ქსელში ატვირთული ვიდეო რამდენჯერმე ყურადღებით ვნახე, ბავშვიც და ქალიც, თავის ემოციებში გულწრფელები არიან!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი წმინდა სამების ლავრაში მოღვაწე ბერმა იერემია ლომიძემ:***






*ბერი იერემია (ლომიძე):*

# საზოგადოება განა რამდენ მდიდარ ადამიანს იცნობს, რომელსაც მოწყალების სახით 500 ლარის დაუნანებლად გაცემა შეუძლია?!

***სტომატოლოგი ზიზი ჭელიძე სოციალურ ქსელებში მწვავე კომენტარების პასუხად წერდა:***

*— მთელი დღეა, შინაგანად მაკანკალებს. ამდენი ემოცია ჩემთვის ძალიან რთულია, დამიჯერეთ, კომენტარებსაც ვერ ვკითხულობ, მაგრამ იმდენი მწერს პირადში და იმდენი აზიარებს, რომ რთულია, გვერდი აუარო ამ ამბავს.*

*ჩემი სიმართლის მტკიცებას არ ვაპირებ, რადგან, ვინც საჭიროა და ვინც ჩემთვის რამეს წარმოადგენს, ყველამ იცის, როგორი ხასიათი მაქვს. არაფერს ვნანობ და ვაპირებ, ამ ბავშვს მივაკითხო და ერთად ჩავწერთ ძალიან კარგ ვიდეოს, რასაც ვერავინ გააპროტესტებს.*

**ლალი ბერიძნაშვილი,** ***ყვავილების გამყიდველი ბიჭუნას დედა:***

*— გიორგის ვინც იცნობს, იცის, როგორი ცელქიც არის, ამავდროულად ყოჩაღი, მიზანდასახული და მშრომელი, არა იმიტომ, რომ ჩემი შვილია, უბრალოდ ასეა. წავიდა და ყვავილები გაყიდა, პატიოსანი შრომით ფულის შეგროვებას ცდილობდა. მის საბედნიეროდ, იმ მომენტში ზიზისნაირი ადამიანი გამოჩნდა, როგორც ვიდეოში ნახეთ, ასე გაახარა ჩემი შვილი. როგორც დედა ვაღიარებ, რომ ამ ვიდეოს ნახვის შემდეგ გავბრაზდი — გასაჯაროვება რა საჭირო იყომეთქი, ალბათ, საზოგადოების რეაქცია მაშინებდა — ხალხი რას იფიქრებს, შვილი გაუშვა და ყვავილებს აყიდინებსო...*

*არ ვიცი, რით დავიმსახურეთ ასეთი სიკეთე, მაგრამ ფაქტია — ადამიანი ამას უანგაროდ აკეთებს. ღმერთმა სიკეთე, ბედნიერება და სილაღე არ მოაკლოს თქვენს ოჯახს, ქალბატონო ზიზი!*

**ბერი იერემია ლომიძე:** — ხშირად შევხვედრივარ სოციალურ ქსელებში ატვირთულ ვიდეოებს, სადაც, ერთი შეხედვით, „კეთილი ჟესტია“ ასახული. ვიდეოების უმრავლესობა, რა თქმა უნდა, სცენარით არის გადაღებული, წინასწარ როლისთვის შემზადებული არტისტების მონაწილეობით. ერთი შეხედვით, ამ ვიდეოების შინაარსი მნახველს სიკეთის კეთებაზე დააფიქრებს, მაგრამ, მეორე მხრივ, სიუჟეტები თავიდან ბოლომდე გამოგონილია. **ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც გამიზნულად დგამენ სცენებს, წინასწარ შეარჩევენ ხოლმე კანდიდატს, რათა საკუთარი თავი მოწყალების გამღებად მოაჩვენონ მიამიტ საზოგადოებას.** არც ისეთი ქმედება ჯდება სიკეთის ფარგლებში, როცა კონკრეტული ადამიანი მოწყალებას სხვის დასანახად გაიღებს. ასეთ ადამიანებს ზეცაში ჯილდო არ ელოდებათ, ვინაიდან მათი მოწყალების საფუძველი ანგარებითი მოტივია.

**— მოცემულ შემთხვევაში, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ბავშვიც და ახალგაზრდა ქალიც, რომელიც მოწყალების სახით ბიჭუნას დიდ თანხას ჩუქნის — ემოციებში სრულიად გულწრფელები ჩანან. გული ამიჩუყეს — შეუძლებელია, ასეთი ემოციები გაითამაშო. ზუსტად ვიცი — ყვავილების გამყიდველი ბიჭუნა ცხოვრებაში ძალიან ბევრ წარმატებას დამსახურებულად მიაღწევს, რადგან იცის პატიოსანი შრომის ფასი და ბუნებით იმდენად სუფთა და უშუალოა, რომ საჩუქრით გამოწვეული დადებითი ემოცია ამ ვიდეოს საშუალებით ასიათასობით მნახველს გადასცა. რაც შეეხება ახალგაზრდა ქალბატონს **ზიზი ჭელიძეს** — თავის მხრივ გულწრფელი ემოციების წარმოჩენით ნამდვილად მოახერხა, სხვებშიც აღეძრა უანგარო სიკეთის ქმნის სურვილი. **„ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“** — ღაღადებს წმინდა წერილი.

**— მაგრამ წმინდა წერილი მიგვითითებს, რომ სიკეთე დაფარულად უნდა კეთდებოდეს...**

— დიახ, სახარება გვეუბნება: *„ერიდეთ სიმართლის კეთებას ადამიანთა თვალწინ, მათ დასანახავად, თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს თქვენი ზეციერი მამისაგან. ჰოდა, როცა მოწყალებას გასცემ, ნუ გაახმაურებ შენ წინაშე, როგორც თვალთმაქცნი აკეთებენ სინაგოგებსა და ქუჩებში, რათა ხალხმა აქოს ისინი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური. შენ კი, როცა მოწყალებას გასცემ, შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი მარჯვენა, რათა შენი მოწყალება დაფარულში იყოს და მამაშენი, რომელიც ხედავს დაფარულში, მოგიზღავს შენ ცხადად...“* აქ „მარჯვენაში“ იგულისხმება სიკეთე, ხოლო „მარცხენაში“ — ის ძალა, რომელიც სიკეთის მკეთებელს „ქვას ესვრის“. არსი მდგომარეობს იმაში, რომ კეთილმა საქმემ თავის მიზანს უნდა მიაღწიოს.

**სიკეთეში არ ითვლება ქმედება, რომელიც ამქვეყნიური, მატერიალური საზღაურის ან სხვა მერკანტილური მიზნით კეთდება.** ადამიანმა სიკეთის სანაცვლოდ ამქვეყნიური საზღაური თუ მიიღო, იმქვეყნიურ საზღაურს აღარ უნდა ელოდოს! **სწორედ ამიტომ ქრისტე ურჩევს ადამიანებს, კეთილი საქმე გაუხმაურებლად, დაფარულში აკეთონ, რათა საზოგადოებამ სიკეთის მკეთებელი კი არა, თავად სიკეთე იხილოს.** მაგრამ ზოგჯერ კეთილ საქმეს გახმაურება სწორედაც რომ სჭირდება, რათა საზოგადოებისთვის მისაბაძ მაგალითად გადაიქცეს.

თუ გახმაურება გულწრფელი თავმდაბლობით ხდება, თავის მხრივ, ისიც კეთილი ქმედებაა. **სულ სხვა საქმეა, როდესაც ადამიანი სიკეთეს ფარისევლურად, ანგარებით**

## „რად უნდა ღიზიანდებოდეს ვინმე, როცა ამდენი ადამიანი მადლიერი და გახარებულია?!“

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**კეზერაშვილ-მერაბიშვილი** შეადგენს **ნაციონალების საარჩევნო სიას.** ახლა ამაზეა ბრძოლა!

„ახალი თაობა“

**ბაჩო დოლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**სააკაშვილს** თავისი თვალით რომ ენახა, **ნაციონალებში რა მდგომარეობაა,** ახალ პარტიას შექმნიდა.

„ახალი თაობა“

**გიორგი არველაძე**
*სააკაშვილის დროინდელი ხელისუფლების ეკონომიკის მინისტრი*



**არავითარი არჩევნები, მხოლოდ და მხოლოდ რევოლუცია!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



**სრული ბარდაგია, რაც ნაციონალური მოძრაობის მხარეს ხდება!**

„რეზონანსი“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობაში **თვითგანადგურების ძალიან აქტიურ კამპანიას ეწევიან,** რაშიც არ შემიძლია, წარმატება არ ვუსურვო.

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ზურაბიშვილმა** შეიძლება ამ **„არა და არასდროს“** ფრაზას არ გადააბიჯოს, მაგრამ გამონაკლისის სახით **სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს.**

„რეზონანსი“




მაგრამ მოწყალების უხვად გაცემაზე ზეცაში სხვაგვარი საფასურია განსაზღვრული. შესაძლოა, ბიჭუნას კრიტიკოსთა დიდ ნაწილს თავად არასოდეს გაუღია უხვი მოწყალება და ამის გამოა გაღიზიანებული, რადგან ეს სხვამ შეძლო. როცა უხვად გაცემაზე ვსაუბრობ, რა თქმა უნდა, ადამიანის შესაძლებლობებსაც ვგულისხმობ. სახარებაშიც ხომ მოთხრობილია ქვრივ ქალზე, რომელმაც ძალიან მცირე თანხა, 2 ლეპტა გასცა მდიდრებისგან განსხვავებით, მაგრამ ეს თანხა მთელი მისი შემოსავალი იყო! ისიც გავითვალისწინოთ, რომ ერთი მხარეა, როცა ადამიანი თუნდაც უჩუმრად აძლევს მათხოვარს უმნიშვნელო თანხას, 20 თეთრს... ამით ის საკუთარ თავს იმშვიდებს, რომ უპოვარს გვერდი არ აუარა! სხვა კი თან უანგაროდ და სიყვარულით გასცემს მოწყალებას, თან — უხვად გასცემს, იმგვარად, რომ ადრესატს საშუალება ეძლევა, სწორედ ამ მოწყალებაზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანი პრობლემები გადაჭრას, რაც მასში მადლიერების შეგრძნების მოჭარბებას და, თავის მხრივ, უფალთან მიახლოებას განაპირობებს!

**არ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მოწყალების გამცემი ქალბატონი ზიზი ჭელიძე მდიდარია. თუნდაც ასე იყოს, საზოგადოება განა რამდენ მდიდარ ადამიანს იცნობს, რომელსაც მოწყალების სახით 500 ლარის დაუნანებლად გაცემა შეუძლია?!** მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ეს ქალბატონიც ბედნიერია, მოწყალების ადრესატიც და ვიდეოს მნახველი ათეულათასობით ადამიანიც, რომლებმაც გულწრფელი დადებითი ემოციები და სიკეთის მაგალითი მიიღეს. **რად უნდა ღიზიანდებოდეს ვინმე, როცა ამდენი ადამიანი მადლიერი და გახარებულია?!**

**აქეთებს, თუნდაც, ხმის სანაცვლოდ ამომრჩეველს პროდუქტს ურიგებს.** ამ საქციელის გამო შეიძლება, ამქვეყნად კიდეც იხეიროს, მაგრამ ზეცაში უეჭველი სასჯელი მოელის!

სხვათაშორის, ვიდეოში ქალბატონის სახეც არ იკითხება ნორმალურად, რაც გამორიცხავს ვარაუდს, რომ მან სიკეთის დემონსტრაციით თავი გაიპიარა. მკვეთრად ჩანს, რომ მოწყალებას სრულიად უანგაროდ გასცემს, რასაც მისი და ბიჭუნას ხალასი ემოციები ადასტურებს. თანაც, ვიდეოს თავად ქალბატონი კი არა, მისი თანამგზავრი იღებს. მართლაც შთამბეჭდავი სიუჟეტი გამოუვიდა. დარწმუნებული ვარ, ამ ქალბატონის და ბიჭუნას მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება.

**— იმ ადამიანებზე რას იტყვით, ვინც ქალბატონის საქციელს განიკითხავენ?**

— კარგი იქნებოდა, თუ ვიდეო იმგვარად დამონტაჟდებოდა, ბიჭუნას ვინაობა ამოუცნობი ყოფილიყო. პრეტენზიები, ძირითადად, ამ მიმართულებისაა, თუმცა, არაფერია ცუდი იმაში, რომ გამრჯე ყმაწვილი ყვავილებს ყიდის. პირიქით, ჩანს, რომ პატიოსანი შრომით სარჩოს გამომუშავებას ეჩვევა და ამიტომაც არაფერი აქვს დასაცინი. არადა, ზოგი კომენტარი მართლაც მიუღებელია, რადგან ავტორები ახალგაზრდა ქალბატონს გაღებული მოწყალების გამო ტალახს ესვრიან. მეტ-ნაკლებად მოწყალებას თითქმის ყველა გასცემს,




 იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80




თარაზულად: 1. თანამდებობის პირთა მოსყიდვა, ქრთამი; 6. კეთილი საქმე; 9. ბლაგვი კუთხის ფორმის საველე სიმაგრე (ძვ.); 10. სამხედრო ნაწილთან არსებული პატარა საავადმყოფო; 11. ხარისხი; 12. უსულო საგანი, ჩვეულებრივ ადამიანის ხელით დამზადებული; 13. იტალიის ავიაკომპანია; 17. წვრილი, უკურკო ქიშმიში; 18. მოწითალო ფენა რკინის ზედაპირზე, წარმოშობილი ჟანგვის შედეგად; 19. ყალთაბანდი; 20. სამხრეთ ამერიკელი ინდიელების ქსოვილის ოთხკუთხა ნაჭრის წამოსასხამი; 21. შესწორება ამერიკის კონსტიტუციაში; 23. რისამე მოგონება ვისიმე მოტყუების მიზნით; 27. პ. კორნელის დრამა; 29. სამი და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 30. ხილის საკონდიტრო ნაწარმი; 31. ჩინეთის იმპერატორთა დინასტია; 32. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი; 33. სპირტიანი სასმელი, რომელსაც მადის მოსაყვანად სვამენ; 38. გერმანელი მწერალი... ფოიხტვანგერი; 40. ჯუჯა ცხენი; 42. მეცნიერება, სწავლობს რაოდენობრივ ცვლილებებს ადამიანთა საზოგადოებაში; 43. ნაპოლეონის პირადი მხატვარი; 44. საქონლის გასარეკი ჯოხი; 45. მუსიკის დიდი სიყვარული; 46. კიმონოს სარტყელი.

შვეულად: 1. ლაბორატორიული ჭურჭელი; 2. ჯარის, ლაშქრის ნაწილი; 3. ფანჯრის საფარი ქსოვილი; 4. კეთილშობილი ლითონების მილების მეტალურგიული პროცესი; 5. კარადა სასადილო ჭურჭლისათვის; 6. მდინარე აშშ-ში; 7. დერბენდის ძვ. სახელი; 8. ვისიმე ან რისამე ზუსტად მიმბაძველი; 14. ვერტიკალურად მოძრავი მანქანა მრავალსართულიან შენობებში; 15. ქალაქი ესტონეთში; 16. ქალაქი რუსეთში; 21. შვილიშვილი (კუთხურად); 22. ზომიერად ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი მუსიკაში; 23. ბრაზილიური ცეკვა; 24. წერტილ-ტირეების ანბანი ამერიკელი გამომგონებლის სახელის მიხედვით; 25. ქალაქი ბელგიაში; 26. ელვარება, ციმციმი; 27. ტირილის „ამხანაგი"; 28. ავსტრალიური ველური ძაღლი; 34. რუსეთის იმპერატორი; 35. იგივეა, რაც რეტროსპექტივა; 36. ჯ. პუჩინის ოპერა; 37. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 39. ინერტული გაზი; 40. უარის თქმა ბანქოს თამაშისას; 41. ხალიჩა; 43. მიწასთან დაკავშირებული რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი.

## ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კორუფცია; 6. მადლი; 9. ფლეში; 10. ლაზარეთი; 11. სორტი; 12. ნივთი; 13. ალიტალია; 17. საბზა; 18. ჟანგი; 19. აფერისტი; 20. პონჩო; 21. ბილი; 23. სიმულაცია; 27. სიდი; 29. დერბი; 30. მარმელადი; 31. ცინი; 32. შველი; 33. აპერიტივი; 38. ლიონ; 40. პონი; 42. სტატისტიკა; 43. გრო; 44. სახრე; 45. მელომანია; 46. ობი.

შვეულად: 1. კოლბა; 2. რაზმი; 3. ფარდა; 4. აფინაჟი; 5. სერვანტი; 6. მისისიპი; 7. დარუბანდი; 8. იმიტატორი; 14. ლიფტი; 15. ტარტუ; 16. ლისვა; 21. ბადიში; 22. ლარგეტო; 23. სამბა; 24. მორზე; 25. ლიეჟი; 26. ციალი; 27. სიცილი; 28. დინგო; 34. პეტრე; 35. რეტრო; 36. ტოსკა; 37. ვოიტი; 39. ნეონი; 40. პას; 41. ნოხი; 43. გეო.



**სოციალურ ქსელებში ატეხილი აჟიოტაჟის კვალდაკვალ, ზიზი ჭელიძე ყვავილების გამყიდველ ბიჭუნას სახლში ესტუმრა**

# ბერი იერემიას ვარაუდი გამართლდა, ბიჭუნას და სტომატოლოგ ზიზი ჭელიძის მეგობრობა გრძელდება!

P.S.

*ესაუბრა* ***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი **მიხეილ სააკაშვილის** ამომრჩეველია. **თუ სააკაშვილს პრემიერობის კანდიდატად წარადგენენ,** ეს ამომრჩეველი არ მოაკლდებათ და **მიიღებენ 20 პროცენტს.**

„ახალი თაობა"

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ხაბეიშვილს თვითონაც არ სჯერა, რომ პარტიის თავმჯდომარეა.**

„ახალი თაობა"

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა **დიდი სირთულეების წინაშე დგას,** მგონია, პარტიაში აღარანაირი რესურსი აღარ დარჩა, რომ **უფსკრულისკენ მიმავალ გზაზე** ეს ვარდნა ვინმემ დაამუხრუჭოს. „პირველი არხი"

**მიხეილ დაუშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის" წევრი*



**ნაციონალური მოძრაობის პრობლემა არ მაინტერესებს,** თავში ქვა უხლიათ, უბრალოდ, **დღეს ეს პარტია „ქართული ოცნების" საუკეთესო პარტნიორია** და მათ ნუ ეხმარებიან.

„პირველი არხი"

**პაატა მანჯგალაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ნაციონალური მოძრაობის **მანიფესტიც და კონფერენციაც,** საბოლოო ჯამში, ემსახურებოდა არა ერთიანობას, არამედ **პარტიიდან ადამიანების გაგდებას.**

„პირველი არხი"

**მურთაზ ზოდელავა**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ხაბეიშვილმა** პირდაპირ ეთერში რაც გააკეთა, **მაგას ჭკვია საჯაროდ კიკუს პოზაში ჩადგომა,** თავმჯდომარედ კი არა, ნაცნობადაც ვერ ვიგუებ.

„პირველი არხი"



# მიხეილ ცაგარელი:

# ასტროლოგია და ლითონები

*— როდის და ვის მიერ არის შემოთავაზებული რეცეპტად წოდებული პირველი კლასიკური ქიმიური რეაქციის ჩანაწერი, რომელიც კაცობრიობას მოეპოვება? მზის გარშემო პლანეტა მერკურის მოძრაობის თავისებურება, რომელიც მისი შესაბამისი ლითონის ვერცხლისწყლის თავისებურებაცაა, როგორ ახსნა მე-20 საუკუნეში აინშტაინის „ალბათობის თეორიამ“ და რა რჩება დღემდე გამოცანად? რა კავშირი არსებობს პლანეტა ვენერას და კუნძულ კვიპროსს შორის, რომელიც ანტიკურ ხანაში სპილენძის მოპოვების ძირითად წყაროს წარმოადგენდა? რაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ქალის სისხლში სპილენძის შემცველობა 20 პროცენტით მეტია, ვიდრე მამაკაცის სისხლში ანდა ის, რომ ორსულობის პერიოდში მისი რაოდენობა ორმაგდება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი ციური სხეულებისა და ლითონების საერთო თვისებებისა და შესაბამისობის შესახებ. ვერცხლისწყლისა და ყველაზე სწრაფი პლანეტის, გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველის მერკურის ურთიერთკავშირის შესახებ გვესაუბრებოდით.**

— ინდოეთში ქიმიას ისევე, როგორც ალქიმიას **„რასაიანას“** უწოდებენ, რაც **„ვერცხლისწყლის გზას“** ნიშნავს. დასავლეთში უძველესი ალქიმიური ტექსტები ქრისტეშობიდან პირველი საუკუნით თარიღდება და ამავე პერიოდისაა ვერცხლისწყლის აღმოჩენასთან დაკავშირებული პირველი წყაროებიც. რომაელი მეცნიერი **პლინიუსი** ასეთ რეცეპტს გვთავაზობდა: თუ **სინგურის** (ვერცხლისწყლის სულფიდი) **წითელ მადანს** დავადნობთ, გამოიყოფა ლითონის მთრთოლავი ბურთულები, ხოლო მათი შემდგომი გაცხელებით, ისევ წითელ მადანს მივიღებთ (ოღონდ ვერცხლისწყლის ოქსიდს). ეს ალქიმიკოსების მიერ გარშემო მყოფებზე შთაბეჭდილების მოსახდენად კლასიკური რეაქცია იყო და იგი, ამავდროულად, **ის პირველი ქიმიური რეაქციის რეცეპტია, რომლის ჩანაწერიც კაცობრიობას მოეპოვება.** უნდა აღინიშნოს, რომ ორბიტა, რომელზეც **მზის** გარშემო **მერკური,** ეს ყველაზე სწრაფი პლანეტა ბრუნავს, დიდი ხნის მანძილზე გამოცანად რჩებოდა და მისი ორბიტის სიბრტყე აუხსნელად ითვლებოდა, **ნიუტონის** თეორიას ეწინააღმდეგებოდა, რომლის მიხედვით, მცირე ზომის **მერკურს,** დიდი ზომის **მზის** მიზიდულობის შედეგად, ენერგია უნდა დაეკარგა და **მზეზე** დაცემულიყო. ამგვარად, **მერკური** ეწინააღმდეგებოდა მატერიალური სამყაროს არსებულ კონცეფციას და ბევრ კითხვას ბადებდა. თუმცა, მე-20 საუკუნეში **აინშტაინის** „ალბათობის თეორიამ“ ახსნა **მერკურის** მოძრაობის თავისებურება, რომელიც მისი შესაბამისი ლითონის თავისებურებასაც წარმოადგენს — **იგი სითხეა, მაგრამ, თუ როგორ შეუძლია ესოდენ დიდი კუთრი წონის მეტალს თხევად მდგომარეობაში დარჩენა(?), დღემდე გაუგებარია.**

**— სილამაზის, სიყვარულისა და ხელოვნების მმართველ პლანეტა ვენერას, როგორც აღნიშნეთ, სპილენძი შეესაბამება. რა აკავშირებთ მათ?**

— **სიყვარულის, სილამაზის, ჰარმონიისა და ხელოვნების მმართველი პლანეტა ვენერასა და სპილენძის კავშირი არაერთი მახასიათებლით იკვეთება.** მითის თანახმად, ხმელთაშუა ზღვის კუნძულ **კვიპროსს** ოდესღაც სიყვარულის ქალღმერთი ვენერა მართავდა და ის ვენერას, იგივე აფროდიტეს მამულებად იყო მიჩნეული და კუნძულსაც კვიპროსის ქალღმერთს უწოდებდნენ. გაიხსენეთ, **ბოტიჩელის** ცნობილი ტილო „ვენერას დაბადება“, რომელზეც გამოსახულია კუნძულის მიმდებარე ზღვიდან ამოსული გადაშლილი ნიჟარა, რომელშიც მარგალიტის ნაცვლად სიყვარულის ქალღმერთი იშვა. ნიშანდობლივია, რომ **კუნძულის სახელწოდება კვიპროსი პირდაპირ უკავშირდება ვენერას შესაბამის ლითონ-სპილენძს,** რომლის ლათინური სახელია CUPRUM, რაც, თავის მხრივ, ბერძნულ სიტყვა KYPRUS-იდან წარმოიშვა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკურ ხანაში **კვიპროსი** სპილენძის მოპოვების ძირითად წყაროს წარმოადგენდა, ამიტომ ქალღმერთ ვენერას არსებობას მხოლოდ იმ ადგილებს უკავშირებდნენ, სადაც ეს ლითონი ბუნებრივად მოიპოვებოდა. მოგეხსენებათ, ადამიანის სისხლში მეტად მნიშვნელოვანია სპილენძის შემცველობა, რომლის კონცენტრაცია ადამიანის წონის ერთ მემილიონედს შეადგენს და მუდმივად უცვლელი რჩება. **ნიშანდობლივია, რომ ქალის სისხლში სპილენძის რაოდენობა 20 პროცენტით მეტია, ვიდრე მამაკაცის სისხლში. საპირისპიროა რკინის შემცველობა, რომელიც მამაკაცის სისხლში ერთი მესამედით მეტია, ვიდრე ქალის სისხლში. მოგეხსენებათ, ასტროლოგიური თვალთახედვით ქალურობას განსაზღვრავს ვენერა, მამაკაცურობას კი — მარსი. იგივე მახასიათებლით გამოირჩევა ვენერასეული სპილენძისა და მარსისეული რკინის ურთიერთდამოკიდებულებაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სპილენძისა და რკინის რაოდენობა უკავშირდება ადამიანის სქესს ისევე, როგორც მათი შესაბამისი პლანეტების სიმბოლური სქესი.** თუმცა, თანამედროვე მედიცინა ამ ფაქტის მნიშვნელობის იგნორირებას ახდენს. ქალის ორგანიზმში სპილენძი იმ ცილის სახით გვხვდება, რომლის მეტაბოლიზმი მჭიდროდ უკავშირდება ქალურ ჰორმონ **ესტროგენს. ამ ჰორმონის მომატება ორგანიზმში დაფეხმძიმებისთვის კარგ პირობებს ქმნის. ორსულობის პერიოდში კი ქალის ორგანიზმში სპილენძის რაოდენობა ორმაგდება. რკინის რაოდენობა კი იზრდება ემბრიონის სისხლში და მისი დაბადების მომენტისთვის დედასა და ბავშვს შორის რკინა-სპილენძის პოლარულობა ყალიბდება. ამავე პერიოდისთვის დამახასიათებელი უძილობა, დეპრესია, განწყობის ცვალებადობაც ასევე სპილენძის რაოდენობის ზრდას უკავშირდება.**

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 4-10 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**შემოქმედებითი პერიოდია. ყურადღებიანი იქნებით გარშემო მყოფთა მიმართ და მათი დიდი სიმპათიით ისარგებლებთ. ადრე დაწყებული საქმეებიც გამოსწორებას დაიწყებს, მაგრამ გარისკვასა და აზარტულ თამაშებს მოერიდეთ, რათა ფულთან დაკავშირებულ მანიპულაციებში ფორტუნამ არ გიმტყუნოთ. ეცადეთ, სახლსა და ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება მიაქციოთ. გადაწყვეტილების მიღებისას კი ემოციური და იმპულსური ნუ იქნებით.**

**კურო** (21.04-20.05)
**ნიჭი და ენერგია პროფესიული საქმიანობისკენ მიმართეთ. გამჭრიახობა და ფანტაზიის უნარი ნებისმიერი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში დაგეხმარებათ. მომგებიანი ოპერაციები ჯობს, ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად ჩაატაროთ. ახლო ნათესავებთან და შეყვარებულთან დიპლომატიურობა გმართებთ. ამგვარად საწადელსაც მიაღწევთ და არც არავის გაალიზიანებთ. დაძაბულობა ცუდად აისახება ჯანმრთელობაზე, ამიტომ პერიოდულად ჯობს, დაისვენოთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**თავს სანაქებოდ იგრძნობთ და გადაადგილება და შეხვედრების ჩატარება გაგიადვილდებათ. ბიზნესის, ეკონომიკური და კომერციული საქმიანობისთვის კარგი პერიოდია. ოღონდ პარტნიორები ყურადღებით შეარჩიეთ და საბუთებიც შეამოწმეთ. ძვირადღირებული ნივთის ან უძრავი ქონების შეძენისას ეცადეთ, ფული არ ისესხოთ. ოჯახის წევრებს, შეყვარებულსა და საკუთარ ჯანმრთელობას მეტი დრო დაუთმეთ. კარგი კვირაა მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად და გამაჯანსაღებელი პროცედურებისთვის.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**მატერიალურ მდგომარეობაზე ფიქრი კარიერულ აღმასვლაში და მიზნების ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ. წარმატების მისაღწევად შესაძლოა, ფარული მიმოწერა ან პოტენციურ პარტნიორთან საიდუმლო შეხვედრა მოგიწიოთ. რომანტიკული ურთიერთობა და მეგობრებთან ხმაურიანი შეხვედრები ცოტა დროს დაგიტოვებთ მუშაობისა და დასვენებისთვის. პირად საკითხში კი აუცილებელია დაფიქრება, რათა სწორი არჩევანი გააკეთოთ და კონფლიქტს თავი აარიდოთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**მიმდინარე მოვლენა-გარემოებები დადებითად შეცვლის თქვენს ცხოვრებას. შემოქმედებითობა საქმიან პარტნიორთა წრეში ავტორიტეტს აგიმაღლებთ. რაც უფრო სოციალურად აქტიური იქნებით, იკონტაქტებთ და იმოგზაურებთ, მით უფრო მეტ პოზიციებს დაიკავებთ საზოგადოებასა და სამსახურში. შემოსავლებიც გაიზრდება. მეუღლესთან ან შეყვარებულთან კი მათი აზრის იგნორირება და თქვენი ერთპიროვნული გადაწყვეტილებები პრობლემებს შეგიქმნით.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**მიზნის მისაღწევად საჭიროა მშვიდად მოქმედება და საქმის დამოუკიდებლად შესრულება. ახალ ადამიანებთან ურთიერთობა თქვენს ცხოვრებას გაახალისებს. ფინანსების დაგროვებისა და ქონების რაციონალურად გამოყენების მიმართ თქვენი ინტერესი გაიზრდება, რაშიც გარკვეულ დახმარებას ახლობლები და ნაცნობები გაგიწევენ. კარგი იქნება, თუ სხვათა რჩევა-რეკომენდაციებს ყურადღებით მოისმენთ. მოგზაურობისას შესაძლოა, რომანტიკულ თავგადასავალს ჰქონდეს ადგილი.**

## 4-10 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**კოლეგებთან ჰარმონიული ურთიერთობა თქვენს მდგომარეობას უფრო მეტად გაამყარებს. ხელმძღვანელობის კეთილგანწყობა კი თქვენს საქმეებსა და შემოსავალზე დადებითად აისახება. თქვენი ლტოლვა გარისკვისა და ავანტიურისადმი გაიზრდება. ბედნიერი შემთხვევა ახალ სასიყვარულო კავშირს ან მომგებიან წინადადებას შემოგთავაზებთ. სიურპრიზებისა და საჩუქრების რაოდენობაც იმატებს. ვარჯიშისა და ჯანმრთელობის გასაკაჟებლად კარგი პერიოდია. შორეული მოგზაურობაც პოზიტიურად ჩაივლის.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**სამსახური და ბიზნესი ბევრ დროს წაგართმევთ, თუმცა, შემოსავალიც მოიმატებს. მიზნის მისაღწევად ადრე დასახული გეგმით იმოქმედეთ და აუცილებლობის გარეშე ბევრ ადამიანს ნუ დაიხმართ. კარგი დროა პირადული შემოქმედებისთვისაც. უცხოელებმა შესაძლოა, ახალ მომგებიან საქმეზე დაგაფიქროთ, მაგრამ ხანგრძლივი მოგზაურობა ჯობს, გადადოთ. ჯანმრთელობას ყურადღება დაუთმეთ, ხშირად დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**ინტუიცია გაგიძლიერდებათ და ენერგიაც მოგემატებათ. სახალისო გახდება პროფესიული საქმიანობა. გარდა ამისა, ამგვარად შემოსავალს მოიმატებთ. შესაძლოა, ახალი სამსახურიც დაიწყოთ. შემართება და კომუნიკაბელურობა მიზანთან უფრო დაგაახლოვებთ. თქვენი ავტორიტეტი ფარულ მტერს დააუძლურებს. წარმატებული იქნება გადაადგილებები. განსაკუთრებულ სიამოვნებას გიქადით მეუღლესთან ან შეყვარებულთან ერთად დასასვენებლად გამგზავრება.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**კარგი პერიოდია ახალი კავშირების დასამყარებლად და საქმიანი თანამშრომლობისთვის. კომერციაც მოგებას მოიტანს. სწრაფად იმოქმედეთ და აუცილებლად ინტუიციას მოუსმინეთ, ამგვარად არაერთ საფრთხეს აიცილებთ და შეძლებთ, ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილოთ. პირადი ურთიერთობისას ჯობს, უკმაყოფილება არ გამოამჟღავნოთ, თუ საწადელის მიღწევა შეფერხდება. კარგი პერიოდია ახლო მანძილზე მოგზაურობისა და დასვენებისთვის.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**პოზიტიური იდეების, შემოქმედებითი აზროვნებისა და საინტერესო პროექტების გააზრების დროა. ნებისმიერ ცოდნასა და ინფორმაციას იოლად აითვისებთ. შესაძლოა, დამატებითი შემოსავლის წყარო გამოჩნდეს. ორაზროვან საკითხებში გარკვევა, აუცილებელი მოლაპარაკებების ჩატარება და ერთიანი შეთანხმების მიღწევა გაგიადვილდებათ. ოჯახში მოსალოდნელია გულთბილი განწყობის აღდგენა. ახალი სასიყვარულო კავშირი კი სწრაფად განვითარდება. კარგი დროა მოგზაურობისთვისაც.**

**თევზები** (19.02-20.03)
**ეს კვირა მნიშვნელოვანი იქნება ახალი კავშირების დამყარებისა და საჭირო მოლაპარაკებებისთვის, ამიტომ ზედმეტად ბევრ დროს ნუ დახარჯავთ გართობასა და მეგობრებთან ურთიერთობაზე. ოჯახსა და სასიყვარულო სფეროში მოსალოდნელია არაერთმნიშვნელოვანი მოვლენები. ბრმად ნურავის ენდობით და წერილობით მიღებული ინფორმაციებიც შეამოწმეთ. ახლო მანძილზე მოგზაურობა და დასვენება სასიკეთო იქნება ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად.**



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

## 5,6,7 და 10 დეკემბერი

**13 დეკემბერი - ახალმთვარეობა, პიკი - 03.32 საათზე; 27 დეკემბერი - სავსემთვარეობა, პიკი - 04.34 საათზე.**



## რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

### 4 დეკემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.10 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.43) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 23.07 საათზე, ჩადის 5 დეკემბერს 13.03 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 23.15 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 06.11 საათიდან 07.43 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს პლანეტა ვენერა გადაინაცვლებს ღრიანკალის ზოდიაქოში (29 დეკემბრამდე), რაც პარტნიორულ ურთიერთობებში გაამახვილებს ინტუიციას, შეუპოვრობას, პასუხისმგებლობას, სიმამაცეს და ასევე ეჭვიანობას, წყენას, სიჯიუტეს, სარკასტულობასაც. დღეს და ხვალ ენერგიულობა იმატებს. ამავდროულად, პროვოკაციებს მოერიდეთ. მეტი დრო დაუთმეთ ეროვნული და საგვარეულო ტრადიციების განვითარება-გაძლიერებას. ურთიერთობისას დაეყრდენით გულახდილობას, სიმართლეს. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, აუდიტისთვის, ვაჭრობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ზურმუხტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

### 5 დეკემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.11 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 6 დეკემბერს 13.26 საათზე (მთვარის 22-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა იწყება 09.52 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** აქტიურობა გმართებთ, მათ შორის, თვითგანვითარებისთვის და საკუთარი გამოცდილების გასაზიარებლად. სასიკეთო დღეა ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის სისტემის გასაწმენდად. მომატებულ სექსუალურ ენერგიას ნუ გარდაქმნით აგრესიასა და კონფლიქტურობაში. კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, სწავლისთვის, აუდიტისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გამოცდის ჩაბარება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, სარისკო ქმედებები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

### 6 დეკემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.12 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.33) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 00.09 საათზე, ჩადის 13.46 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 01.31 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.50 საათიდან 20.34 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან პლანეტა ნეპტუნი დირექტიული ხდება თევზების ზოდიაქოში მოძრაობისას, რაც ადამიანებში გააძლიერებს ინტუიციას, შემოქმედებით ნიჭს, ფანტაზიას, რომანტიკულობას, ქველმოქმედებისკენ, ურთიერთდახმარებისკენ მიდრეკილებას, რელიგიურ-ეზოთერული საკითხებით დაინტერესებას. კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, უსარგებლო ნივთების მოსაშორებლად. არ არის სასურველი ზედმეტი პირდაპირობის, კრიტიკულობის, შეუწყნარებლობის გამოვლენა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ქორწინება, ახალი ნაცნობობა, სარისკო ქმედება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭქვეშა ჯირკვალი, ნაწლავთა სისტემა, ელენთა, ყელი, თირკმლები. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი. **საღამოს:** ნეფრიტი, ლაზურიტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

### 7 დეკემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.13 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 01.10 საათზე, ჩადის 14.05 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 02.46 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი. ტენდენციები:** სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმეების შესრულების დღეა, ამიტომ ფაციფუცსა და არამოტივირებულ ქმედებებს მოერიდეთ. დღეს და ხვალ ეცადეთ, კარგად გამოიძინოთ. სასიკეთოა მასაჟი, აბაზანის მიღება, არომათერაპია. შედეგიანი იქნება კბილების, ტერფების მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის და მკურნალობის დასაწყებად, ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, ხელოვნების ნიმუშების, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად. არ არის სასურველი ალერგიის გამომწვევი პროდუქტის, ზედმეტი სითხის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, აკვამარინი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

### 8 დეკემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.15 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 03.13 საათზე, ჩადის 14.43 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 04.03 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა შემოქმედებითი ექსპერიმენტებისთვის და ნოვატორული პროექტებისთვის, ახალი იდეებისა და ნიჭის გამოსავლენად, რაც ხელს შეუწყობს ძველი საქმის შესრულებას. ასევე სასიკეთოა მეგობრული კონტაქტებისთვის, ქორწინებისთვის, თანამშრომლობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, ხელოვნების ნიმუშების, პარფიუმერია-კოსმეტიკის, უძრავი ქონების შესაძენად. ურთიერთობისას მოიმატებს თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა. არ არის სასურველი ბევრი სითხის, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. აკონტროლეთ ზედმეტი ამპარტავნობა და სიამაყე. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 9 დეკემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.16 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.42) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 04.17 საათზე, ჩადის 15.04 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 05.23 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.05 საათიდან 07.42 საათამდე. **ტენდენციები:** პოზიტიური დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, წესრიგის დასამყარებლად. ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ, საიდუმლო არ გათქვათ. სასიკეთოა მოდუნება, მედიტაცია, მასაჟი. ამავდროულად ურთიერთობისას ერთმანეთს მოუსმინეთ, დაუთმეთ. გადაწყვეტილებების მიღებისას კი კარგად დაფიქრდით. შესაძლოა, კარგი ამბავი შეიტყოთ. კარგი დღეა მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, ცხოველების შესაძენად, გეგმების დასახვისთვის. არ არის სასურველი სესხის აღება, სხივური თერაპია, რენტგენი, გინეკოლოგთან ვიზიტი, ალკოჰოლის, ცხარე საკვების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ქრიზოპრაზი, ტოპაზი, ობსიდიანი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 10 დეკემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.17 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 05.25 საათზე, ჩადის 15.30 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 06.49 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სახლთან დაკავშირებულ საკითხებს დაუთმეთ ეს დღე. იმატებს ტრავმებისა და ავარიების ალბათობა. ახლობლები დაგეხმარებიან არაკეთილმოსურნე ადამიანებისგან გათავისუფლებაში. ურთიერთობისას ემოციები აკონტროლეთ და მეტი მოთმინება გამოავლინეთ. ინტუიცია იმატებს. კარგი დღეა მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, გეგმების დასახვისთვის, ცხოველების შესაძენად. არ არის სასურველი მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ალკოჰოლის, ცხარე და მწარე საკვების მიღება. მეტი იმოძრავეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ონიქსი, ზურმუხტი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



**7 დეკემბერი – ხსენება დიდმოწამისა ეკატერინესი**

4 დეკემბერი. ორშაბათი. **ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.**

✝ 5 დეკემბერი. სამშაბათი. **შემდგომი დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანებისა.** მოციქულთა ფილიმონისა და არქიპოსი, 70-თაგანთა და მოციქულთა სწორისა მოწამისა აპფიასი; მოწამეთა: კიკილიასი, ვალერიანესი, ტიბურტისა და მაქსიმესი; მოწამისა პროკოფი წიგნისმკითხველისა; მოწამისა მენიგნისა; ღირსისა აგაბო ისმაიტელისა; მართლისა მიქაელ მხედრისა, ბულგარელისა; კეთილმსახურისა მთავრისა მიხეილ ტვერელისა.

✝ 6 დეკემბერი. ოთხშაბათი. **მღვდელმოწამისა გრიგოლ არქიმანდრიტისა, ოსვენციმის ბანაკში აღსრულებულისა;** ამფილოქესი, იკონიელი ეპისკოპოსისა; გრიგოლისა, აკრაგანტიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა სისინისა, კვიზიკელი ეპისკოპოსისა და თეოდორე ანტიოქიელისა; კეთილმსახურისა დიდისა მთავრისა ალექსანდრე ნეველისა, სქემაში ალექსისა.

✝ 7 დეკემბერი. ხუთშაბათი. **დიდმოწამისა ეკატერინე ყოვლადბრძენისა, ალექსანდრიელისა;** დიდმოწამისა მერკურისა; მოწამეთა ავგუსტასი — ავგისტა დედოფლისა, პორფირი სტრატილატისა და 200-თა მხედართა; ღირსისა მასტრიდია ქალწულისა; ღირსისა სიმონ სოიგინელისა.

✝ 8 დეკემბერი. პარასკევი. **წარგზავნა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულისა.** მღვდელმოწამეთა კლიმენტი რომის პაპისა და პეტრესი, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა პეტრე მდუმარისა.

✝ 9 დეკემბერი. შაბათი. ღირსისა ალვიპი მესვეტისა; ღირსისა იაკობ განდეგილისა; დიდმოწამე გიორგის ტაძრის განახლებისა კიევში; ღირსისა აკაკი სინელისა, „კიბესა" შინა მოხსენიებულისა.

✝ 10 დეკემბერი. კვირა. დიდმოწამისა იაკობ სპარსისა; ღირსისა პალადი ალექსანდრიელისა; ღირსმოწამეთა ჩვიდმეტთა მონაზონთა ინდოეთს; ღირსისა რომანოზისა.

**„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი** სამძიმარს უცხადებს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრს, გაზეთ „ვრასტანის" მთავარ რედაქტორს, თბილისის საპატიო მოქალაქეს **ვან ბაიბურთს** შვილის

**იგორ ბაიბურთის**

გარდაცვალების გამო.

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი** სამძიმარს უცხადებს საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრს, გაზეთ „ვრასტანის" მთავარ რედაქტორს, თბილისის საპატიო მოქალაქეს **ვან ბაიბურთს** შვილის

**იგორ ბაიბურთის**

გარდაცვალების გამო.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია** ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთ „ვრასტანის" მთავარი რედაქტორის, თბილისის საპატიო მოქალაქის **ვან ბაიბურთის** შვილი

**იგორ ბაიბურთი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ახლობლებს.

**გაზეთ „ასავალ-დასავალის" რედაქცია** სამძიმარს უცხადებს მედია-კავშირ „ობიექტივისა" და „წინააღმდეგობის მოძრაობის" დამფუძნებელს **დავით თარხან-მოურავს** შვილის

**იორამ თარხან-მოურავის**

გარდაცვალების გამო.

**„ასავალ-დასავალის" რედაქცია** მწუხარებით იუწყება ჟურნალისტ **ნინო კვაჭანტირაძის** მამის

**ვასილ კვაჭანტირაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ახლობლებს.

**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. კარამბოლი; 8. კამბალა; 12. მგოსანი; 13. პენტაგონი; 14. რანჩერო; 15. ჯეოსელი; 16. ოდეკოლონი; 21. მარინა; 22. ვასაძე; 25. კონტინენტი; 26. პარადი; 29. ზამბახი; 30. კარიკატურა; 35. კოდალა; 36. ბასილი; 39. კაპიტალიზმი; 40. თოლია; 43. ტიფლიტი; 44. ამაო; 47. ფაკირი; 50. ვისკი; 51. მათარა; 54. მეგობარი; 55. კინო; 57. ზვიგენი; 58. ძაბუტონი; 59. ლინარესი; 60. სანტიმი; 62. მირიკონი; 63. სილეზია;

შვეულად: 1. კოპიო; 2. რენიე; 3. მზალო; 4. ოლოლო; 5. იმიჯი; 6. კოპოლა; 7. სამება; 8. კირი; 9. მონტანა; 10. ავენიდა; 11. არომატი; 17. დროშა; 18. კიტრი; 19. ლანცა; 20. ნანდუ; 22. ვიზა; 23. სამბა; 24. ძმარი; 26. პიკი; 27. რადიო; 28. დალაი; 30. კუკია; 31. რუპია; 32. კატა; 33. ტოლმა; 34. რაზმი; 36. ბიტი; 37. სუფრა; 38. ლაიკა; 40. თივა; 41. ლისტი; 42. ავიზო; 45. მტევანი; 46. ოპოსუმი; 47. ფლაკონი; 48. კრიზისი; 49. რადიანი; 51. მოემი; 52. თბილი; 53. რაუნდი; 55. კორდე; 56. ნისლი; 61. მე.

**კარეტატამიშირაქიტიბალტიმორიკონერიმესამელა**
**ფანტაზიანიხრიკისტადიონისერიალიბრიზიუდიერი**

| დახურული ოთხთვალა ეტლი | სოფელი ოზურგეთის რაიონში | ბავშვთა დაავადება | ქალაქი აშშ-ში | მსახიობი შონ ... | სამის რიგობითი რიცხვითი სახელი | მე-6 ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| თმის ვარცხნილობა | ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა | ველი კახეთში | ჯულიეტას ბიძაშვილი | იტალიელი კომპოზიტორი | ფულის მისაღები თამასუქი | გარეული ცხოველი |



თარაზულად: 1. ბილიარდის წითელი ბურთი; 8. თევზის სახეობა; 12. გამოჩენილი დიდი პოეტი; 13. აშშ-ის სამხედრო უწყება; 14. რანჩოს მეპატრონე; 15. მობილური კავშირის ერთ-ერთი კომპანია; 16. სურნელოვანი პარფიუმერიული ხსნარი; 21. სურათი ზღვის ხედით; 22. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 25. მატერიკი (ზოგად.); 26. ალღუმი; 29. ყვავილის ნაირსახეობა; 30. ვინმეს ან რამის დამახინჯებული სასაცილო ნახატი; 35. ტყის ხეკაკუნა ფრინველი; 36. ბიზანტიის იმპერატორი; 39. ერთ-ერთი საზოგადოებრივი წყობილება; 40. წყლის ფრინველი; 43. ბრმა ნაწლავის ანთება; 44. ფუჭი, უნაყოფო; 47. მოხეტიალე მუსლიმი ბერი; 50. ინგლისში და აშშ-ში გავრცელებული არაყი; 51. პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი; 54. გულითადი ამხანაგი; 55. ხელოვნების დარგი; 57. ზღვის დიდი ცხოველი; 58. იატაკზე დასაჯდომი პატარა ბალიში იაპონიაში; 59. ქალაქი ესპანეთში; 60. წვრილი ფული საფრანგეთში; 62. სამხრეთ ამერიკული მაიმუნი; 63. პოლონეთის ისტორიული ოლქი.

შვეულად: 1. რაიმე საბუთის პირი; 2. ფრანგი მწერალი; 3. ელგუჯას სატრფო (ყაზბეგი); 4. ნიშნის მოგების შორისდებული; 5. პრესტიჟი, სახე; 6. რეჟისორი ფილმისა „ნათლია“; 7. ტაძარი თბილისში; 8. სამშენებლო მასალა; 9. აშშ-ის შტატი; 10. პროსპექტი, ხეივანი ესპანეთში; 11. კეთილსურნელება; 17. ალამი, ბაირაღი; 18. ბოსტნეული; 19. იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 20. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემას სახეობა; 22. სახელმწიფოში შესვლის ნებართვა; 23. ბრაზილიური ცეკვა; 24. დამყავებული ღვინო; 26. მთის მწვერვალი; 27. მაუწყებლობის საშუალება; 28. ტიბეტის მმართველი ...-ლამა; 30. თბილისის უბანი; 31. ინდოეთის ფულის ერთეული; 32. შინაური ცხოველი; 33. კომბოსტოში გახვეული ხორცის ფარშის საჭმელი; 34. საჯარისო შენაერთი; 36. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 37. მაგიდაზე გადასაფარებელი ქსოვილი; 38. ერთგვარი რბილი ტყავი; 40. გამხმარი ბალახი; 41. უნგრელი კომპოზიტორი; 42. სწრაფმავალი პატარა მზვერავი გემი; 45. ყურძნის ყვავილედი; 46. პატარა ჩანთოსანი ცხოველი, გავრცელებული ამერიკის ტყეებში; 47. სუნამოს ჭურჭელი; 48. დიდი გარდატეხა, მკვეთრი ცვლილებები; 49. სივრცითი კუთხის საზომი ერთეული; 51. ინგლისელი მწერალი; 52. არც ცივი და არც ცხელი; 53. ხანგრძლივი საერთაშორისო მოლაპარაკებების ცალკეული ეტაპი; 55. მარატის მკვლელი; 56. ჯანღი, ბურუსი; 61. პირის ნაცვალსახელი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ოცნება | ტარიფი | კეთილთვისებიანი სიმსივნე | ღვინის ღმერთი ბერძ. მით-ში | ირანის ფულის ერთეული | სუსტი ქარი (საფრან.) | მოურიდებელი, უტაქტო ადამიანი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხილის გაზიანი სასმელი | ვნება, ზარალი | ოინი | დიდი სპორტული ნაგებობა | დიდი ფილმის ნაწილი | ბისტი | სამხრეთი | ნაცია |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2023 წლის 4 — 10 დეკემბერი №52 (1516)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი
*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

2009882637296

